# სარბიელი

სპორტული გაზეთი ორშაბათი 27 თებერვალი 2006 №43 (2665)

ფასი 50 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა

## კალაძეების ტრაგედია ქვეყნის ტრაგედიაა





## MEIN GOTT!

## საქართველომ ჯუჯებთან წააგო

## გუშინ ტურინმა ზამთარი დახურა




AFP



AFP

ეროვნული ბიბლიოთეკა





# ტკივილთან მტყუანი ცხოვრება ტრაგედიაა

## საქართველოს სამწუხარო სურათი სამტრედიაში

ეს დაკრძალვა სამტრედიაში მთელი ქართული უბედურების გაცოცხლებულ სურათად შეიძლება გამოდგეს.

ეს არის მოლოდინის, სიბნელის, ქართული გულცივობის და ქართული გულთბილობის, გაურკვევლობის, ქვეყანაზე დაფენილი რაღაც უცნაური, გაუვალი ღრუბლის ამბავი.

შავი კურტკების, ტალახიანი მანქანების, გადათხრილი გზების, შუა ქალაქში ჩაზნექილი ხევების, ნაგავსაყრელების, მყრალი დუქნების, ტურტლიანი დოლაბების და სხვა ასეთი საზიზღრობების ამბავიც არის.

იმდენი რამის ამბავია, რომ ჩამოსათვლელად არც ერთი გაზეთი არ ეყოფა და არც სჭირდება, რადგან, ჩვეულებრივ, მოკლედ გამოითქმის ხოლმე.

ყველაფერ ამას ჩვენი ცხოვრება ჰქვია. მეტი არაფერი.

დამალული სინამდვილეები, ატლასგადაფარებული ნაგავი, კარგი საქმით შენიღბული გოიმობები, ხელის მოთბობები და ასე დაუსრულებლად. ზოგჯერ ჩამოთვლა სასარგებლოც კია ამ მთვლემარე სინდისების მხარეში, სადაც ტრაგედია ტრაგედიას მოსდევს და ტრაგედია ხურდა ფულივით ჩხრიალებს.

რა დააშავა კახა კალაძემ?

ის, რომ ფეხბურთს კარგად თამაშობს? და რაც ნამდვილია და ბუნებრივი ცხოვრებაში, ის მოიპოვა? ლევან კალაძეს საერთოდ არაფერი არ დაუშავებია.

რას ნიშნავდა ეს ოთხწლიანი ლოდინი?

მგონი, იმას ნიშნავდა, რომ ნამდვილი რამე ამ ქვეყანაში ცოტაა.

ერთ-ერთი ნამდვილი კახა კალაძის ცხოვრება და საქმეც არის და დარტყმაც იქ მივიდა. სხვაგან არც მივიდოდა. დარტყმა მივიდა ქართველურად, ზერელედ, ამ ზერელობიდან კი გადაიზარდა საშინელებაში, იმიტომ, რომ ამ ქვეყანაში არც გამტაცებელია ნამდვილი, არც მისი ფიქრები და არც მისი პასპორტი.

ღმერთმა იცის...

ღმერთმა ქნას, უკეთესი ცხოვრება გვქონდეს.









უამრავი ხალხი, ბევრი ცრემლი და დიდი ტკივილი — შაბათს სამტრედიის რაიონის სოფელ კულაშის საგვარეულო სასაფლაოზე ლევან კალაძე დაკრძალეს...

რა უნდა თქვა და რა უნდა დაწერო — ყველაფერი იმ ათასობით კაცის სახეზე იკითხებოდა, რომლებიც კალაძეებთან სამძიმარზე იყვნენ.

მეზობლები და მეგობრები, ქართული საფეხბურთო სამყარო და ქვეყნის პრემიერ-მინისტრი, იტალიელები და უკრაინელები — უბედურების მოზიარე იყო ყველა, ვისთვისაც გასაგები გახლდათ ამ ტრაგედიის არსი.

და კახა კალაძე, მიტკალივით თეთრი, ცრემლიანი და თავჩახრილი...

აკმაროს და გაძლება მისცეს ღმერთმა, რადგან მან მართლაც რომ გაუსაძლისს გაუძლო, არ დაცემულა, სული არ ამღვრევია, ყველასთან პირნათელი დარჩა და უხანგრძლივესი ტკივილის ტვირთი ბოლომდე კაცურად ზიდა.

ვიზიარებთ კალაძეების ოჯახის ტრაგედიას და ათასი არაკაცის ჯინაზე ფეხზე მაგრად დგომას ვუსურვებთ...

***ბადრი ძეთილაძე (ფოტო), ქობა ინასარიძე***

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ტოპმიოლერი, მალტა და პირველი ქიტა



ტრევორ ტემპლემანმა საქართველოს ნაკრებს კარი მე-2 წუთზევე შეუღო



## ჰიბერნიანსი 1:0 საქართველო

1:0 ტემპლემანი (2)
**ჰიბერნიანსი:** მუსკატი, ტემპლემანი, მაგრო, ხუერები, მინტოფი, ნვოკო, მბონგი, აგიუსი, გომესი, დოდა, ბალადაჩინო.
**საქართველო:** სტურუა, მჭედლიშვილი (ღვინიანიძე 65), თომაშვილი (ბ. გოცირიძე 80), ხიდეშელი, განუგრავა, ბჟალავა, კანკავა, ფიფია (ბენაშვილი 65), მარცვალაძე, ჩირიკაშვილი (გ. ნუგჭელიძე 65), რ. გოცირიძე.

**გიორგი ნოზაძე ვალეტადან**

**შაბათს** კლაუს ტოპმიოლერმა შედარებით მსუბუქად დატვირთა შეგირდები და საღამოს ექსკურსიაზე წაიყვანა — ჩვენმა ნაკრებმა ლა ვალეტას ღირსშესანიშნაობები დაათვალიერა.

გუშინდელი თამაში კი პირველი იყო, ქართველებმა ტოპმიოლერის ხელმძღვანელობით რომ ჩაატარეს.

ჩვენებმა ასეთი განლაგებით ითამაშეს: დაცვაში მარჯვნიდან მარცხნივ — დავით მჭედლიშვილი, გულვერდ თომაშვილი, გიორგი ხიდეშელი, გიორგი განურავა; საყრდენები — ჯაბა კანკავა და მირზა ბჟალავა; სამი ინსაიდი — მარჯვნიდან ოთარ მარცვალაძე, მარცხნიდან ირაკლი ჩირიკაშვილი, შუაში გოგი ფიფია; ფორვარდი — რევაზ გოცირიძე.

ქართველებმა გოლი მეორე წუთზევე გაუშვეს, რაც რამდენიმე რიკოშეტისა და ჩვენი მცველების ნერვიულობის თუ უყურადღებობის ბრალი იყო — ერთი სიტყვით, ტრევორ ტემპლემანმა ამ ყველაფრით ისარგებლა და — 1:0.

ამის შემდეგ მთელი მატჩი ქართველების კარნახით წარიმართა, თუმცა მათ შეტევებს შედეგი არ მოჰყოლია.

ნამატჩევს კი ტოპმიოლერმა თქვა, ექვს თამაშს ეყოფოდა, იმდენი მომენტი გვქონდაო. გერმანელმა მწვრთნელმა ისიც გვითხრა, ამ ბიჭების პერსპექტივაში ეჭვის შეტანა ჯერ არ შეიძლება, მათ თავის გამოჩენის შანსი კიდევ ექნებათო.

თუკი გუშინდელი შეხვედრა უფრო საცდელი იყო, საქართველოს ნაკრებს დღეს ნაღდი გამოცდა აქვს მოლდოვის ნაკრებთან. შეხვედრა თბილისის დროით 22 საათზე დაიწყება.

აქვე გეტყვით იმასაც, რომ მალტაზე უკვე ჩამოვიდნენ დავით მუჯირი, ლევან კობიაშვილი და ლევან ცქიტიშვილი. ხოლო გიორგი ქინქლაძის საკითხი საბოლოოდ გადაწყდა — იგი ტრავმის გამო ველარ ჩამოვა, რაზეც გიორგიმ ნაკრების თავკაცობას უკვე აცნობა.

# მალტამ სუსტად და სუსტებით დაიწყო

## მალტის ტურნირი 2006

**მალტა 0:2 მოლდოვა**

0:1 ნამასკო (46), 0:2 ბუგაიოვი (73)
**მალტა:** მ. მუსკატი, პულიჩინო, ა. მუსკატი, საიდი, შიკლუნა, ბარბარა, ა. აგიუსი, ვუდსი (კოენი 74), მალია (აზოპარდი 46), ჩილია (ბრიფა 46), ანონამი (ჯ. აგიუსი 74)
**მოლდოვა:** ჩებანუ, ბულგარუ, სოლტანიცი, გოლოვაცენკო, იაპალაუ (რუდაცი 46), ნამასკო, სუვოროვი, ზმეუ (ბერეგიჩი 74), ბუგაიოვი, ალექსეევი (ზისლისი 81)
**მსაჯი:** ლაშა სილაგავა (საქართველო)



მალტა — მოლდოვა ლაშა სილაგავამ განსაჯა

**მალტის** ტურნირში საქართველოს ეროვნული ნაკრები დღეს ჩაებმება, მანამდე კი ტურნირის პირველი მატჩი იყო — მალტამ მოლდოვის ახალგაზრდულ ნაკრებთან 0:2 წააგო.

კოკა კოლა & მულტიპლასი — ასე ჰქვია ამ ტურნირს, რომელშიც მასპინძლები ახალი მთავარი მწვრთნელით თამაშობენ — ჩეხმა დუშან ფიტცელმა თავის სადებიუტო შეხვედრაში მოლდოველ ახალგაზრდებთან 4-1-4-1 სქემა აირჩია და ასეთი ორიგინალური განლაგების გარდა მისი გუნდი ვერაფრით გამოირჩა.

მოლდოველი ჯეელები სერგიუ ნამასკოს გოლით დაწინაურდნენ — მან 47-ე წუთზე 25 მეტრიდან გაუტანა მალტელ მეკარე მარიო მუსკატს, მეორე ბურთი კი მოლდოველებმა 73-ე წუთზე შეაგდეს: იგორ ბუგაიოვმა ფლანგური პასის შემდეგ იხეირა.

მოკლედ, მალტამ ერთობ უნიათოდ ითამაშა, თუმც ისიცაა, რომ ფიტცელის განკარგულებაში საუკეთესო მალტელი ფეხბურთელები არ იყვნენ.

და ერთიც: მოედანზე ფეხბურთელების მსაჯული ჩვენებური არბიტრი ლევან სილაგავა გახლდათ.

**ნიკა ჯორჯაძე**

# თხოვნა და არა ულტიმატუმი



ეს ხავსზე მოჭიდებაა თუ მორიგი ნაბიჯი შეთანხმებისკენ, თავად განსაჯეთ: 2008 წლის ევროპის ჩემპიონატის B შესარჩევი ჯგუფის ექვსმა წევრმა მეშვიდეს, უკრაინის ფეხბურთის ფედერაციის თავკაცობას ერთობლივი წერილი გაუგზავნა.

„ეს არის თხოვნა და არა ულტიმატუმი“ — მოკლედ მოჭრა საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ჟაკ ლამბერმა.

მოგეხსენებათ, უკრაინელებმა რამდენიმე დღის წინ საბოლოოდ უარყვეს ექვსი ქვეყნის მიერ მოწონებული კალენდრის ვარიანტი და საქმე უეფას მიანდეს. მათი საქციელით აღშფოთებულმა ფრანგებმაც უკან დახევა იუარეს და თქვეს, რახან ვერ ვთანხმდებით, ჩვენც ყაბულს ვართ, კალენდარი უეფამ შეადგინოსო.

და რა შუაშია უკრაინა და საფრანგეთი, კარგად გეცოდინებათ — სწორედ ეს ქვეყნები ვერ თანხმდებიან შესარჩევი ეტაპის ბოლო ტურზე — უკრაინელებს ფრანგთა კიევში ჩასვლა სურთ, ფრანგებს კი პირიქით, უკრაინელთა პარიზში სტუმრობა.

ერთი სიტყვით, „მამლებმა“ ერთხელაც გადადგეს ნაბიჯი და უეფაში მისვლამდე ბოლო თხოვნა გააგზავნეს კიევში, იქნებ შეთანხმება როგორმე მოვახერხოთო.

უეფამ კალენდარი 2 მარტს უნდა შეადგინოს, მანამდე კი საფრანგეთი, იტალია, შოტლანდია, ლიტვა, საქართველო და ფარერები უკრაინის პასუხს ელიან — ბოლო ვადა ხვალ დილამდეა.

ვითომ გაცოცხლდება გამოტირებული კალენდარი?..

**კახა შალამბერიძე**



# ხაჩიძე ბორჯომს საუკეთესოდ მცნობა

ვლადიმერ ხაჩიძე გაძვალტყავებულ გორის „დილას“ გაერიდა და უკეთესი სამსახურიც იშოვა — სოსო ფრუიძის ნაცვლად „ბორჯომს“ სწორედ ის უთავკაცებს. კურორტელებს ღონიერი შემადგენლობა კი ჰყავთ, მაგრამ სამეორეწრეო დებიუტი „ბათუმთან“ საშინაო მარცხით ჩაუმწარდათ, იქამდე კი „სიონთან“ სათასო მატჩიც წააგეს.

„ახალ გუნდში მხოლოდ მეორე ვარჯიში ჩავატარე და რა გითხრათ. ჯერჯერობით გუნდს ვეცნობი. „დილადან“ „ბორჯომში“ გადმოსვლა გამოწვევაა და იმედია, გარკვეულ წარმატებას მივაღწევ. ძლიერ გუნდთან მუშაობა უფრო საინტერესო და საპასუხისმგებლოა.

...ტრავმირებული ვლადიმერ გოჩაშვილის გარდა ყველა ფეხბურთელი მწყობრში გვყავს, სხვა მხრივ, შემადგენლობა უცვლელია. კლუბის ხელმძღვანელობამ მიზნად უეფას თასზე გასვლა დაგვისახა — ცხრილიდან გამომდინარე, ეს რეალურია და ვნახოთ“ — გვითხრა ხაჩიძემ.

**ილია ნანობაშვილი**

# გამზადებული კონტრაქტები ვის დარჩება დარასელია?

ეროვნული ჩემპიონატის მომავალ ტურში, „თბილისთან“ მატჩში, თბილისის „დინამო“ ერთბაშად სამი ახალი ფეხბურთელით ითამაშებს. „დინამომ“ ბრაზილიელების ვიეირასა და ამბროზიოს, ასევე გიორგი შაშიაშვილის განთავისუფლების ფურცლები ამ მოთამაშეთა ყოფილი გუნდებისაგან უკვე მიიღო, დღეს-ხვალ მათ საჩემპიონატო განაცხადში შეიყვანს და კონტრაქტებსაც გაუფორმებს.

შეგახსენებთ, ბრაზილიელებმა „დინამოს“ გასასინჯად დეკემბერში ჩამოაკითხეს, მერე კი გუნდთან ერთად კვიპროსზე ორკვირიანი შეკრება მოილიეს და მწვრთნელ ანდრეი ჩერნიშოვს თავიც მოაწონეს. ორივე განაპირა ნახევარმცველია და, რა თქმა უნდა, ტექნიკით გამოირჩევიან. ხოლო დანარჩენს უკვე მოედანზე ვნახავთ.

რაც შეეხება გიორგი შაშიაშვილს, მან ხორვატულ „ჰაიდუკში“ ჩაშლილი ტრანსფერის შემდეგ „დინამოში“ დაბრუნება თავად ისურვა და არც თბილისელები ყოფილან გიორგის დამატების წინააღმდეგნი. შაშიაშვილს აქამდე ტრავმა აწუხებდა, მაგრამ ახლა გამოჯანმრთელდა და მთელი დატვირთვით ვარჯიშობს.

გუშინ კი „დინამოსთან“ ერთად ივარჯიშა ვიტალი დარასელიამაც და გამორიცხული არ არის ისიც თბილისელებს დაუბრუნდეს. ყოველ შემთხვევაში, ვლადიკავკაზის „ალანიადან“ წამოსვლის შემდეგ დარასელია უგუნდოდაა და თუ სასურველი კლუბი უახლოეს მომავალში ვერ მოძებნა, დიდი შანსი იქნება, რომ ვიტალი „დინამოში“ დარჩეს.

**კობა ინასარიძე**

# ცხადაძე ბოლნისში კონსულტანტად წავიდა და მწვრთნელად მივიდა

თბილისის „დინამოს“ მწვრთნელობის შემდეგ კახა ცხადაძე უმუშევრად დიდხანს არ დარჩენილა. ათი დღის წინ მას ბოლნისიდან დაუკავშირდნენ და მეორე დღესვე „სიონი“ ჩააბარეს. ამ ათ დღეში კი ცხადაძემ გუნდს უკვე ორი მატჩი მოაგებინა — ახალი მწვრთნელის დანიშვნისთანავე თასის მეოთხედფინალის პირველ მატჩში „სიონმა“ „ბორჯომი“ დაამარცხა, შემდეგ კი ჩემპიონატში „ლოკომოტივი“ გაანადგურა. მოკლედ, კახა ცხადაძისთვის ბოლნისური დებიუტი ძალიანაც წარმატებული გამოდგა, ხოლო მერე რა იქნება თავად მწვრთნელის ინტერვიუდან შეიტყობთ...



— ბოლნისის გამგებელმა დამირეკა და „სიონში“ მწვრთნელის კონსულტანტად მუშაობა შემომთავაზა. მეორე დღესვე ბოლნისში გამგებელთან შესახვედრად ჩავედი და აღმოჩნდა, რომ გუნდი უკვე უმწვრთნელოდ იყო. ჩვენ კი ცოტა ხანს ვისაუბრეთ და გუნდიც ჩავიბარე.

— „სიონამდე“ სხვა წინადადება არ გქონიათ?

— კონკრეტული არაფერი, ისე კი ალბათ თქვენც გაიგებდით, ამბობდნენ, ცხადაძე ტოპმიოლერის თანაშემწე იქნებაო, მერე ახალგაზრდულ ნაკრებში ნიშნავენო... თუმცა ახლა „სიონში“ ვარ.

— და რა დაგხვდათ „სიონში“?

— თერთმეტი ფეხბურთელი. გუნდი დაუკომპლექტებელი იყო. კვალიფიკაცია კვალიფიკაციად და, „სიონში“ სასურველზე ცოტა ფეხბურთელი დამხვდა, რამდენიმე უკონტრაქტო კი ვარჯიშობდა, მაგრამ ისინი ჩემს მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებდნენ და დავემშვიდობეთ. ფეხბურთზე ჩემებური შეხედულება მაქვს და მსურს, საselექციო სამუშაოც ჩემი შეხედულებისამებრ ჩავატარო.

— ამ სელექციის პირველი შედეგი უკვე გაქვთ: გუნდში დავით ჭიჭველიშვილი და ლევან სილაგაძე მიიყვანეთ...

— არა, ლევან სილაგაძესთან მოლაპარაკება არ გვქონია, ის „სიონში“ არ არის. ძალიან ვაფასებ ამ ფეხბურთელს და გუნდშიც სიამოვნებით მივიღებდი, მაგრამ ტრავმა აქვს და თავადაც არ იცის, მკურნალობას რამდენი ხანი დასჭირდება. დავით ჭიჭველიშვილი კი უკვე „სიონის“ ფეხბურთელია — კონტრაქტი გაფორმებულია.

— უკრაინელი ფეხბურთელების დამატებასაც ხომ აპირებთ?

— დიახ, დღესდღეობით „სიონში“ ორი უკრაინელი ვარჯიშობს და დავიტოვებთ თუ არა მათ, მალე გადაწყდება. ამ დღეებში გასასინჯად კიდევ რამდენიმე უცხოელს ველით.

— მოკლედ, გუნდის დაკომპლექტებას ახლა იწყებთ?

— რა გაეწყობა, ასე გამოვიდა. ჩემპიონატში ეს ათდღიანი პაუზა კი ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი გამოდგა, თუმცა ვფიქრობ, ამ შესვენებას სხვა გუნდებიც გამოიყენებენ.

— „სიონი“ როგორ აპირებს პაუზის გამოყენებას?

— გუნდის დასაკომპლექტებლად ძალიან მნიშვნელოვანია ეს შესვენება. გარდა ამისა, ფეხბურთელებისთვის ჩემი შეხედულებების გასაზიარებლად დრო მექნება, მოსამზადებელი პერიოდი ხომ „სიონმა“ უჩემოდ გაიარა. თუმცა დღემდე ჩატარებული რამდენიმე ვარჯიშის შემდეგ კმაყოფილი ვარ, ბიჭებმა ჩემი მოთხოვნები კარგად გაიგეს.

— წლეულს „სიონის“ მიზანი რა არის?

— რაც შეიძლება წარმატებით უნდა ვითამაშოთ, რისი პოტენციაც „სიონს“ ნამდვილად დიდი აქვს. თუმცა პერსპექტივა რომ ვერ დამენახა, გუნდში არც მოვიდოდი. ვნახოთ...

**კობა ინასარიძე**

**საქართველოს ჩემპიონატი 17 — პირველი ლიგა — მეორე წრე**

**XVIII ტური**

| | | |
|---|---|---|
| ზესტაფონი 2 | 0:0 | მეშახტე |
| ლიახვი | 0:3 | ჩიხურა |
| ზუგდიდი | 0:0 | ამერი 2 |
| დინამო 2 | 4:0 | ლოკომოტივი 2 |
| საგარეჯო | 1:3 | მაღაროელი |
| თბილისი 2 | 2:0 | გურია |
| ვიტ ჯორჯია 2 | 0:0 | რუსთავი |
| გაგრა | 1:0 | მერანი |
| მეშაქრე | 0:1 | მესხეთი |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩიხურა | 18 | 14 | 2 | 2 | 55:20 | 44 |
| მერანი | 18 | 12 | 3 | 3 | 28:11 | 39 |
| გაგრა | 18 | 10 | 5 | 3 | 25:13 | 35 |
| დინამო 2 | 18 | 10 | 4 | 4 | 31:11 | 34 |
| ამერი 2 | 18 | 10 | 3 | 5 | 25:14 | 33 |
| მეშაქრე | 18 | 9 | 3 | 6 | 28:17 | 30 |
| რუსთავი | 18 | 8 | 5 | 5 | 28:19 | 29 |
| მესხეთი | 18 | 8 | 4 | 6 | 24:20 | 28 |
| გურია | 18 | 7 | 4 | 7 | 27:22 | 25 |
| მეშახტე | 18 | 6 | 7 | 5 | 19:13 | 25 |
| საგარეჯო | 18 | 6 | 3 | 9 | 17:20 | 21 |
| ვიტ ჯორჯია 2 | 18 | 5 | 5 | 8 | 14:20 | 20 |
| ზუგდიდი | 18 | 5 | 5 | 8 | 8:17 | 20 |
| თბილისი 2 | 18 | 5 | 4 | 9 | 20:30 | 19 |
| ზესტაფონი 2 | 18 | 5 | 1 | 12 | 14:33 | 16 |
| ლოკომოტივი 2 | 18 | 5 | 1 | 12 | 14:37 | 16 |
| მაღაროელი | 18 | 3 | 3 | 12 | 14:41 | 12 |
| ლიახვი | 18 | 3 | 0 | 15 | 15:49 | 9 |



# ბლექბერნში მედიცინაა

## ხიზანიშვილი და კლუბი სამწლიანზე შეთანხმდნენ

„ბლექბერნ როვერსი“ შარშან პრემიერლიგაში დარჩენისთვის იბრძოდა, ხოლო ახლა მეხუთე ადგილზეა — ინგლისური პრემიერლიგის ბოლო ტურში შინ ლონდონის „არსენალს“ 1:0 მოუგო. ზურაბ ხიზანიშვილმა კი უკვე ზედიზედ მეოთხე ბლექბერნული მატჩი გამოტოვა და პირველ რიგში ამაზე ჩამოვუგდეთ სიტყვა...

— მუხლი ბოლომდე ახლახან მოვიშუშე და „არსენალთან“ მატჩი ამის გამო გამოვტოვე. ახლა ლონდონის აეროპორტში ვარ, მალტაზე მივფრინავ და როცა სანაკრებო შეკრებიდან დავბრუნდები, ალბათ პრემიერლიგაშიც ვითამაშებ.

— „არსენალთან“ გამარჯვების შემდეგ „ბლექბერნს“ ალბათ განსაკუთრებული მადა აღეძრა...

— ასეთი შედეგი მოულოდნელი იყო იქიდან გამომდინარე, რომ წინა სეზონში „ბლექბერნი“ პრემიერლიგის ცხრილის ქვედა ზონაში მერყეობდა. ახლა კი გუნდის პროგრესი სახეზეა.

— და რა არის მთავარი, რაც განაპირობებს „ბლექბერნის“ ასეთ პროგრესს?

— აღდგენითი პროცესი. გუნდის თითოეულ ფეხბურთელს ინდივიდუალურად გვინიშნავენ აღდგენით პროცედურებს. ასეთი რამ დიდ გუნდებში ჩვეულებრივი ამბავია, საშუალო გუნდებში კი იშვიათად ხდება, მაგრამ „ბლექბერნმა“ გადაწყვიტა, ამაზეც დახარჯოს ფული.

— უეფას თასის საგზური — ახლა ესაა თქვენი უმთავრესი მიზანი?

— სატურნირო მდგომარეობიდან გამომდინარე ნაკლებზე აღარ ვფიქრობთ. მომდევნო ტურში, 5 მარტს ძალიან ძნელი მატჩი გველის ლონდონში „ტოტენჰემთან“ და თუ იქაც წარმატებით ვითამაშეთ, შესაძლოა, მეტზეც ვიფიქროთ.

— „რეინჯერსიდან“ „ბლექბერნში“ ჯერაც განათხოვრებით თამაშობ — როდის აფორმებ კონტრაქტს ინგლისელებთან?

— ჩემი აგენტი ივან ბენეში უკვე იყო ბლექბერნში და კლუბთან მოლაპარაკებას აწარმოებდა. რაღაც დეტალები კიდევ შესათანხმებელია და შესაძლოა, „ტოტენჰემთან“ მატჩამდეც მოვაწერო ხელი კონტრაქტს.

— კონტრაქტის ვადა უკვე დაადგინეთ?

— თუ რამ გაუთვალისწინებელი არ მოხდა, სამწლიან კონტრაქტს გავაფორმებთ.

**დავით თავართქილაძე**

# რუსული სამ-არა ქართველს?

## მუჯირს კრილიას ვიზა არ აქვს




**გრაცის** „შტურმიდან“ წამოსულმა ქართველმა ნახევარმცველმა დავით მუჯირმა პარასკევს ინტერვიუშიც გვითხრა, რუსული კლუბებიდან მაქვს შემოთავაზებებიო და აგერ, შედეგიც — ჩვენებურმა მეორე დღესვე სამარის „კრილია სოვეტოვს“ მიაკითხა.

ტრანსფერი თითქმის გადაწყვეტილია — მუჯირმა ახალ გუნდთან ერთხელ ივარჯიშა და მწვრთნელების მოხიბვლაც მოასწრო, რაზეც ის ამბავიც მოწმობს, რომ ნავარჯიშევს უკვე პირობებზე დაიწყო მოლაპარაკება, ოღონდ...

შესაძლოა, პრობლემა არასაფეხბურთო ხასიათისა გამოდგეს — საქმე ისაა, რომ რუსეთმა საქართველოს მოქალაქეებზე ვიზის გაცემა შეწყვიტა და გამორიცხული სულაც არაა, ამ შემთხვევაშიც არ დაუშვას გამონაკლისი.

მოკლედ, „კრილია სოვეტოვის“ ხელმძღვანელობას ქართველი ფეხბურთელის გადასაყვანად მთავრობაში სირბილი მოუწევს...

**კახა შალამბერიძე**

# შოთა მალტაზე ვერ მიდის




AFP

**გუშინ** „ალკმაარმა“ ჰოლანდიის ჩემპიონატის 26-ე ტურში შინ 1:2 წააგო პსვ-სთან, ხოლო მასპინძელთა შემტევი შოთა არველაძე ტრავმის გამო მე-15 წუთზე შეცვალეს, რაც იმას ნიშნავს, რომ არველაძე მალტაში მყოფ საქართველოს ნაკრებს ვერ შეუერთდება.

— ჯერ კიდევ პსვ-სთან მატჩამდე ვფიქრობდი, რომ მალტაზე ვერ წავიდოდი. ბოლო კვირა ძალიან გადატვირთული აღმოჩნდა „ალკმაარისთვის“ და ჩემთვის, კვირაში სამი თამაში მეტისმეტია, თანაც „ბეტისთან“ უეფას თასზე დამატებითი დროც ვითამაშე. პსვ-თან ფეხის ზედა კუნთი დამეჭიმა და ამიტომ შემცვალეს. ჯერ არ ვიცი, ტრავმა რამდენად სერიოზულია, მალტაზე კი ვერ მივდივარ — გვითხრა გუშინ არველაძემ.

**დავით თავართქილაძე**

# სამხარაძემ არსენალი ისროლა

**თბილისის** „დინამოს“, „სპარტაკისა“ და გერმანული „კარლსრუეს“ ყოფილი ნახევარმცველი ირაკლი სამხარაძე კიევის „არსენალშია“. კონტრაქტი ჯერ არ გაფორმებულა, თუმცა ჩვენებური უკრაინულ გუნდში უკვე ვარჯიშობს და ახლახან ამხანაგური მატჩიც ჩაატარა — „არსენალმა“ პოლონურ „არკას“ 4:1 მოუგო, სამხარაძე კი ძირითად შემადგენლობაში იყო.

შეგახსენებთ, რომ „არსენალში“ ორიოდ კვირის წინ კიდევ ერთი ქართველი, ჯაბა კანკავა გადავიდა, რომელიც ახლა მალტაზე ახლავს საქართველოს ნაკრებს და კიეველებსაც მოგვიანებით შეუერთდება.

**კახა შალამბერიძე**

# ჩვენებურთა რუბინი პირველია

გიორგი ქინქლაძის, ლაშა სალუქვაძის და ნუკრი რევიშვილის „რუბინმა“ ესპანეთში, ლა მანგას ტურნირში გაიმარჯვა — ყაზანელებმა ფინალში 4:0 მოუგეს სამარის „კრილია სოვეტოვს“.

ჩვენებურთაგან ამ შეხვედრაში მხოლოდ სალუქვაძემ ითამაშა, რომელმაც 90 წუთი დაჰყო მოედანზე, რევიშვილი სათადარიგო იყო, ქინქლაძემ კი ნეკნის ტრავმის გამო არ ითამაშა.

აღსანიშნავია, რომ „რუბინმა“ ამ ტურნირში შარშანაც გაიმარჯვა.

**ნიკა ჯორჯაძე**

# სპარსული ქიში ახალაიასთვის

**სპარსელებისთვის** ქიში საჭადრაკო ტერმინი კი არა კუნძულია სპარსეთის ყურეში — სწორედ იქ არის ახლა ირანის ჩემპიონატის ლიდერი თეირანის „ესტეგლალი“, სადაც აქვსენტი გილაური თამაშობს, ხოლო ლადო ახალაია გასინჯვაზეა — სპარსულ ლიგაში ახლა მცირე შესვენებაა და „ესტეგლალსაც“ კუნძულზე ხანმოკლე შეკრება აქვს.

რაც შეეხება ჯაბა მუჯირის „სეპაჰანს“, ისპაჰანელებმა საემიროებს მიაშურეს და დუბაის „ალ შაბაბთან“ ამხანაგურ მატჩში 1:2 წააგეს, მუჯირმა მეორე ტაიმში ითამაშა. „სეპაჰანი“ ირანის ჩემპიონატში ამ დროისთვის მე-8 ადგილზეა.

**ნიკა ჯორჯაძე**

# ნინო გიგიაძეს გააქვს და გააქვს



**ჩვენ** გვრჩება შთაბეჭდილება თუ მართლა ასეა, ვერ გეტყვით, მაგრამ უკრაინელი ჟურნალისტები კრივოი როგის „კრივბასზე“ წერას ერთთავად ვასილ გიგიაძით იწყებენ. უფრო გასაგებად რომ ვთქვათ, ქართველი ფორვარდის გარეშე მათ ეს გუნდი ვერ წარმოუდგენიათ — გიგიაძეა მთელი „კრივბასიაო“.

ვასომ სეზონისწინა მატჩები ძალიან შედეგიანად ჩაატარა — უგოლოდ მინდვრიდან არ გადიოდა, არადა, პირველ წრეში მაინცდამაინც არც ისე ხშირად ამწარებდა მეტოქეებს.

„გინდათ, გითხრათ ჩემი წარმატების მთავარი მიზეზი? ქალიშვილი შემეძინა და ამან გიჟური ენერგია მომიტანა. აი, სულ ესაა. გოგონას ნინო დავარქვით, ცოტა ხანში მას მოვნათლავთ და მერელა ჩამოვიყვან ქუთაისიდან ოჯახს კრივოი როგში“ — განმარტა ვასილ გიგიაძემ.

„კრივბასი“ უკრაინის ჩემპიონატში მეთორმეტე ადგილზეა და გასავარდნ ზონასთან ახლოსაა, თუმცა ვასო ამას დროებითად თვლის: „მეესი მტკიოდა და გოლები ხშირად ველარ გამქონდა. ახლა კი სხვანაირადაა საქმე. სულაც არ ვთვლი, რომ „კრივბასს“ გავარდნის საფრთხე ემუქრება, ჩვენ შემთხვევით ვართ მეთორმეტე ადგილზე, თამაშის მიხედვით გაცილებით ზემოთ უნდა ვიყოთ და მჯერა, სეზონის ბოლოს ასეც იქნება“.

**ლუკა თალაკვაძე**

ევროპის ერთა თასი. მეორე ტური

# რუმინეთი 35:10 საქართველო

25 თებერვალი. ბუქარესტი. გენჩა



რუმინეთი: დუმიტრაში (დუმბრავე 57), ფერკუ, გოლი (ტოფანი 75), გონტინიაკი, ტეოდორესკო, დიმოფტე, მიტუ (სირბუ 79), ტონიცე (ტუდორი 80), მანტა (ურსაკე 80), კოროდიანუ, პეტრე, სოკოლი, ტოდერასკი (პაულიკე 71), ტინკუ, ბელანი
4ლ: სოკოლი, მიტუ, ტონიცე, დუმბრავე; 3გ: მიტუ (2), ტოფანი; 3ს: მიტუ

საქართველო: ბარკალაია (სოხაძე 58), მაჩხანელი, ურჯუკაშვილი, ი. გიორგაძე (შკინინი 72), ხამაშურიძე, ჯიმშელაძე, აბუსერიძე (სამხარაძე 66), უდესიანი, ლაბაძე, ურუშაძე (მაისურაძე 47), დათუნაშვილი (დიდებულიძე 41), ზედგინიძე, ზირაქაშვილი (კოპალიანი 22, 60), ა. გიორგაძე, შველიძე (კუთარაშვილი 60)
1ლ: მაისურაძე; 1გ: ჯიმშელაძე; 1 ს: ჯიმშელაძე

3:0 (3), 3:3 (18), 6:3 (22), 13:3 (40), 18:3 (42), 25:3 (52), 28:3 (67), 28:10 (77), 35:10 (80)

თი უპასუხეს. ათი წუთის შემდეგ უკვე პალიკო ჯიმშელაძემ დაარტყა საჯარიმო და 3:3 გახადა, მაგრამ ხუთიოდ წუთში ისევ მიტუმ და ისევ საჯარიმოთი მეორედ და საბოლოოდ დააწინაურა მასპინძლები. ამის შემდეგ ქართველები ბარე 10 წუთით დასახლდნენ მეტოქის ნახევარზე და გაიმართა ტალახიანი ხორცსაკეპი. ჩვენმა შერკინებამ ბოლოს და ბოლოს რუმინელები მათ ლელოსთან სანტიმეტრებში მიიმწყვდია, მაგრამ სალელოვე დატაკებებს უდრეკად ხვდებოდნენ რუმინელები. ჩვენს მორკინალებს ბურთს ვერ ართმევდნენ, მაგრამ ერთ ეპიზოდში მომცრო ირაკლი აბუსერიძე მოიხელთეს, შებოჭეს და ფეხით ოციოდ მეტრს იქით აუტზე მოიგერიეს ბურთი. დაიკარგა შანსი. ჩვენი აუტიც წავაგეთ და მერე შერკინებაც...

ვერ გაიტან, გაგიტანენ და გაგვიტანეს: გვარიანად მოღლილმა ბორჯღალოსნებმა მორიგი მიძალების შემდეგ ჯაჯგურს გათამაშება არჩიეს და... დაკარგეს ბურთი. რუმინელებმა მწარედ შემოგვიტიეს, ჩვენს ლელოსთან აუტი მოიგეს და ისიც გვაჩვენეს, ბოლო მეტრებზე მიწოლა როგორ უნდა. მიტუმ გარდასახვაც გაიტანა და ტაიმიც იქვე მორჩა.

თურმე ეს მხოლოდ დასაწყისი იყო. მიტუმ რამდენიც ფეხით დაგვიკიდა ბურთი, ჩვენი მცველები იმდენჯერ შეცდნენ და ეს სამ ლელოდ დაგვიჯდა. გაძნელდა შერკინებაში ბურთის მოპოვებაც. დამხვდურები რაციონალურად და ლაზათიანად ირჯებოდნენ მაშინ, როდესაც ქართველებს არაფერი გამოსდიოდათ. ისღა მოხერხდა, მორიგი ჯაჯგურის შემდეგ შეცვლაზე შესულმა ზვიად მაისურაძემ სანუგეშო ლელო დადო.

**ირაკლი ფირაშვილი**

| ერთა თასი 2005-06 | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 25 თებერვალი | | | | | |
| პორტუგალია 19:19 რუსეთი | | | | | |
| რუმინეთი | 5 | 0 | 1 | +166 | 15 |
| საქართველო | 5 | 0 | 2 | +147 | 15 |
| პორტუგალია | 4 | 1 | 1 | +38 | 14 |
| ჩეხეთი | 3 | 0 | 4 | -56 | 12 |
| რუსეთი | 2 | 1 | 5 | +44 | 8 |
| უკრაინა | 0 | 0 | 6 | -339 | 0 |

## დაგვშალ-გაგვათამაშეს

### ბურთი რუმინულ ტალახშიც ოვალურია

**სარაგბო** გაკვეთილი ჩაგვიტარეს რუმინელებმა ამ შაბათს, გვაჩვენეს, რომ ბურთი ტლაპოშიც ოვალურია და ლელოს გატანა იმ წუმპეშიც შეიძლება.

ზორბა მამუკა გორგოძე თავისთავად დიდი დანაკლისი იყო ქართული შერკინებისთვის, მაგრამ იმხელაც არა, ასე წაგებას რომ ამართლებდეს. ბორჯღალის გუნდის და „მუხის ფოთლების“ რკენა არასდროს არც ერთისთვის არ ყოფილა გასეირნება და ეს არც გუშინწინდელ შეხვედრაზე ითქმის, მაგრამ ამხელა სხვაობა?! რუმინეთმა აშკარად გვაჯობა კლასში, ეს ანგარიშშიც ზუსტად ასახა და ჩვენ ორთა შორის ჯახებში სარეკორდო სხვაობაც დაგვიფიქსირა.

არადა, მოედანი სწორედ რომ საჩვენოდ იყო დამძიმებული. იმედიც გვქონდა, სხარტ რუმინელებს თამაშს ჩავუხურავთ და ჯაჯგურ-ჯაჯგურ იქნებ რაღაც გამოვიდესო. მაგრამ კარპატელთა შერკინებაც ასწლიანი მუხებივით ღრმად ფესვჩადგმული დაუხვდა შავზღვისიქიდან მონაბერ ქართულ სიოს და აქეთ ჩაგვხურა, მერე კი ბურთიც გაშალ-გაგვითამაშა და უკანახაზელთა ყოველი შეცდომა ლელოდ დაგვისვა. მოკლედ, არ იყო ეს ჩვენი თამაში, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენმა შერკინებამ პირველ ტაიმში თავი შეაწყვეტა მეტოქეს და ერთი-ორჯერ ლელოსთანაც მიიმწყვდია. აი, ლელოს გატანა თავიდანვე რომ მოგვეხერხებინა, მაშინ... კი გვინდა გვჯეროდეს, რომ რაღაც მცირე შანსი მაინც გვქონდა, მაგრამ ცბიერმა პეტრე მიტუმ ეს შანსიც წაგვართვა და უკან, საფრანგეთში გაფრინდა, საიდანაც მხოლოდ საქართველოსთან ჯახის წინ კადრულობს წამოსვლას. რუმინელები უმისოდაც ძნელი წასაქცევები არიან და ამ ჭინკასთან ერთად ხომ სისხლი გაგვიშრეს.

მიტუმ ბურთის გათამაშება არ გვაკმარა, დასარტყმელიც დაგვირტყა და გასატანიც გაგვიტანა. უკვე მესამე წუთზე მასპინძლები რომ მოგვეძალნენ და ჩვენი შერკინება დაჯარიმდა, მიტუმ 3:0 დააწინაურა თავისიანები. ქართველებმა ამას მახო ურჯუკაშვილის შორეული და არაზუსტი საჯარიმო-

## ლევან ცაბაძე: ჩვენ გვაკლდა ყოჩი

*რა იყო საქართველოს ნაკრების მარცხის მიზეზი და რა აკლდათ ბუქარესტში ბორჯღალოსნებს? ნამატჩევი კომენტარები ბორჯღალოსანთა ყოფილ კაპიტანს ლევან ცაბაძეს ვთხოვეთ*



ბორჯღალოსანთა თავკაცი მალხაზ ჭეიშვილი და ყოფილი კაპიტანი ლევან ცაბაძე

— ვერც ერთ მოთამაშეს ვერ დაადანაშაულებ ამ მატჩის წაგებაში. არასწორი ტაქტიკა იყო არჩეული და შეცდომებიც ამის ბრალია. არ ვგულისხმობ იმ ელემენტარულ სათამაშო წუნს, რასაც ბურთის წინ გავარდნა ან არაზუსტი პასი ჰქვია. შეიძლება, ისე ჩანდა, რომ ოთარ ბარკალაიას ორ შეცდომას ორი ლელო მოჰყვა, მაგრამ მანამდე სხვამ დაუშვა უფრო უხეში შეცდომა, ამით ბარკალაია გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდა. ამას მოჰყვა კიდეც ის ორი საბედისწერო ლელო.

**— არასწორ ტაქტიკაში რას გულისხმობთ?**

— პირველ ტაიმში ჩვენმა გუნდმა მთელი ენერგია არაფრისმომცემ ჯაჯგურში ჩადო. ჩვენები რატომღაც ჯიუტად უტევდნენ ერთი მიმართულებით, სულ ერთ წერტილში აკეთებდნენ დარტყმას. ასეთ დროს და ასეთ ამინდში არის ტაქტიკური სვლა, რომელსაც ერთი პასის თამაში ჰქვია. პირველ ტაიმში, როდესაც ჩვენებს ჰქონდათ ბურთი და მთელი ძალით უტევდნენ, სწორედ მაშინ იყო საჭირო ის ერთი პასი, რომ ერთი-ორი მეტრით მაინც შეეცვალათ შეტევის მიმართულება. მეტოქის დაცვაში სუსტი წერტილები იყო მოსასინჯი, მაგრამ ჩვენები სულ ერთი მიმართულებით უტევდნენ.

**— მარტო ეს იყო მარცხის მიზეზი?**

— გადამწყვეტ მომენტში გუნდს აკლდა გამოკვეთილი ლიდერი, რომელიც დანარჩენებს აიყოლიებდა. ერთი სიტყვით, ჩვენებს ქარიზმა აკლდათ, რუმინელებს კი მიტუს სახით, სწორედ რომ ყოჩი ჰყავდათ.

**მატჩის სტენოგრამა**

3: პეტრე მიტუმ 25 მეტრიდან ჯარიმა გაიტანა

8: ურჯუკაშვილმა 40 მეტრიდან ვერ გაიტანა

12: ქართველები ლელოში შევიდნენ, მაგრამ ბურთი წინ გაუვარდათ

18: ჩვენმა მორკინალებმა ჯარიმა დაიმსახურეს და პალიკო ჯიმშელაძემ 22 მეტრიდან ზუსტად დაარტყა

22: ჩვენები შერკინებაში დაჯარიმდნენ და მიტუმ 25 მეტრიდან გაიტანა

29: პეტრე დუმიტრაშმა 52 მეტრიდან ააცილა ჯარიმა. ჩვენებმა უხეიროდ გაათამაშეს ბურთი, მაგრამ რუმინელები ბლოკისთვის დაჯარიმდნენ და ჩხუბი ატყდა.

33: ქართველებმა დერეფანში მოლი ააგორეს და ხანგრძლივი ჯაჯგურის მერე მეტოქე მოლის ჩაქცევისთვის დაჯარიმდა.

34: ქართველებმა დასარტყამი ჯარიმა გაათამაშეს და მოლით შეუტიეს, მაგრამ ზედ ლელოსთან ბურთი წინ გაუვარდათ.

36: ლელოდან ხუთ მეტრაში ჩვენებმა შერკინებით შეუტიეს და თითქოს ლელოც გაიტანეს, მაგრამ ბოლოს რუმინელებმა ბურთი მოიგერიეს.

40: რუმინეთმა ჩვენ ლელოსთან 5 მეტროში დერეფანი მოიგო, მოლით მიანვა ქართველებს და მათმა კაპიტანმა სოკოლმა ლელო გაიტანა

42: რუმინელებმა რაქიდან შეუტიეს ჩვენებს. ტეოდორუსკომ ჯერ გადაკიდა, მერე გააგორა, ბარკალაიამ ფეხით სცადა მეტოქის შეჩერება, მაგრამ თავისიანს მიტუ მიეშველა და ბურთს ლელოში დაენია.

50: მოლის ჩაქცევისთვის მოპოვებული ჯარიმა ჩვენებმა აუტში გადაიტანეს. ლაბაძემ ბურთი მოხსნა, მაგრამ წინ გაუვარდა.

52: მიტუმ თავისი ნახევრიდან დაარტყა, მაჩხანელმა ბურთი ბარკალაიას შეაჩერა, ამას კი მოგერიებაზე ტონიცამ დაუფარა და დაამინა.

65: ჩვენმა შერკინებამ ლელოსთან ახლოს უკან დაიხია და სოხაძემ ძლივს მოიგერია ბურთი.

67: ტონიცა კისერში შებოჭეს და მიტუმ 25 მეტრიდან გაიტანა ჯარიმა.

69: მიტუმ ჩვენს ლელოში შეაგორა ბურთი. სამხარაძემ დაამინა და თან ტეოდორესკუ დაჯარიმდა.

77: შკინინმა ხაზზე გაქრა და ბურთი ფეხით გადაკიდა. უდესიანმა გააგრძელა შეტევა, მსაჯმა ორჯერ გვაცალა და ბოლოს მაისურაძემ სამხარაძის ცრუ პასით ლელო შეიტანა.

80: სოკოლმა განდაგან ირბინა, ორი ჩვენიანი მიიზიდა და დუმბრავას ჩვენს ლელოსკენ გაატანა ბურთი.



# ეკალში ვარდი ვერ ამოვიდა

25 თებერვალი. ედინბურგი

**შოტლანდია 18:12 ინგლისი**

**შოტლანდია:** საუზველი, პატერსონი, დიროლო, ჰენდერსონი, ლამონი; პარკსი, ბლერი; ტეილორი, ჰოგი, უაითი, კელოკი, მაკლეოდი, დაგლასი, ჰოლი, კერი

*შეცვლაზე შევიდნენ:* ვებსტერი, როსი, ქაისტერი, ჰაინსი, სმიტი, ფორდი

5 საჯარიმო: პატერსონი; 1 არკენი: პარკსი

**ინგლისი:** ლიუსი, ქუეტო, ნუნი, ტინდოლი, კოენი; ჰოჯსონი, ელისი; კორი, მუდი, ვერსლი, გრივკოკი, ბორსვიკი, უაითი, ტომსონი, შერიდან

*შეცვლაზე შევიდნენ:* დოუსონი, დალალიო, შუ, ფრეშვოთერი

4 საჯარიმო: ჰოჯსონი

შარშანდელ ექვს ერზე იტალიასთან გაჭირვებით მოგებული თამაშის წყალობით შოტლანდია მეხუთე ადგილზე გავიდა და მათგან ამაზე მეტს, ალბათ, არც არავინ ელოდა, თუმცა ახალდანიშნულმა თავკაცმა ფრენკ ჰადენმა სქოთებს, როგორც ჩანს, გამარჯვების ჟინი დაუბრუნა და ძველი დროება შეახსენა.

ედინბურგში საფრანგეთის ძლევით დაწყებული ზღაპარი ბევრის რწმენით უელსის მიწაზე დასრულდა, როდესაც შოტლანდიელებს მომძე კელტმა „დრაკონებმა" სძლიეს. ბევრი იმაზეც ალაპარაკდა, რომ ფრანგთა წაქცევა შემთხვევითბა იყო, თუმცა შაბათს „ნარშავა ეკლებს" ახლა ინგლისელი „ვარდები" რომ ეწვივნენ, აქ ბევს მოუხდა იმის აღიარება, რომ შეცდომით ჩამოწერა ეს აუტსაიდერობას თავდაღწეული გუნდი. ანგლო-საქსებთან სქოთებმა საკუთარი ჩათვლის მოედანი ისე დაიცვეს, როგორც საუკუნეების წინ მიწა-წყალს იცავდნენ.

ინგლისელებს პირველ ტაიმში ცდა არ დაუკლიათ, მაგრამ შოტლანდიელებმა სულ ცოტა, რვაჯერ მოახერხეს საკუთარი 22-დან ბურთის ამოტანა მაშინ, როდესაც შეიძლებოდა, წამიერი დაყოვნებაც კი ლელოს ფასად დაჯდომოდათ. „ვარდები" ნამდვილად არ ბრწყინავდნენ. მათ შეტევებს ფანტაზია აკლდა. ლიუსის, კოენსა და ქუეტოს არა უშავდათ, თუმცა ცენტრიდან ინგლისელებს არაფერი გამოსვლიათ.

მეორე წუთზე პატერსონის საჯარიმო დარტყმამ სქოთები წინ გაიყვანა, ჰოჯსონმა მალევე გაათანაბრა, შემდეგ კი მთელი ტაიმის განმავლობაში ქულა არავის აუღია — პირველი ორმოცწუთეული 3:3 დამთავრდა.

მეორე ტაიმის პირველივე წუთზე ჰოჯსონმა საჯარიმო დარტყმით ინგლისი წინ გაიყვანა, მაგრამ მომდევნო 15 წუთში მასპინძლებმა 9 ქულა მოინაგრეს. 2 საჯარიმო კრის პატერსონის ანგარიშზეა, რასაც დენ პარკსმა არეკნი მიაყოლა. ჰოჯსონის დარტყმამ 61-ე წუთზე ანგარიშში სხვაობა შეამცირა, თუმცა ტაიმის ბოლომდე პატერსონმა კიდევ ორჯერ დალაშქრა „ვარდების" კარი. ამ ორი დარტყმის შუაში ჰოჯსონის კიდევ ერთი გამოერია. ეს იყო და ეს. მეორე ტაიმში სქოთებმა პირწმინდად აჯობეს ინგლისელებს, რაც 72-პროცენტიან ტერიტორიულ უპირატესობაში აისახა.

ამ გამარჯვების შემდეგ შოტლანდიას 4 ქულა დაუგროვდა და ინგლის-საფრანგეთის დუეტს დაეწია, რაც ექვს ერზე გამარჯვების შანსებს უნარჩუნებს ჰადენის ბიჭებს. ოღონდ კვირას დუბლინში ირლანდიამ უელსს უმასპინძლა, მოუგო და მანაც 4 ქულა შეაგროვა სამ მატჩში.

**ლადო ჟუღუკიძე**

25 თებერვალი. პარიზი

**საფრანგეთი 37:12 უელსი**

26 თებერვალი. დუბლინი

**ირლანდია 31:5 უელსი**

| ექვსი ერი 2006 | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ინგლისი | 2 | 0 | 1 | +43 | 4 |
| საფრანგეთი | 2 | 0 | 1 | +33 | 4 |
| ირლანდია | 2 | 0 | 1 | +24 | 4 |
| ჩეხეთი | 2 | 0 | 1 | 0 | 4 |
| უელსი | 1 | 0 | 2 | -50 | 2 |
| იტალია | 0 | 0 | 3 | -50 | 0 |



ფრანგებმა პარიზში იტალია ლელოებით აიკლეს



## NBA რეგულარული ჩემპიონატი

23 თებერვალი

**ინდიანა 112:117 ატლანტა**

ძირითადი დრო 104:104

**ინდიანა:** ჯონსონი (18), სტოიაკოვიჩი (34), ჯეკსონი (2), ფოსტერი (11), პოლარდი (4); ჯონსი (31), გრანგერი (6), იასიკევიჩუსი (6), გილი

**ატლანტა:** ჯონსონი (40), აივი (4), სმიტი (9), ჰარინგტონი (24), **ფაჩულია** (34 წუთი, 11 ქულა, 8 მოხსნა, 2 პასი, 1 ჩაჭრა); ჩილდრესი (18), უილიამსი (9), ბატისტა (4)

**ორლანდო 102:89 სიეტლი**

**კლივლენდი 94:102 ვაშინგტონი**

**მემფისი 80:83 სან ანტონიო**

**ჩიკაგო 87:94 დეტროიტი**

**ჰიუსტონი 91:88 გ. სტეიტი**

**კლიპერსი 102:83 ლეიკერსი**

**ნიუ იორკი 90:94 ნიუ ჯერსი**

**მინესოტა 101:102 დენვერი**

**მილუოკი 111:116 ფილადელფია**

**პორტლენდი 96:102 ბოსტონი**

24 თებერვალი

**ატლანტა 89:99 მილუოკი**

**ატლანტა:** ჯონსონი (12), აივი (2), სმიტი (13), ჰარინგტონი (22), **ფაჩულია** (29 წუთი, 17 ქულა, 3 მოხსნა); ჩილდრესი (13), უილიამსი (10), ბატისტა

**მილუოკი:** რედი (21), ფორდი (14), საიმონსი (13), მალუა (4), ბოგუტი (2); გაძურიჩი (13), სმიტი (16), ბელი (12), ველში (4)

**დალასი 115:113 ტორონტო**

**ვაშინგტონი 110:89 ნიუ იორკი**

**ფილადელფია 108:102 ჩიკაგო**

**მაიამი 115:106 სიეტლი**

**სან ანტონიო 92:75 გ. სტეიტი**

**იუტა 95:100 ნიუ ორლეანი**

**ფინიქსი 136:121 შარლოტი**

*ცქიტიშვილი სათადარიგო იყო*

| აღმოსავლეთი | | | |
|---|---|---|---|
| **ატლანტიკა** | | | |
| ნიუ ჯერსი | 31 | 23 | 57,4 |
| ფილადელფია | 28 | 27 | 50,9 |
| ბოსტონი | 22 | 33 | 40,0 |
| ტორონტო | 20 | 35 | 36,4 |
| ნიუ იორკი | 15 | 40 | 27,3 |
| **ცენტრალური** | | | |
| დეტროიტი | 45 | 9 | 83,3 |
| კლივლენდი | 32 | 23 | 58,2 |
| ინდიანა | 27 | 25 | 51,9 |
| მილუოკი | 28 | 28 | 50,0 |
| ჩიკაგო | 24 | 31 | 43,6 |
| **სამხრეთ-აღმოსავლეთი** | | | |
| მაიამი | 35 | 20 | 63,6 |
| ვაშინგტონი | 29 | 25 | 53,7 |
| ორლანდო | 20 | 34 | 37,0 |
| ატლანტა | 17 | 37 | 31,5 |
| შარლოტი | 15 | 42 | 26,3 |

| დასავლეთი | | | |
|---|---|---|---|
| **სამხრეთ-დასავლეთი** | | | |
| დალასი | 44 | 11 | 80,0 |
| სან ანტონიო | 43 | 12 | 78,2 |
| ნიუ ორლეანი | 30 | 25 | 54,5 |
| მემფისი | 30 | 25 | 54,5 |
| ჰიუსტონი | 24 | 31 | 43,6 |
| **ჩრდილო-დასავლეთი** | | | |
| დენვერი | 30 | 26 | 53,6 |
| იუტა | 26 | 29 | 47,3 |
| მინესოტა | 23 | 31 | 42,6 |
| სიეტლი | 21 | 36 | 36,8 |
| პორტლენდი | 18 | 36 | 33,3 |
| **წყნარი ოკეანე** | | | |
| ფინიქსი | 37 | 17 | 68,5 |
| კლიპერსი | 31 | 23 | 57,4 |
| ლეიკერსი | 28 | 27 | 50,9 |
| საკრამენტო | 25 | 30 | 45,5 |
| გოლდენ სტეიტი | 24 | 31 | 43,6 |



# უკვარცხლბეკო უქმეები

ამ უქმეებზე ჰამბურგში ჩატარებული მსოფლიოს სუპერთასი საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრებმა უმედლოდ ჩაამთავრა. გერმანიაში მთავარი მწვრთნელისა და ლიდერების გარეშე წასული გუნდისგან უხვმედლიანობას არც არავინ ელოდა, თუმცა მაინც იყო იმედი, რომ კანდიდატები სიურპრიზებს შემოგვთავაზებდნენ.

| მსოფლიოს სუპერთასი<br>ჰამბურგი. 25-26 თებერვალი | |
|---|---|
| **60 კგ** | **81 კგ** |
| 1 ტაცუაკი ეგუსა (იაპონია) | 1 ფლავიო კანტო (ბრაზილია) |
| 2 მიგელ ალბარასინი (არგენტინა) | 2 შინია იოშინგა (იაპონია) |
| 3 დიმიტრი დრაჟენი (საფრანგეთი) | 3 ოსკარ ბოროტო (კუბა) |
| 3 გალ იეკუტიელი (ისრაელი) | 5 **საბა გავაშელიშვილი** (საქართველო) |
| 7 **ლაშა ტვილდიანი** (საქართველო) | 21 **ხვიჩა ხუციშვილი** (საქართველო) |
| 13 **დავით ასუმბანი** (საქართველო) | **90 კგ** |
| **66 კგ** | 1 რობერტო მელონი (იტალია) |
| 1 იორდანის არენსიბია (კუბა) | 2 იუტა იაზაკი (იაპონია) |
| 2 მასატო უჩიშიბა (იაპონია) | 3 დავიდ ალარზა (ესპანეთი) |
| 3 მიკლოშ უნგვარი (უნგრეთი) | 3 მაქსიმ რაკოვი (ყაზახეთი) |
| 3 არმენ ნაზარიანი (სომხეთი) | 18 **მინდია ბოდაველი** (საქართველო) |
| 18 **სერგო ციხელაშვილი** (საქართველო) | 18 **სოსო მსხალაძე** (საქართველო) |
| **73 კგ** | **100 კგ** |
| 1 ბრაიან ვან დიკი (ჰოლანდია) | 1 კვანგ-სუნ იო (ს. კორეა) |
| 2 რასულ ბოკიევი (ტაჯიკეთი) | 2 დიმიტრი ბელინი (რუსეთი) |
| 3 კიოში უემაცუ (იაპონია) | 3 ბენჟამინ ბერლა (გერმანელი) |
| 3 ჰენრი შოემანი (ჰოლანდია) | 3 ფრანც ბირკფელნერი (ავსტრია) |
| 9 **ლევან ჯახველაძე** (საქართველო) | 18 **ლევან რაზმაძე** (საქართველო) |
| 18 **დავით კობერიძე** (საქართველო) | **+100 კგ** |
| | 1 იასუიუკი მუნეტა (იაპონია) |
| | 2 ალექსანდრ მიხაილინი (რუსეთი) |
| | 3 იანუც ვოინაროვიჩი (პოლონეთი) |
| | 3 ანდრეს ტოელზერი (გერმანია) |
| | 9 **ზვიად ჩინჩალაძე** (საქართველო) |

თერთმეტი ქართველიდან ყველაზე კარგად საბა გავაშელიშვილმა (81 კგ) იჭიდავა, მიუხედავად იმისა, რომ პირველივე წრეში წააგო. მისმა მძლეველმა იაპონელმა შინია იოშინგამ ნახევარფინალს იოლად უწია და ჩვენებურს ბრინჯაოს გზა გაეხსნა. რეპეშაჟში რუმინელ კონსტანტინ კოჟოჩს, რუს ანდრეი ცივილიევს და ფრანგ ვინსენტ მასიმინოს გასცდა, თუმცა კვარცხლბეკზე პოლონელმა რობერტ კრავჩუკმა აღარ აუშვა და მეხუთე ადგილი აკმარა.

ამავე წონაში პირველივე წრეში დამარცხდა ხვიჩა ხუციშვილიც. მას თბილისის ტურნირის ვეცხლოსანმა, კუბელმა ოსკარ ბოროტომ აჯობა, მაგრამ ნახევარფინალს ვერც მან უწია.

სტარტზევე მსოფლიოს უძლიერეს მსუბუქწონოსანს, კორეელ ნამსუკ ჩოს გადაეყარა ლაშა ტვილდიანი და ვერც ვერას გახდა. ჩომ ამის მერეც იყოჩაღა და ტვილდიანს რეპეშაჟის გზა გაუხსნა, მაგრამ... ლაშას ბრინჯაომდე ორი გამარჯვება დააკლდა, საბოლოოდ, მეშვიდე ადგილზე გავიდა. 60-ში მოჭიდავე მეორე ქართველი. დავით ასუმბანი უფრო დაბლა — მეცხრეზე აღმოჩნდა.

სუპერთასი ყველაზე კარგად ქართველთაგან ლევან ჯახველაძემ (73 კგ) დაიწყო. გერმანელ ფლორიან ლანკერის ძლევის შემდეგ, ყველასთვის მოულოდნელად, წლევანდელი ძიგორო კანოს ჩემპიონი, იტალიელი ფრანჩესკო ბრიერიც წააქცია. ნახევარფინალში გასვლა კი მაინც ვერ მოახერხა, ჰოლანდიელ ჰენრი შოემანთან დამარცხდა. მერე რეპეშაჟიც ცუდად დაიწყო, გამოცდილ რუმინელ კლაუდიუ ბასტეასთან და საბოლოოდ მეცხრე ადგილზე გავიდა. 73-შივე მოჭიდავე დავით კობერიძის ანგარიშზე ერთი მოგება და მეთვრამეტე ადგილია. ერთი მეტოქის წაქცევა ლევან რაზმაძეს (100 კგ) მეცამეტე ადგილით დაუფასდა. დავით ციხელაშვილმა (66 კგ), მინდია ბოდაველმა, სოსო მსხალაძემ (ორივე 90 კგ) და ზვიად ჩინჩალაძემ (+100 კგ) კი ტურნირი მოუგებლად ჩაამთავრეს.

**ოთარ მაღლაკელიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# DAS IST FANTASTICH!



AFP ტურინიდან

მიხაელ გრაისმა მესამე ოქრო მოიგო

# ჯერ გადახტი, ჰოპლა მერე

**ბიატლონი**

**კაცები**

მას-სტარტი 15 კმ

1 მიხაელ გრაისი (გერმანია) — 47.20,0 (0+0+1+0)
2 ტომაშ სიკორა (პოლონეთი) — +0.06,3 (0+0+0+1)
3 ოლე-ეინარ ბიორნდალენი (ნორვეგია) — +0.12,3 (0+0+1+2)

**ქალები**

მას-სტარტი 12,5 კმ

1 ანა-კარინ ოლოფსონი (შვედეთი) — 40.36,5 (0+0+0+1)
2 კატი ვილჰელმი (გერმანია) — +0.18,8 (0+0+1+0)
3 უში დიზლი (გერმანია) — +0.41,9 (1+0+1+1)

ოლიმპიადამდე ერთი თვით ადრე ოლე-ეინარ ბიორნდალენმა განაცხადა, რომ ტურინში ხუთი ოქროს მოგებას აპირებდა ან ბიორნ დელის რეკორდის, 8 ოლიმპიური ოქროს გამეორებას შეეცდებოდა. ამისთვის ნორვეგიელმა მზადების სპეციალური კურსი შეიმუშავა და მსოფლიო თასის ეტაპებიც გამოტოვა.

როგორც აღმოჩნდა, ბიორნდალენს ჰოპლას თქმა გადახტომამდე მოუნდა. მას დაავიწყდა, რომ ოლიმპიადისთვის ყველა მაქსიმალურად ემზადება და მოულოდნელობები აქ საკმაოდ ხშირია. ამ მხრივ, ტურინის ოლიმპიადა განსაკუთრებით მდიდარი აღმოჩნდა და ბიორნდალენმა ხუთის კი არა, ერთ ოქროსაც კი ვერ გამოჰკრა ხელი.

მიუხედავად იმისა, რომ ნორვეგიელმა ტურინში სამი მედალი — ორი ვერცხლი და ერთი ბრინჯაო — მოიპოვა, ბიორნდალენი ამ ოლიმპიადით კმაყოფილი ნამდვილად არ დარჩა. აკი შაბათს თქვა კიდეც დამწუხრებულმა ვიკინგმა, ეს ბრინჯაო მხოლოდ ჩემს სულელურ შეცდომებს და სირცხვილს გამახსენებსო.

სამაგიეროდ, იტალიაში მარჯვედ გაისარჯნენ გერმანელი კაცი ბიატლონელები — 11 გერმანული ოქროდან ოთხი მათ კისერზეა. 29 წლის მიხაელ გრაისის გამოსვლა კი, როგორც მთლიანად ოლიმპიადაზე, ისე ამ კონკრეტულ რბოლაში, მხოლოდ ერთი სიტყვით შეიძლება შეფასდეს — ფანტასტიკა. გრაისმა მართლაც სასწაულები ჩაიდინა ტურინში, შაბათს კი ოქროს ჰეთ თრიქი შეასრულა.

არადა, მას-სტარტში მაინც ბიორნდალენს ეპყრა ხელთ უპირატესობა, როცა უკანასკნელი სროლისას სტენდთან პირველი მივიდა. გრაისი ამ დროს თითქმის ნახევარ წუთს აგებდა, მაგრამ აქ ნორვეგიელი ორჯერ შეცდა და საჯარიმო წრეების დარტყმა მოუხდა. გერმანელმა კი აუღელვებლად დახურა ყველა სამიზნე და ბოლო წრეზე ტომაშ სიკორასთან ერთად ლიდერის რანგში გავიდა. გერმანელისთვის მთავარი ის იყო, რომ ბიორნდალენს 17 წამს უგებდა, ხოლო პოლონელი მისი გადამსწრები რომ არ იყო, მალევე გამოჩნდა.

გრაისმა უპირატესობა ბოლომდე ადვილად შეინარჩუნა და სამგზის ოლიმპიურ ჩემპიონადაც გადაიქცა:

„ოლიმპიადის წინ ვინმეს რომ ეთქვა, სამ ოქროს მოიგებო, ალბათ, გიჟად ჩავთვლიდი... ეს მართლაც ფანტასტიკაა, ვერ აღვწერ ახლა ჩემს გრძნობებს“ — ხეირიანად ლაპარაკიც აღარ შეეძლო გახარებულ ჩემპიონს.

კაცებისგან განსხვავებით, ტურინში ცუდად გამოვიდნენ გერმანელი ქალები. მართალია, მათ ექვსი მედალი მოიგეს, მაგრამ ამათგან მხოლოდ ერთი იყო ოქროსი. არადა, შაბათი შეიძლება გერმანული ტრიუმფის დღედ ქცეულიყო, ვინაიდან მათებურმა დედაკაცებმა — კატი ვილჰელმა, უში დიზლმა და მარტინა გლაგოუმ კარგად ისრიალეს და, შესაბამისად, მეორე, მესამე და მეოთხე ადგილები დაიკავეს, მაგრამ შვედმა ანა-კარინ ოლოფსონმა მათ სიხერული ჩაუშხამა.

ოლოფსონმა შეძლო ის, რაც ვერაფრით ვერ მოახერხა მისმა ლეგენდარულმა თანამემამულემ მაგდალენა ფორსბერგმა — ოლიმპიური ოქრო მოიგო, რითაც უზომოდ გაახარა ტრიბუნებზე მჯდარი მონარქი შვედეთისა.

ოლოფსონის გამარჯვების გარანტად მისი კარგი სროლა გამოდგა — ის მხოლოდ ერთხელ შეცდა. სრიალის სიჩქარეში კი მას ბევრი ვერ გაეჯიბრება, რადგან ოლოფსონი კარგა ხანს ბარის მოთხილამურე გახლდათ და მხოლოდ სამიოდე წელია, რაც ბიატლონზე გადაერთო. მისთვის მთავარი პრობლემა ყოველთვის სროლა იყო, მაგრამ არა ამ შაბათს.

**ქახა ლომაშვილი**



AFP ტურინიდან

ანა-კარინ ოლოფსონმა ყველა გერმანელს ერთად მოუგო



AFP ტურინიდან

ავსტრიული პოდიუმი: ჰერბსტი, რაიხი და შონფელდერი

# მეორე რაიხ(ულ)ი

## როკას როკვა არ შედგა

**მთის თხილამურობა**

**კაცები**

სლალომი

1 ბენჯამინ რაიხი (ავსტრია) — 1.43,14
2 რაინფრიდ ჰერბსტი (ავსტრია) — 1.43,97
3 რაინერ შონფელდერი (ავსტრია) — 1.44, 15
32 იასონ აბრამაშვილი (საქართველო) — 1.58,67

შაბათს ქართველმა სპორტსმენებმა დაასრულეს ტურინის ოლიმპიადაზე გამოსვლა. სამთო მოთხილამურე იასონ აბრამიშვილმა სლალომში მიიღო მონაწილეობა. ტრასა მართლაც ურთულესი იყო და ბევრმა ფავორიტმა შეცდომების გამო ფინიშსაც ვერ მიაღწია. ქართველმა კი ორივე ცდა უშეცდომოდ გაიარა და საბოლოოდ 32-ე ადგილზე გავიდა.

მედლებისთვის ბრძოლა კი ავსტრიელთა აბსოლუტური ტრიუმფით დამთავრდა. არადა, ტურინის ოლიმპიადა მათთვის მეტად უიღბლოდ დაიწყო, მაგრამ ყველაზე „სამთო“ ქვეყანამ საბოლოოდ თოთხმეტი მედლის მოგება შეძლო, რომელთაგან ოთხი ოქროა.

მეტად უიღბლო გამოდგა ოლიმპიადის დასაწყისი კონკრეტულად ბენჯამინ რაიხისთვისაც. მაგრამ ოლიმპიადის მეორე ნახევარში ბედმა ორჯერ გაუღიმა და ისიც ავსტრიაში ორგზის ოლიმპიური ჩემპიონის რანგში ბრუნდება. არადა, ვინ აღარ ლანძღავდა რაიხს, როცა კომბინაციის დროს ბავშვური შეცდომა დაუშვა და თითქმის მოგებული ოქრო ამერიკელ ტედ ლიგეტის დაუთმო.

მაგრამ რაიხი, თანამემამულე მიხაელ ვალჰოფერისგან განსხვავებით — რომელმაც სწრაფდაშვებაში სენსაციურად წააგო ფრანგ ანტუან დენერიასთან და შემდეგ იმედგაცრუებული ავსტრიაში გაბრუნდა — მორალურად არ გამტყდარა და კარგად დაჯილდოვდა.

ავსტრიელისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა სწორედ სლალომის და თანაც იტალიაში მოგებას აქვს. რაიხი ამ სახეობის მთავარ სპეციალისტად კი ითვლებოდა, მაგრამ იტალიელმა ჯორჯო როკამ წლეულს მას უბრალოდ სისხლი გაუშრო. აპენინელმა უკვე მოახერხა სლალომის საერთო ჩათვლის მოგება და ტურინშიც მთავარ ფავორიტად ითვლებოდა, მაგრამ...

ბედი ტყუილად არ გვიხსენებია. როკა პირველივე ცდაზე შეცდა და ასე უაზროდ გაეფანტა ოქროს ნისლი. პირველ ცდაზე იგივე შეცდომები გაიმეორეს ამერიკელებმა — ტედ ლიგეტიმ და ბაქიბუქა ბოდე მილერმა, რომელიც კვლავ ოლიმპიური ოქროს გარეშე დარჩა და ზამთრის XX ოლიმპიადის მოგონებებიდან ტკბილად მხოლოდ ტურინის ღამის ბარებში გატარებული დრო თუ გაახსენდება.

რაიხს იღბალი კიდევ ერთხელ, მეორე ცდაზე დაეხმარა, როცა მისმა მთავარმა მდევარმა, ფინელმა კალე პალანდერმა დიდებულად გაიარა ტრასა და მშვენიერი შედეგიც აჩვენა. ავსტრიელს ძალიან გაუჭირდებოდა იგივეს გამეორება, მაგრამ მსაჯებმა დააფიქსირეს, რომ ფინელს ერთი კარის გავლა ვერ მოუხერხებია, რაც ავტომატური დისკვალიფიკაციის ტოლფასია.

ამის შემდეგ რაიხმა ძალიან წყნარად, ყოველგვარი რისკის გარეშე გაიარა ტრასა და მიქაელა დორფმაისტერის მსგავსად ოქროს დუბლი შეასრულა:

„დიდებულია.... ჩემგან ყველა ბევრს მოელოდა... მე უკვე ვიყავი ტურინის ერთგზის ჩემპიონი, ასე რომ, დასაკარგი აღარაფერი მქონდა და ზეწოლისგანაც თავისუფალი ვიყავი, რაც ძალიან დამეხმარა“ — თქვა რაიხმა.

სლალომი კი ავსტრიელთა აბსოლუტური ტრიუმფით დამთავრდა, ვინაიდან პოდიუმზე მხოლოდ ამ ქვეყნის წარმომადგენლები ავიდნენ. ვერცხლი რაინფრიდ ჰერბსტმა, ბრინჯაო კი რაინერ შონფელდერმა მოიგეს.

„ამის წარმოდგენა ვის შეეძლო, პოდიუმზე მარტო ჩვენები იყვნენ... ნამდვილი სიზმარია“ — ემოციებს ვერ მალავდა ავსტრიელთა მწვრთნელი ტონი გიგერი.

ჰერბსტმა და შონფელდერმა რაიხი ხელში აიყვანეს, წინ და უკან დაატარებდნენ და პოზიორობდნენ ფოტოგრაფების წინაშე.

**ქახა ლომაშვილი**



წუხელ ტკბილ სიზმრებს ფინელები კი არა, შვედები ნახავდნენ

AFP ტურინიდან



ფინელებს ოლიმპიური ვერცხლი გულმკერდს უთუთქავს

# სიზმრად ვნახე შენი სახე

## ფინელები მოზობლებმა გამოაღვიძეს

ჰოკეი

24 თებერვალი
ნახევარფინალი

**შვედეთი 7:3 ჩეხეთი**
*2:1 4:2 1:0*

**1:0 მოდინი (1), 1:1 კუბა (4), 2:1 აქსელსონი (14), 3:1 ჰ. სედინი (22), 4:1 ბეკმანი (24), 5:1 ი. იონსონი (28), 5:2 ჰემსკი (31), 5:3 პროსპალი (32), 6:3 ალფრედსონი (39), 7:3 ჰოლმსტრომი (57)**

ამ მატჩის წინ ვინმეს რომ ეთქვა, საქმე ისე წავა, შვედების თავკაცები მესამე პერიოდში თავიანთ ლიდერებს დაასვენებენ და მათ ყინულზე არ გამოიყვანენო, სულელად ჩათვლიდნენ. ვინ იფიქრებდა, რომ ნახევარფინალში ბოლო მესამედი აზრს დაკარგავდა...

მაგრამ ფაქტია, ასეთი რამ მოხდა პარასკევს. ამ თამაშში ერთი გუნდის, შვედეთის უპირატესობა უდიდესი იყო, ხოლო მეორემ, ჩეხეთმა პრაქტიკულად მხოლოდ 3-4 წუთის განმავლობაში თუ გამოამჟღავნა თავისი პოტენციალი. ჩეხი გულშემატკივრები ტრიბუნებიდინ გაოგნებულნი უყურებდნენ თამაშს... მათი საქომაგო გუნდი სულაც არ ჰგავდა იმ მრისხანე რაზმს, რომლის გაუვალ დაცვაზე ლეგენდები დადის. შვედი ფორვარდები თავიანთ გემოზე თარეშობდნენ მეტოქის ზონაში, თან მშვიდად და აუჩქარებლად. ეგებ ზოგმა ყველაფერი ჩეხთა მეკარე მარტინ ჰნიჩკას დააბრალოს — ჰაშეკის ტრავმისა და კოკოუნის სუსტი თამაშის გამო, ხომ ნაკრების მესამე მეკარეს მოუწია ქვეყნის ღირსების დაცვა. თუმც მარტო ჰნიჩკას ბრალიც არ იყო ეს მარცხი.

მატჩში ინტრიგა მხოლოდ ერთხელ გაცოცხლდა. მას შემდეგ, რაც ჩეხებმა ორი გოლი გაქვითეს, ოთხწუთიანი რიცხვმრავლობა ჰქონდათ, მაგრამ ვერ გამოიყენეს.

**ფინეთი 4:0 რუსეთი**
**1:0 2:0 1:0**

**1:0 პელტონენი (7), 2:0 ლუდმანი (30), 3:0 კოივუ (34), 4:0 ო. იოკინენი (50)**

ძნელი გახსენებულია, დიდი ტურნირზე როდის ვნახეთ ესოდენ მშვიდი და უსიცოცხლო ნახევარფინალები.

რუს ჟურნალისტებს ერთი ასეთი ჩვევა აქვთ, ყველა მნიშვნელოვანი მატჩის წაგების შემდეგ მსაჯების დადანაშაულებას იწყებენ, მიზეზები არ ელევათ. ამჯერად კი ყველამ ერთხმად განაცხადა, რომ ეს დამსახურებული მარცხი იყო და ფინეთმა პირწმინდად მოუგო მეტოქეს. რუსებმა მას შემდეგ აურიეს, როცა მათ კარში პირველი შაიბა გავიდა — ვილე პელტონენმა ოსტატურად შეუცვალა მიმართულება შაიბას. ამის მერე რუსებმა კომბინაციურ თამაშს ინდივიდუალური ჯახირი ამჯობინეს და ფინელებსაც ეს უნდოდათ, ჯერ ტონი ლუდმანმა კონტრშეტევაში იყოჩაღა, შემდეგ კი თავად კაპიტანმა საკუ კოივუმ გამოიყენა რიცხმრავლობა. დანარჩენი კი დროის და ტექნიკის საქმე იყო.

„ალბათ, ჩვენ მთავარი მატჩი უკვე ჩავატარეთ. კანადის დამარცხების შემდეგ გუნდი ფიზიკურად და მორალურად გამოფიტული იყო და ამან გადამწყვეტი როლი შეასრულა" — თავი იმართლა რუსთა თავკაცმა ვლადიმერ კრიკუნოვმა.

25 თებერვალი
მე-3 ადგილისთვის

**ჩეხეთი 3:0 რუსეთი**
**1:0 1:0 1:0**

**1:0 ერატი (51), 2:0 ჟიდლიცკი (27), 3:0 სტრაკა (60)**

რუსებს ზედიზედ მესამე ოლიმპიადაზე გაუცურდათ თითებშუა მედალი. ფინელებთან თამაშისგან განსხვავებით, ისინი უკეთ გამოიყურებოდნენ და არც ჩეხეთს მოუკლავს მაინცდამაინც თავი. მაგრამ მსოფლიოს ჩემპიონების პირველივე სერიოზული შეტევა გოლით დასრულდა, ხოლო მეორე მესამედში რუსები ილია კოვალჩუკმა დაალალატა. მისი უაზრო უხეშობის შემდეგ ჩეხებმა 5-წუთიანი რიცხვმრავლობა მიიღეს და ერთხელ გამოიყენეს კიდევაც მარეკ ჟიდლიცკის გასროლის შემდეგ. მარტინ სტრაკამ კი ცარიელ კარში გაიტანა.

26 თებერვალი
ფინალი

**ფინეთი 2:3 შვედეთი**
*1:0 1:2 0:1*

**1:0 ტიმონენი (15), 1:1 ზეტერბერგი (25), 2:1 კრენვალი (34), 2:2 პელტინენი (35), 3:2 ლიდსტრიომი (41)**

„ბავშვობაში სულ ერთ სიზმარს ვხედავდი, თითქოს ნაკრების შემადგენლობაში ოლიმპიადაზე ვთამაშობ, ფინალში გავდივარ, და იქ შვედებს ვხვდები" — თქვა ნახევარფინალის შემდეგ ფინეთის ნაკრების ლიდერმა საკუ კოვუმ. ალბათ ამასვე ოცნებობს ათასობით ფინელი და შვედი ბიჭუნა. ამ ორ სკანდინავიურ ქვეყანაში ჰოკეი ხომ სპორტის ყველაზე პოპულარული სახეობაა. ფინელების და შვედების დაპირისპირება ყოველთვის განსაკუთრებულია. ეს ქვეყნები აქამდე ფინალში მხოლოდ ერთხელ შეჯახებიან ერთმანეთს. 48 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ორმატჩიანი „ანტიჰოკეი" — 1:0, 0:0 დღემდე ბევრს ახსოვს. და აი, 2006 წლის 26 თებერვალს ტურინის „პალასპორტ ოლიმპიკოში" მეორე, გაცილებით უფრ მნიშვნელოვანი შეხვედრა შედგა.

სამწუხაროდ, საკუ კოივუს არ უთქვამს ჟურნალისტებისთვის, ვინ იგებდა ოლიმპიურ ფინალს მის სიზმრებში. სინამდვილე კი მისთვის და ფინეთის ნაკრებისთვის მწარე გამოდგა. 6 ბრწყინვალედ მოგებული მატჩის შემდეგ „სუომის" ნაკრებმა ტურინში მხოლოდ ერთხელ წააგო, მაგრამ ეს მარცხი ყველაზე საწყენი აღმოჩნდა.

არადა, თამაში თითქოსდა კარგად დაიწყო ჯოვუს გუნდისთვის. მეორე ჯარიმა ძვირად დაუჯდა შვედებს. კიმო ტიმონენის შორეული დარტყმის შემდეგ კოივუმ ოსტატურად გადაეფარა მეტოქის მეკარე ჰენრიკ ლუნდკვისტს და ამ უკანასკნელმა შაიბა მხოლოდ კარის ბადეში შეამჩნია.

შვედების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ სწორი დასკვნები გამოიტანეს და მეორე პერიოდი გაცილებით აქტიურად დაიწყეს. „სუომის" გუნდიც ოდნავ დაიბნა, რის შედეგადაც ზედიზედ ოთხჯერ უმცირესობაში მოუწია თამაში. ერთ-ერთის დროს ეშმაკმა ჰენრიკ ზეტერბერგმა მოულოდნელი დარტყმით დალაშქრა მეტოქის კარი, ხოლო მომდევნო რიცხვმრავლობა უკვე მცველმა ნიკლას კრენვალმა გამოიყენა ჩინებული ინდივიდუალური ძალისხმევისა და უზუსტესი დარტყმის წყალობით.

წონასწორობა 15 წუთში აღდგა — ფინელთა ვეტერანმა ვისე პელტონენმა ჩინებულად დაასრულა პარტნიორთა ლამაზი კომბინაცია. ორი პერიოდის შემდეგ ყაიმი გარკვეულწილად იმის მინიშნებული იყო, რომ ოვერტაიმისა და ბულიტების სერიასაც ვნახავდით, მაგრამ, ყველასთვის მოულოდნელად, შაიბის პირველი ჩაგდებისთანავე შვედებმა სწრაფი იერიში წამოიწყეს და მცველმა ნიკლას ლიდსტრიომმა მე-10 წამზევე დააწინაურა თავისიანები. აღსანიშნავია, რომ შვედების სამივე გოლი „დეტროიტის" მოთამაშეებმა გაიტანეს. სწორედ ლიდსტრიომის გოლის დამსახურებაა, რომ თამაში კიდევ უფრო გამოცოცხლდა. განსაკუთრებით საინტერესო გამოვიდა ბოლო წუთები, როცა ფინელებმა ლამის დაალწიეს თავი მარცხს, მაგრამ შვედებმა მაინც გაუძლეს და მეორედ თავიანთ ისტორიაში ოლიმპიური ჩემპიონები გახდნენ.

ფინელებისთვის კი ეს მეორე ოლიმპიური „ვერცხლია". სხვა დროს „სუომისთვის" ეს დიდ წარმატებად ჩაითვლებოდა, მაგრამ... ამ ტურნირზე ფინეთის გუნდმა ალბათ საუკეთესო შთაბეჭდილება დატოვა. ყველაზე საწყენი კი მათთვის სწორედ შვედებთან მარცხია.



AFP ტურინიდან

**სამველ ლარიბიანი**

**მედლები**

| | | ო | ვ | ბ | სულ |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | გერმანია | 11 | 12 | 6 | 29 |
| 2 | აშშ | 9 | 9 | 7 | 25 |
| 3 | ავსტრია | 9 | 7 | 7 | 23 |
| 4 | რუსეთი | 8 | 6 | 8 | 22 |
| 5 | კანადა | 7 | 10 | 7 | 24 |
| 6 | შვედეთი | 7 | 2 | 5 | 14 |
| 7 | ს. კორეა | 6 | 3 | 2 | 11 |
| 8 | შვეიცარია | 5 | 4 | 5 | 14 |
| 9 | იტალია | 5 | - | 6 | 11 |
| 10 | საფრანგეთი | 3 | 2 | 4 | 9 |
| 11 | ჰოლანდია | 3 | 2 | 4 | 9 |
| 12 | ესტონეთი | 3 | - | - | 3 |
| 13 | ნორვეგია | 2 | 8 | 9 | 19 |
| 14 | ჩინეთი | 2 | 4 | 5 | 11 |
| 15 | ჩეხეთი | 1 | 2 | 1 | 4 |
| 16 | ხორვატია | 1 | 2 | - | 3 |
| 17 | ავსტრალია | 1 | - | 1 | 2 |
| 18 | იაპონია | 1 | - | - | 1 |
| 19 | ფინეთი | - | 6 | 3 | 9 |
| 20 | პოლონეთი | - | 1 | 1 | 2 |
| 21 | ბელარუსი | - | 1 | - | 1 |
| 22 | ბრიტანეთი | - | 1 | - | 1 |
| 23 | ბულგარეთი | - | 1 | - | 1 |
| 24 | სლოვაკეთი | - | 1 | - | 1 |
| 25 | უკრაინა | - | - | 2 | 2 |
| 26 | ლატვია | - | - | 1 | 1 |

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

## სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ინგლისი. I ლიგა** | | | | | | |
| | | **28 თებერვალი** | | | | | | |
| 23:45 | 25 | დონკასტერი-ბრენტფორდი | 2.15 | 3.10 | 3.00 | 1.26 | 1.25 | 1.52 |
| 23:45 | 26 | პორტ ვეილი-სკანთორპი | 1.80 | 3.30 | 3.80 | 1.16 | 1.22 | 1.76 |
| 23:45 | 27 | ბორნმუთი-ბარნსლი | 2.40 | 3.20 | 2.60 | 1.37 | 1.24 | 1.43 |
| | | **ინგლისი. II ლიგა** | | | | | | |
| | | **28 თებერვალი** | | | | | | |
| 23:45 | 40 | ლეიტონი-ბარნეტი | 1.60 | 3.30 | 5.30 | 1.07 | 1.22 | 2.03 |
| 23:45 | 41 | როჩდეილი-ბერი | 1.95 | 3.10 | 3.50 | 1.19 | 1.25 | 1.64 |
| | | **ინგლისი. კონფერენსი** | | | | | | |
| | | **27 თებერვალი** | | | | | | |
| 23:45 | 54 | ჰერეფორდი-სტივენეჯი | 1.80 | 3.30 | 3.80 | 1.16 | 1.22 | 1.76 |
| | | **28 თებერვალი** | | | | | | |
| 23:45 | 55 | კენვი-უოკინგი | 2.25 | 3.20 | 2.75 | 1.32 | 1.23 | 1.47 |
| 23:45 | 56 | გრეივსენდი-ქროული | 1.75 | 3.20 | 4.20 | 1.13 | 1.23 | 1.81 |
| | | **შოტლანდია. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **28 თებერვალი** | | | | | | |
| 23:30 | 77 | ქუინი-დანდი | 2.85 | 3.20 | 2.15 | 1.50 | 1.22 | 1.28 |
| | | **შოტლანდია. II დივიზიონი** | | | | | | |
| | | **28 თებერვალი** | | | | | | |
| 23:30 | 83 | სტირლინგი-გრეტნა | 5.50 | 4.00 | 1.45 | 2.31 | 1.14 | 1.06 |
| 23:30 | 84 | ალოა-პარტიკი | 5.50 | 3.50 | 1.50 | 2.13 | 1.17 | 1.04 |
| 23:30 | 85 | ფორფარი-რეითი | 2.35 | 3.40 | 2.40 | 1.38 | 1.18 | 1.40 |
| | | **შოტლანდია. III დივიზიონი** | | | | | | |
| | | **28 თებერვალი** | | | | | | |
| 23:30 | 91 | სტენჰაუსმუირი-ალბიონი | 1.35 | 4.30 | 6.50 | 1.02 | 1.11 | 2.58 |
| 23:30 | 92 | ისტ სტირლინგი-კოუდენბითი | 7.00 | 4.20 | 1.35 | 2.62 | 1.13 | 1.02 |
| 23:30 | 93 | არბროთი-ქუინს პარკი | 1.85 | 3.40 | 3.50 | 1.19 | 1.21 | 1.72 |
| | | **გერმანია. II ბუნდესლიგა** | | | | | | |
| | | **27 თებერვალი** | | | | | | |
| 23:15 | 110 | ფრაიბურგი-მიუნხენი 1860 | 1.85 | 3.30 | 3.60 | 1.18 | 1.22 | 1.72 |
| | | **იტალია. სერია B** | | | | | | |
| | | **27 თებერვალი** | | | | | | |
| 23:45 | 175 | ალბინოლეფე-ატალანტა | 5.00 | 3.00 | 1.75 | 1.87 | 1.29 | 1.10 |
| | | **იტალია. სერია C1/A** | | | | | | |
| | | **27 თებერვალი** | | | | | | |
| 23:45 | 187 | პავია-სპეცია | 2.65 | 2.60 | 2.85 | 1.31 | 1.37 | 1.35 |
| | | **საფრანგეთი. II დივიზიონი** | | | | | | |
| | | **27 თებერვალი** | | | | | | |
| 23:30 | 241 | მონპელიე-სეტე | 1.50 | 3.30 | 6.30 | 1.03 | 1.21 | 2.16 |
| | | **პორტუგალია. სუპერლიგა** | | | | | | |
| | | **27 თებერვალი** | | | | | | |
| 23:45 | 294 | ბრაგა-რიო ავე | 1.50 | 3.70 | 5.70 | 1.06 | 1.18 | 2.24 |
| | | **ჩეხეთი** | | | | | | |
| | | **27 თებერვალი** | | | | | | |
| 19:40 | 353 | სლავია-სიგმა | 1.55 | 3.40 | 5.20 | 1.06 | 1.19 | 2.05 |
| | | **ამხანაგური მატჩები** | | | | | | |
| | | **1 მარტი** | | | | | | |
| 21:00 | 451 | საბერძნეთი-ბელარუსი | 1.55 | 3.30 | 5.50 | 1.05 | 1.20 | 2.06 |
| 22:00 | 452 | სენეგალი-ნორვეგია | 1.80 | 3.10 | 4.00 | 1.13 | 1.24 | 1.74 |
| 22:00 | 453 | რუსეთი-ბრაზილია | 4.60 | 3.20 | 1.65 | 1.88 | 1.21 | 1.08 |
| 22:00 | 454 | ისრაელი-დანია | 2.60 | 3.10 | 2.35 | 1.41 | 1.23 | 1.33 |
| 22:00 | 455 | ტუნისი-სერბეთი | 2.30 | 3.10 | 2.75 | 1.32 | 1.25 | 1.45 |
| 23:00 | 457 | აშშ-პოლონეთი | 2.50 | 3.10 | 2.45 | 1.38 | 1.23 | 1.36 |
| 23:30 | 458 | ავსტრია-კანადა | 1.50 | 3.40 | 6.00 | 1.04 | 1.20 | 2.17 |
| 23:30 | 459 | ჰოლანდია-ეკვადორი | 1.25 | 4.60 | 9.50 | 1.00 | 1.10 | 3.09 |
| 23:45 | 460 | ხორვატია-არგენტინა | 5.00 | 3.30 | 1.60 | 1.98 | 1.21 | 1.07 |
| 23:45 | 461 | ინგლისი-ურუგვაი | 1.45 | 3.50 | 6.50 | 1.02 | 1.18 | 2.27 |
| 23:45 | 462 | თურქეთი-ჩეხეთი | 2.45 | 3.20 | 2.50 | 1.38 | 1.23 | 1.40 |
| 23:45 | 464 | უელსი-პარაგვაი | 2.60 | 3.10 | 2.45 | 1.41 | 1.26 | 1.36 |
| 23:45 | 465 | ირლანდია-შვედეთი | 2.50 | 2.90 | 2.60 | 1.34 | 1.27 | 1.37 |
| 23:45 | 466 | საფრანგეთი-სლოვაკეთი | 1.25 | 4.30 | 9.50 | 1.00 | 1.10 | 2.96 |
| 23:45 | 467 | შოტლანდია-შვეიცარია | 2.50 | 3.10 | 2.50 | 1.38 | 1.25 | 1.38 |


CROCO BOOKMAKERS

კროკო

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქები სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება

## კროკოს ბიუროთა მისამართები

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | ფურცელაძის ქუჩა №10 | კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში |
| | ალმაშენებლის გამზირი №70 | |
| | გლდანის მასივი, ხიზანიშვილის ქუჩა №4 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №46 | მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან“ (ყოფილი „დელისი“) |
| | ნინამძღვრიშვილის ქუჩა №200 | ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში |
| | გურამიშვილის გამზირი №50 | მეტრო „ღრმაღელესთან“ |
| | წერეთლის გამზირი, კორპუსი №11 | |
| | ჭავჭავაძის გამზირი № 41 | |
| | გამსახურდიას გამზირი № 3 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №91 | |
| | იოანე პეტრიწის ქუჩა №13 | დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი |
| | ხუდადოვის ქუჩა №4 | |
| | დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, 1ა კორპუსი | |
| | მესამე მასივი, ჯავახეთისა და კალოუბნის ქუჩების გადაკვეთა | |
| | მელიქიშვილის ქუჩა №15 | |
| | ისანი -კახეთის გზატკეცილი | ისნის ბაზრობის მიმდებარე ტერიტორია |
| | წერეთლის გამზირი №141 | |
| ქუთაისი | ცისფერყანწელთა ქუჩა №4 | |
| გორი | სტალინის ქუჩა №14 | |
| თელავი | ერეკლე მეორის-ის ქუჩა №6 | |
| ბათუმი | მემედ აბაშიძის ქუჩა № 21 | |
| ოზურგეთი | იოანე პეტრიწის ქუჩა №3 | |
| საგარეჯო | დავით ალმაშენებლის №30 | |
| სამტრედია | თამარ მეფის №1 | |
| წნორი | სტალინის ქუჩა №1 | |
| ზუგდიდი | გამსახურდიას №41 | |
| რუსთავი | შარტავას ქუჩა №17-29 | |

შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

# შიგანს რა? ღვთის რისხვა

## ლიგის თასის ფინალი

**მანჩესტერი 4:0 უიგანი**

1:0 რუნი (33), 2:0 საა (55), 3:0 რონალდუ (59), 4:0 რუნი (61)
**მანჩესტერი:** ვან დერ სარი, გ. ნევილი, რ. ფერდინანდი, ვ. ბრაუნი (ვიდიჩი 83), სილვესტრი (ევრა 83), რონალდუ (კ. რიჩარდსონი 73), ოში, გიგზი, პარკი, რუნი, საა
მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი
**უიგანი:** პოლიტი (ფილანი 14), ჩიმბონდა, ანშო (მაკკალოხი 62), ბაინსი, დე ზეუვი, შარნერი, ბალარდი, კავანაფი (ციგლერი 72), ა. კამარა, რობერტსი, ტილი
მწვრთნელი: პოლ ჯუელი
გაფრთხილება: დე ზეუვი, რონალდუ
მსაჯი: ვაილი
66 866 მაყურებელი

**„მანჩესტერ იუნაიტედმა“** ისტორიაში მეორედ მოიგო ლიგის თასი, რომლის ფინალშიც აქამდე ოთხჯერ წააგო. ყველაფერი ისე წარიმართა, რომ მსაჯ ალან ვაილის ყვითელი ბარათი არც გახსენებია, წითელზე რომ აღარაფერი ვთქვათ. საბრძოლო არაფერი დარჩა.

ეს თასი ერთგვარი ნუგეშია მანჩესტერელთა არეული და უიღბლო სეზონისთვის. ფინალის წინ სერ ალექს ფერგიუსონის ნათქვამით ისე გამოდიოდა, თუ ეს თასიც ვერ მოვიგე, ჩემს თანამდებობას საფრთხე დაემუქრება, რადგან ჩვენ სწორედ მანამდე ვართ თანამდებობებზე, სანამ ჯილდოებს ვიგებთო. პოლ ჯუელი კი ამტკიცებდა, ბიჭებს ჩავაგონე, რომ ფინალი ერთი ჩვეულებრივი თამაშია, რომელიც უნდა მოვიგოთო. ერთი ჩვეულებრივი როგორი იყო: „უიგანი“ თავის ისტორიაში პირველად იყო რაგინდარა ფინალში.

თამაში კი იმით დაიწყო, რომ უეინ რუნიმ ძელს ჰკრა თავურით. მერე იყო დიდი უიღბლობა: უკვე მე-13 წუთზე უიგანელებს მეკარე მაიკლ პოლიტი გაუხდათ შესაცვლელი. დაშავებულის ნაცვლად კარში ჯონ ფილანი ჩადგა. აქამდე „მანჩესტერი“ პენალტსაც ითხოვდა, ოღონდ მსაჯმა ალან ვაილიმ განზე გაიხედა.

33-ე წუთზე ედვინ ვან დერ სარმა ისე შორს დაარტყა, რომ უიგანელებმა ამ გრძელი ბურთის მიღებაში ერთმანეთს ხელი შეუშალეს, უეინ რუნიმ კი ის ფეხებში მოიგდო და ანგარიში გახსნა.

მეორე ტაიმი „უიგანმა“ ცოცხლად დაიწყო და მთავარმეგოლე ჯეისონ რობერტსიც გვარიანად აწვალებდა მანჩესტერელ მცველებს. მაგრამ უიგანელები სწორედ ამ გაწყობაზე გამოიჭირეს „მანჩესტერმა“ სწრაფად დაატრიალა კომბინაცია გიგზ-რონალდუ-ნევილი და ბოლო ფეხად ლუის საა გამოვიდა — 2:0. თამაში აქ დამთავრდა. მერე იყო ხუთწუთიანი კოშმარი, რომლის შედეგადაც „უიგანი“ აღარ არსებობდა. ანგარიშში სხვაობა კი ოთხი ბურთი იყო, ისევე, როგორც ამ გუნდების სალიგო მატჩისას დეკემბერში.

ამ მხრივ ეს მართლაც ჩვეულებრივ მატჩს ჰგავდა, ოღონდაც ის ღვთის რისხვად იქცა უიგანელთათვის, რომლებმაც საუცხოო გზა განვლეს ფინალამდე და „არსენალიც“ კი წააყირავეს.

მოკლედ, გოლიათთა საბოლოო წაქცევა არ გამოვიდა. ფერგი კი ხარობდა, მაგრამ თასი მაინც ეპატარავებოდა.

**ირაკლი გამყრელიძე**


ეროვნული ბიბლიოთეკა

AFP

ფერგიუსონს ლიგის თასი კი გაუხარდა, მაგრამ თან ეპატარავება ჟიდეც

# დროებითი სამუდმივო საქმეს აკეთებს

## ინგლისი
### პრემიერლიგა
### XXVII ტური

**ბლექბერნი 1:0 არსენალი**

1:0 პედერსენი (18)
**ბლექბერნი:** ფრიდელი, ნილი, ნელსენი, ტოდი, მ. გრეი, ე. რიდი, სევიჯი, თუგაი (ბენტლი 68), მ. პედერსენი (პეტერი 20), ბელამი, სინამა-პონიოლი (მოკოენა 74)
მწვრთნელი: მარკ ჰიუზი
**არსენალი:** ლემანი, ებუ, კ. ტურე, სენდეროსი, ფლამინი, ფაბრეგასი, დიაბი (გლები 63), ჟილბერტო სილვა (ლუპოლი 82), რეიესი (პირესი 46), ანრი, ადებაიორი
მწვრთნელი: არსენ ვენგერი
გაფრთხილება: ტოდი, პეტერი, ბენტლი, ტურე, ლემანი
მსაჯი: რენიე
22 504 მაყურებელი

**ჩელსი 2:0 პორტსმუთი**

1:0 ლამპარდი (65), 2:0 რობენი (78)
**ჩელსი:** ჩეხი, პ. ფერეირა, ტერი, ჰუთი, დელ ორნო (დაფი 31), შ. რაიტ-ფილიპსი (მაკელელე 60), ქარვალიო, ლამპარდი, ჯ. კოული (გუდიონსენი 60), რობენი, დროგბა
მწვრთნელი: ჟოზე მაურინიუ
**პორტსმუთი:** კაილი, პრიმუსი, კარაგასი, ე. ობრაიენი, მეთიუ ტეილორი, გ. ონილი, პ. მენდეში, ს. ჰიუზი (საიმონ დევისი 72), კორომანი (რუტლეჯი 60), ლუა ლუა, მვარუვარი
მწვრთნელი: ჰარი რედნაპი
გაფრთხილება: ლუა ლუა
მსაჯი: რაილი
42 254 მაყურებელი

**ლივერპული 1:0 სიტი**

1:0 კიუელი (40)
**ლივერპული:** რეინა, აგერი, ფინანი, ჰიიპია, ხაბი ალონსო (ჰამანი 31), ჯერარდი, კიუელი (ჯ. ტრაორე 85), კრომკამპი, რიისე, მორიენტესი, კროუჩი (ლუის გარსია 75)
მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი
**სიტი:** ჯეიმსი, დისტინი, რ. დანი, მილსი, ბარტონი, ჯორდანი, მუსამპა, რიერა (კროფტი 78), სინკლერი (აირლენდი 67), სიბიერსკი (ბ. რაიტ-ფილიპსი 46), სამარასი
მწვრთნელი: სტიუარტ პირსი
გაფრთხილება: ბარტონი, სამარასი
გაძევება: ბარტონი (52)
მსაჯი: გალაჰერი
44 121 მაყურებელი

**ნიუკასლი 2:0 ევერტონი**

1:0, 2:0 სოლანო (64, 76)
**ნიუკასლი:** გივენი, რიმეიჯი, ბუმსონგი, ს. ელიოტი, ბაბაიარო, სოლანო, პარკერი, ემრე (კლარკი 79), ნზოგბია (პეტისონი 90), ბოიერი, ამეობი
მწვრთნელი: გლენ როიდერი
**ევერტონი:** ვესტერფელდი, იობო, სტაბსი, ვეირი, ნუნო ვალენტე, ოსმანი, არტეტა, ჩეპილი (კარსლი 74), კევინ დევისი, კილბეინი (მაკფადენი 68), ბიტი
მწვრთნელი: დევიდ მოიესი
გაფრთხილება: პარკერი, ჩეპილი
მსაჯი: პოლი
51 916 მაყურებელი

**ბირმინგემი 1:0 სანდერლენდი**

1:0 ჰესკი (39)
**ბირმინგემი:** მაიკ ტეილორი, მელხიოტი, ლატკა, მარტინ ტეილორი, ჯ. გრეი, პენანტი, დ. ჯონსონი (ბათი 25), იზეტი (დ. დანი 75), იაროშიკი, სატონი (სტივენ კემპბელი 46), ჰესკი
მწვრთნელი: სტივ ბრიუსი
**სანდერლენდი:** კელვინ დევისი, ნოსვორთი, ბრინი (ვუდსი 82), კოლინზი, ჰოიტი, ლოურენსი (დელაპი 46), უიტიჰიდი, ლიდბიტერი, არკა, კოლი, დერილ მერფი (რ. ელიოტი 46)
მწვრთნელი: მიკ მაკარტი
გაფრთხილება: ნოსვორთი, უიტიჰიდი, ლიდბიტერი
მსაჯი: ბენეტი
29 257 მაყურებელი

**ჩარლტონი 0:0 ასტონ ვილა**

**ჩარლტონი:** მირე, იანგი, პერი, ჰრეიდარსონი, სპექტორი, ამბროზი, კიშიშევი, ჰოლანდი (ელ კარკური 72), ბ. ჰიუზი (იუელი 62), მ. ბენტი (ბოტროიდი 57), დ. ბენტი
მწვრთნელი: ალან კერბიშლი
**ასტონ ვილა:** სორენსენი, ა. ჰიუზი (დ. მური 46), რიდგუელი, მელბერგი, ჯ. სამუელი, მილნერი, სტივენ დევისი, ნ. მაკკანი, ბერი, ანხელი (ფილიპსი 65), ბაროში
მწვრთნელი: დევიდ ოლირი
გაფრთხილება: ბერი
მსაჯი: ფოი
26 594 მაყურებელი

**ბოლტონი 2:1 ფულემი**

0:1 ჰელგუსონი (22), 1:1 ჰელგუსონი (45ხ.კ.), 2:1 ნოლანი (68)
**ბოლტონი:** იასკელაინენი, ჯაიდი, ნგოტი, აბდულა ფეიე (სპიდი 60), რ. გარდნერი, იანაკოპულოსი, ნაკატა (ვაზ ტე 82), კ. ნოლანი, ჯ. ობრაიენი, ოკოჩა (ბენ ჰაიმი 90), კევინ დევისი
მწვრთნელი: სემ ალარდაისი
**ფულემი:** ვარნერი, ბოკანეგრა, ბრიჯი, ნაითი, ვოლცი, ს. ელიოტი, მალბრანკი, ბოა მორტე, ჰელგუსონი, ბ. მაკბრაიდი (კ. ჯონი 75), რაძინსკი (პ. ბ. დიოპი 75)
მწვრთნელი: კრის კოულმენი
გაფრთხილება: ბოა მორტე, ნოლანი
მსაჯი: დოუმდი
23 104 მაყურებელი

**ვესტ ბრომვიჩი 0:2 მიდლსბრო**

0:1, 0:2 ჰასელბაინკი (17, 44)
**ვესტ ბრომვიჩი:** კუშჩაკი, ალბრეხტსენი (ინამოტო 81), კლემენტი, კურტის დევისი, პ. რობინსონი, უოლვორკი, გრინინი, ქვოში, კ. კემპბელი (კოზაკი 58), დ. კამარა, ნ. კანუ (ელინგტონი 81)
მწვრთნელი: ბრაიან რობსონი
**მიდლსბრო:** შვარცერი, პარნაბი, რიგოტი, პოგატეცი, კედრუ, საუთგეიტი, ბოატენგი, კეტერმოლი, მენდიეტა (ე. დევისი 80), ჰასელბაინკი (მაკარონე 72), აიეგბენი (ვიდუკა 88)
მწვრთნელი: სტივ მაკლარენი
გაფრთხილება: საუთგეიტი, კეტერმოლი
გაძევება: ქვოში (54)
მსაჯი: დინი
24 061 მაყურებელი

**რატომ** ეძებს „ნიუკასლი“ ახალ მწვრთნელს? რაში სჭირდება დიდი სახელი?

დროებითი მეთაურის გლენ როიდერის ხელში გუნდი იგებს და იგებს. მორიგი მსხვერპლი „ევერტონია“, რომელსაც 28 დეკემბრის შემდეგ არ წაეგო პრემიერლიგაში.

ნოლბერტო სოლანოს წყვილმა გოლმა ალან შირერის გარეშე მოთამაშე „ნიუკასლი“ მე-11 ადგილზე ააცოცა და „ევერტონი“ საფეხურით დაბლა დატოვა.

თამაშის წინ როიდერმა გვარიანად შეახურა თავისი ფეხბურთელები, წინა, სათასო მატჩში შემართება დაუწუნა. მატჩის შემდეგ კი ჭკვიანური რამ თქვა კაპიტნად მყოფ სკოტ პარკერზე: „ფეხბურთი ყოველთვის შეხედულობათა ჭიდილი იყო და ასეთად დარჩება. მაგრამ მე მიკვირს, რატომ არ არის ნაკრებში პარკერი“. უვარგისად არც „ევერტონი“ გამოიყურებოდა, თუმცა მხოლოდ პირველ ტაიმში.

ამასობაში კი „ივუდ პარკზე“ წააგო „არსენალმა“ — მეათედ ამ სეზონში და „ბერნაბეუს“ ძლევამოსილად მოვლის შემდეგ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მეთოფეებს მძიმედ საბრძოლი შეექნებათ საგაისო ჩემპიონთა ლიგის ადგილი. ბლექბერნელთა გამარჯვების გოლი ადრევე გაიტანა მორტენ გამსტ პედერსენმა, რომელსაც კრეიგ ბელამიმ ჩაუწოდა. პედერსენი გოლის გატანისას დაშავდა და შეცვალეს, თუმცა მთელი 70 წუთის განმავლობაში „არსენალმა“ ვერაფერი მოახერხა: „ხასიათი გვაკლდა — თქვა არსენ ვენგერმა — თუმცა, რაც შევძელი, ყველაფერი გავიღეთ.

დრამატული ოთხშაბათის შემდეგ ოდნავ მოფერიანდა „ჩელსი“, რომელმაც შინ „პორტსმუთს“ მოუგო, თუმცა საათზე მეტხანს ცდილობდა ზღვისპირელთა გატეხვას, მერე ფრენკ ფრენკის ძემ დააჯახა და არიენ რობენმაც. საქმე რომ გაჭირდა, მაურინიუმ კვლავ შეუშვა მოედანზე კლოდ მაკელელე და მას დემიენ დაფი დაამატა.

„სანდერლენდმა“ კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა დაბლა ლიგისკენ. ბირმინგემში ემილ ჰესკის ვინ იცის მერამდენე უტყუარმა თავურმა მასპინძელ „სიტის“ თამაში მოაგებინა. „სანდერლენდმა“ იომა, მაგრამ ისტორია დამთავრებული ჩანს.

„ასტონ ვილა“ კი „ჩარლტონს“ სტუმრობდა და თამაშში გოლი არ გასულა. „ჩარლტონს“ ზედიზედ მეორე უგოლო თამაში გამოუვიდა, სვენ გორონ ერიკსონი კი ტრიბუნაზე იჯდა და მასპინძელთა დარენ ბენტს აკვირდებოდა. საერთო ცნობით, ბენტს სანაკრებო შანსი მიეცემა, თუმცა შაბათ საღამოს მან თავი ვერაფრით გამოიჩინა.

**ირაკლი გამყრელიძე**

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ვან ნისტელროოი (მანჩესტერი) | 19 |
| ანრი (არსენალი) | 15 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩელსი | 27 | 22 | 3 | 2 | 54:16 | 69 |
| მანჩესტერი | 26 | 16 | 6 | 4 | 52:27 | 54 |
| ლივერპული | 27 | 16 | 6 | 5 | 33:17 | 54 |
| ტოტენჰემი | 27 | 12 | 10 | 5 | 37:24 | 46 |
| ბლექბერნი | 27 | 13 | 4 | 10 | 34:31 | 43 |
| ბოლტონი | 25 | 11 | 9 | 5 | 32:24 | 42 |
| არსენალი | 27 | 12 | 5 | 10 | 39:22 | 41 |
| ვესტ ჰემი | 26 | 12 | 5 | 9 | 39:34 | 41 |
| უიგანი | 27 | 12 | 4 | 11 | 32:34 | 40 |
| სიტი | 27 | 11 | 4 | 12 | 36:31 | 37 |
| ნიუკასლი | 27 | 10 | 6 | 11 | 26:29 | 36 |
| ევერტონი | 27 | 11 | 3 | 13 | 19:34 | 36 |
| ჩარლტონი | 27 | 10 | 5 | 12 | 32:37 | 35 |
| ფულემი | 27 | 9 | 5 | 13 | 37:39 | 32 |
| ასტონ ვილა | 27 | 7 | 10 | 10 | 32:35 | 31 |
| მიდლსბრო | 26 | 8 | 7 | 11 | 35:44 | 31 |
| ვესტ ბრომვიჩი | 27 | 7 | 5 | 15 | 24:40 | 26 |
| ბირმინგემი | 26 | 6 | 5 | 15 | 22:37 | 23 |
| პორტსმუთი | 27 | 4 | 6 | 17 | 18:47 | 18 |
| სანდერლენდი | 27 | 2 | 4 | 21 | 18:49 | 10 |

### XXVIII ტური
4-5 მარტი

| | | |
|---|---|---|
| ასტონ ვილა | : | პორტსმუთი |
| ფულემი | : | არსენალი |
| ლივერპული | : | ჩარლტონი |
| სიტი | : | სანდერლენდი |
| მიდლსბრო | : | ბირმინგემი |
| ნიუკასლი | : | ბოლტონი |
| ტოტენჰემი | : | ბლექბერნი |
| ვესტ ბრომვიჩი | : | ჩელსი |
| ვესტ ჰემი | : | ევერტონი |
| უიგანი | : | მანჩესტერი |

### ჩემპიონატი
### XXXVI ტური

ქოვენთრი — ბარნსლი 1:0; ქრიუ — ბრაიტონი 2:1; კრ. პალასი — ნორვიჩი 4:1; დერბი — პლიმუთი 1:0; ჰალი — ვულვზი 2:3; იფსვიჩი — ლესტერი 2:0; ლიდსი — ლუტონი 2:1; რედინგი — პრესტონი 2:1; შეფილდი — ქუინზ პარკი 2:3; საუთჰემპტონი — უენსდი 3:0; სტოკი — მილუოლი 2:1; უოტფორდი — კარდიფი 2:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რედინგი | 36 | 26 | 8 | 2 | 77:24 | 86 |
| შეფილდი | 36 | 22 | 8 | 6 | 64:37 | 74 |
| უოტფორდი | 36 | 19 | 10 | 7 | 65:41 | 67 |
| ლიდსი | 35 | 19 | 9 | 7 | 49:28 | 66 |
| კრ. პალასი | 35 | 17 | 9 | 9 | 52:34 | 60 |
| პრესტონი | 34 | 13 | 16 | 5 | 45:25 | 55 |
| ვულვზი | 35 | 13 | 14 | 8 | 40:30 | 53 |
| კარდიფი | 36 | 14 | 10 | 12 | 50:43 | 52 |
| იფსვიჩი | 36 | 13 | 11 | 12 | 42:48 | 50 |
| ლუტონი | 36 | 14 | 6 | 16 | 55:56 | 48 |
| ქოვენთრი | 36 | 12 | 11 | 13 | 48:53 | 47 |
| ნორვიჩი | 36 | 13 | 7 | 16 | 43:51 | 46 |
| ქუინზ პარკი | 35 | 12 | 9 | 14 | 41:50 | 45 |
| ბარნსლი | 35 | 12 | 7 | 16 | 41:44 | 43 |
| პლიმუთი | 35 | 10 | 13 | 12 | 32:39 | 43 |
| სტოკი | 34 | 13 | 4 | 17 | 37:48 | 43 |
| საუთჰემპტონი | 35 | 8 | 16 | 11 | 33:36 | 40 |
| ჰალი | 36 | 9 | 11 | 16 | 39:46 | 38 |
| დერბი | 36 | 7 | 17 | 12 | 43:52 | 38 |
| ლესტერი | 36 | 8 | 13 | 15 | 38:48 | 37 |
| უენსდი | 36 | 8 | 10 | 18 | 27:46 | 34 |
| მილუოლი | 36 | 5 | 14 | 17 | 26:49 | 29 |
| ბრაიტონი | 36 | 5 | 14 | 17 | 32:57 | 29 |
| ქრიუ | 35 | 5 | 11 | 19 | 41:75 | 26 |

### პირველი ლიგა
### XXXV ტური

სუონსი — ჰადერსფილდი 2:2; ბარნსლი — კოლჩესტერი 1:0; ბლეკპული — იოვილი 2:0; ბრედფორდი — პორტ ვეილი 0:1; ბრისტოლი — ბორნმუთი 3:1; ჯილინგემი — სკანთორპი 1:3; ჰარტლპული — დონკასტერი 1:1; დონსი — ბრედფორდი 2:1; ნოტინგემი — სუინდონი 7:1; ოლდემი — ტრანმერი 1:0; როტერჰემი — ჩესტერფილდი 0:4; საუთენდი — უოლსოლი 0:0

### მეორე ლიგა
### XXXV ტური

ბარნეტი — კარლაილი 1:2; ჩელტენემი — როჩდეილი 1:1; გრიმსბი — ჩესტერი 1:0; ლეიტონი — დარლინგტონი 2:1; ლინკოლნი — ნოტსი 2:1; პიტერბრო — როვერსი 1:2; რაშდენი — მაკლსფილდი 1:0; შრიუსბერი — ბერი 0:1; სტოკპორტი — ბოსტონი 0:1; ტორკი — მენსფილდი 0:2; რექსემი — ნორთჰემპტონი 0:1; უიკომბი — ოქსფორდი 2:1

### კონფერენსლიგა
### გადადებული მატჩები

აკრინგტონი — ბარტონი 2:1; ალდერშოტი — მორეკემბი 2:0; ქონვი — ქროული 1:0; ტემუორთი — ჰალიფაქსი 1:2; იორკი — ფორესტ გრინი 5:1; გრეივსენდი — სკარბორო 0:0. ჰერეფორდი — სტივენეიჯი დღეს გაიმართება

# მხარზე გადაკიდებული ჰანოვერი

## გერმანია

### ბუნდესლიგა XXIII ტური

**შალკე 2:0 ნიურნბერგი**

1:0 კურანი (58), 2:0 ლინკოლნი (65)
შალკე: ფ. როსტი, რაფინია, ბორდონი, კრსტაიჩი, კობიაშვილი, კ. პოულსენი, გ. ვარელა, ბაირამოვიჩი (ლარსენი 46), ლინკოლნი (ბაუმიოჰანი 87), კურანი, ასამოა (სანდი 76)
მწვრთნელი: მირკო სლომკა
ნიურნბერგი: რ. შეფერი, ა. ვოლფი, კანტალუპი (პაგენბურგი 74), ნიკლი, დ. რაინჰარდტი, მნარი, პინოლა (კრისტიანსენი 66), პოლაკი, ბანოვიჩი, შროტი (ს. ოზტიურკი 74), ვიტეკი
მწვრთნელი: ნორბერტ მეიერი
გაფრთხილება: ბანოვიჩი, ასამოა, ბანოვიჩი, მნარი
გაძევება: ბანოვიჩი (36)
მსაჯი: გრეფე
61 524 მაყურებელი

**ვოლფსბურგი 2:1 ჰანოვერი**

1:0 ჰანკე (9), 1:1 ბრდარიჩი (17), 2:1 მენსეგეში (86)
ვოლფსბურგი: იენჩი, ალექსი, კიროგა, ფრანცი (შნოორი 79), ვან დერ ჰიდენი, კარჰანი, ვან დერ ლეეგტე (ტიამი 66), მენსეგეში, ნეზირი (ლამპრეხტი 56), კლიმოვიჩი, ჰანკე
მწვრთნელი: კლაუს აუგენტალერი
ჰანოვერი: ენკე, ჩერუნდოლო, მერტესაკერი, ვინისიუსი, ტარნატი (დელურა 87), ლალა (იანკოვი 76), ბალიტჩი, დაბროვსკი, შტაინერი, ჰაშემიანი, ბრდარიჩი
მწვრთნელი: პეტერ ნოირურერი
გაფრთხილება: ბალიტჩი
მსაჯი: ვაკი
21 436 მაყურებელი

**ბაიერნი 5:2 აინტრახტი**

1:0 გერერო (21), 1:1 პროისი (32), 2:1 ბალაკი (33), 3:1 გერერო (42), 4:1 ბალაკი (62), 4:2 მეიერი (84), 5:2 პიზარო (85)
ბაიერნი: რენსინგი, სანიოლი (სალიჰამიჯიჩი 81), ლუსიო, ისმაელი, ლიზარაზუ (ლამი 49), დემიკელისი (ქარიმი 74), დაისლერი, შვაინსტაიგერი, ბალაკი, კ. პიზარო, პ. გერერო
მწვრთნელი: ფელიქს მაგათი
აინტრახტი: ნიკოლოვი, პ. ოხსი, რემერი, ვასოსკი, რაინჰარდი, ჯონსი, პროისი, კრისი, ა. მეიერი, კოპადო (კიოლერი 82), ამანატიდისი (დუ-რი ჩა 67)
მწვრთნელი: ფრიდჰელმ ფუნკელი
გაფრთხილება: ჯონსი
მსაჯი: გაგელმანი
69 000 მაყურებელი

**ვერდერი 2:0 მიონხენგლადბახი**

1:0 კლოზე (16), 2:0 კლასნიჩი (27)
ვერდერი: ვიზე, ოვომოიელა, ფარენჰორსტი, ნალდო, კ. შულცი, ფ. ბაუმანი, დ. იენსენი, ბოროვსკი (ვრანიეში 88), მიკუ, კლოზე (პოლენცი 82), კლასნიჩი (ნ. ვალდესი 70)
მწვრთნელი: თომას შააფი
მიონხენგლადბახი: კ. კელერი, ბ. სვენსონი, შტრასერი (ტიისი 63), ზე ანტონიო, ბოგელუნდი (რაფაელი 63), ელ ფაკირი, პოლანსკი, მ. იანსენი, ბროიხი, სონკი (კაე 74), ნოივილი
მწვრთნელი: ჰორსტ კოეპელი
გაფრთხილება: ბოგელუნდი
მსაჯი: შიპელი
38 000 მაყურებელი

**ჰამბურგი 0:2 შტუტგარტი**

0:1 მაისნერი (43), 0:2 გომეში (90)
ჰამბურგი: ვეხტერი, მაჰდავიკია, ბულარუზი, ვან ბუიტენი, ატუბა, ვიკი (დემელი 70), იაროლიმი, ჯ. დე იონგი (ვან დერ ვაარტი 46), ტროხოვსკი, ლაუტი, ბარბარესი (კუჩუკოვიჩი 46)
მწვრთნელი: თომას დოლი
შტუტგარტი: ჰილდებრანდი, ჰინკელი, მ. ბაბელი, დელპიერი, ჰ. გერბერი, სოლდო, ფ. ნეირა, მაისნერი (ჰიცლშპერგერი 90), ტიფერტი, გრონკიაერი (განტნერი 81), ლიუბოია (გომეში 89)
მწვრთნელი: არმინ ფეე
გაფრთხილება: ვიკი, ვან ბუიტენი, გრონკიაერი, დელპიერი, ლიუბოია, მაისნერი, ვან ბუიტენი
გაძევება: ვან ბუიტენი (89)
მსაჯი: მერკი
51 821 მაყურებელი

**დუისბურგი 2:1 ჰერტა**

1:0 ტარარახე (20პ), 2:0 ლავრიჩი (50), 2:1 ბაშთურქი (68)
დუისბურგი: გ. კოხი, მიორლე, აიგიუნი, ა. მაიერი, კალიჯიური, ტარარახე, ტიკუზო, ვან ჰუდტი, ლოტნერი (ბოძეკი 54), კურტი (აჰანფუფი 72), ლავრიჩი (ანი 81)
მწვრთნელი: იურგენ კოლერი
ჰერტა: ფიდლერი, ა. ფრიდრიხი, მადლუნგი, ჩაჰედი (სამბა 76), ტ. მარქსი, ა. შმიდტი, კ. ბოატენგი, კაირო (ნოინდორფი 54), ბაშთურქი, მარსელინიო, სვერკოში (ოკორონკვო 53)
მწვრთნელი: ფალკო გიოტცი
გაფრთხილება: ვან ჰუდტი, ბოძეკი, აჰანფუფი, მარსელინიო, მარქსი, სამბა
გაძევება: მადლუნგი (19)
მსაჯი: დრეესი
20 135 მაყურებელი

**არმინია 1:0 დორტმუნდი**

1:0 კაუფი (45)
არმინია: ჰაინი, კორჟინეცი, ვესტერმანი, ბორგესი, მულერი, კოენცელი (დ. კობილიკი 66), კაუფი, ფინკი, ვატა (პინტო 80), ბოაკიე (მასმანიდისი 23), ზუმა
მწვრთნელი: თომას ვონ ჰესენი
დორტმუნდი: ვაიდენფელერი, პ. დეგენი, ბრჟენსკა, ვიორნსი, დედე, კელი, როსიცკი, კრინგე, ოდონკორი (გამბინო 68), ბაკლი, შმოლარეკი
მწვრთნელი: ბერტ ვან მარვიიკი
გაფრთხილება: ზუმა, კაუფი, ბრჟენსკა
მსაჯი: ბრიხი
26 601 მაყურებელი

**კიოლნი 0:3 ლევერკუზენი**

0:1 ბერბატოვი (67), 0:2 ვორონინი (70), 0:3 კრჟინოვეკი (83)
კიოლნი: ბადე, სინკევიჩი, ჟივკოვიჩი, ალფაი, ლელი, გრამოცისი, შერცი (საბიჩი 71), კაბანასი, ა. შტრაიტი, შტრელერი, პოდოლსკი
მწვრთნელი: ჰანს-პეტერ ლატური
ლევერკუზენი: ბუტი, კ. ფრიცი, ჟუანი, ნოვოტნი, შტენმანი, როლფსი, ბ. შნაიდერი (რამელო 87), ბარნეტა (ატირსონი 90), ფრაიერი, ბერბატოვი, ვორონინი (კრჟინოვეკი 82)
მწვრთნელი: მიხაელ სკიბე
გაფრთხილება: ჟივკოვიჩი, ალფაი, ჟუანი, ფრაიერი, ალფაი
გაძევება: ალფაი (77)
მსაჯი: კინჰოფერი
50 000 მაყურებელი




პაულო გერერომ „აინტრახტს" ორჯერ გაუტანა

**მაინცი 0:2 კაიზერსლაუტერნი**

0:1, 0:2 სანოგო (24პ, 26)
მაინცი: ვეტკლო, აბელი, მ. ფრიდრიხი, ნოვესკი, ვაიგელტი (გაისლერი 72), დემირტასი (მ. ზიდანი 46), პეკოვიჩი (ო. ადო 66), და სილვა, ტიურკი, ნ. ვაილანდი, აუერი
მწვრთნელი: იურგენ კლოპი
კაიზერსლაუტერნი: მახო (ფრომლოვიცი 44), ჰერჩი, ბედა, შიონჰაიმი, ჰოილანდი, ბორბელი (რინერტი 70), ლემბი, ენგელარდტი, შკელა, სანოგო, ჰალილ ალტინტოპი (მიკიჩი 82)
მწვრთნელი: ვოლფგანგ ვოლფი
გაფრთხილება: ვაილანდი, ვაიგელტი, ბორბელი, ენგელარდტი
მსაჯი: კირხერი
20 300 მაყურებელი

**თვით** როი მაკაიც რომ იყოს, როცა ვერ გააქვს, თადარიგში უნდა იჯდეს. ასე გადაწყვიტა ფელიქს მაგათმა „აინტრახტთან" მატჩის წინ და არც შემცდარა — ძირითად შემადგენლობაში პაულო გერერო ათამაშა. პერუელმა ფორვარდმა პირველივე ტაიმში დუბლი შეასრულა, რითაც მაკაის ნიშნი მოუგო. გერეროს არ ჩამორჩა მიხაელ ბალაკი, რომელმაც ტრავმირებული კანისგან კაპიტნის სამკლავური ჩაიბარა და ეს ამბავი წყვილი გოლით აღნიშნა. ოლივერ კანი ჯერ არ გამოკეთებულა და მის ნაცვლად კარში კვლავ მიხაელ რენსინგი იდგა.

„მილანთან" მატჩის შემდეგ ასეთ გალაღებას ველოდი — თქვა ფელიქს მაგათმა — გემრიელად შევუტიეთ და ბლომად გავიტანეთ. ვფიქრობ, ქომაგმა გოლებით ისიამოვნა. მართალია, ორი გავუშვით, მაგრამ ეს მოსალოდნელიც იყო, რადგან ერთ კვირაში სამი მატჩი ჭითამაშეთ და დაცვა ოდნავ გადაღლილია. რაც შეეხება როი მაკაის, უნდა გამოცოცხლდეს. გერერომ ძირითად შემადგენლობაში თამაში დაიმსახურა. მან დაამტკიცა, რომ სხვაზე ნაკლები არაა".

მიხაელ ბალაკი: „ამ დროისთვის ყველაფერი კარგად მიდის. ბუნდესლიგაში ჩემპიონობისთვის ვიბრძვით, ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში გასვლის შანსი კი ჯერ არ დაგვიკარგავს. „აინტრახტთან" აგრესიულად ვითამაშეთ, რაც იოლი არ იყო „მილანთან" მატჩის მერე."

პაულო გერერომ „ბაიერნი" ბიქსენტ ლიზარაზუს პასით დააწინაურა, მაგრამ ფრანკფურტელმა პროისმა მალევე უპასუხა — ორ მცველს აჯობა და რენსინგს გაუტანა. შემდეგ გერერომ კვლავ იყოჩაღა — ბალაკს საგოლე პასი მიართვა, რომელმაც მასპინძლები ისევ წინ გაიყვანა, ამას კი გერეროს მეორე გოლი მოჰყვა — 3:1.

მეორე ტაიმში სხვაობა სამამდე გაიზარდა — მიხაელ ბალაკმა დაისლერის ჩაწოდებული ბურთი თავით შეაბრძანა „აინტრახტის კარში. ეს ბალაკის მე-12 გოლი გამოდგა სამსეზონო ბუნდესლიგაში. თამაშის ბოლო ექვს წუთში მეტოქეებმა თითო გოლი გაცვალეს, რითაც „ალიანს არენაზე" შეკრებილი ქომაგები გაახალისეს.

„ჰანოვერს" „ვოლფსბურგთან" შეხვედრამდე მიჯრით ათი მატჩი არ წაეგო, მაგრამ ზეიმი დასრულდა. ჰანოვერელებს „მგლები" მგლურად დაუხვდნენ. „ვოლფსბურგი" მაიკი ჰანკემ მეცხრე წუთზე თავური დარტყმი დააწინაურა. ჰანკე კლინსმანმა ნაკრებში გამოიძახა და ამით გალაღებული ფორვარდი მთელი მატჩის განმავლობაში „დაფრინავდა". სტუმრებმა ტომაშ ბრდარიჩის გოლით მალევე გაათანაბრეს, თამაშის ბოლოს კი „ჰანოვერს" მეკარე რობერტ ენკემ უღალატა — მენსეგეშის დარტყმული ბურთი ენკეს წინ დახტა და მეკარეს მხარზე გადაახტა — 2:1. ასე დასრულდა ჰანოვერელთა წაუგებელი სერია, რომელიც შარშან ნოემბერში დაიწყო.

ბრემენის „ვერდერი" მისდევს „ბაიერნს". „მუსიკოსებს" ტრავმამოშუშებული მიროსლავ კლოზე დაუბრუნდათ, რომელსაც მიონხენგლადბახის „ბორუსიასთან" გოლის გასატანად 16 წუთი დასჭირდა. კლოზემ იოან მიკუს ჩაწოდებულ ბურთს თავი ჰკრა და ანგარიში გახსნა, თუმც მანამდე გლადბახელ ოლივერ ნოივილს გოლი თამაშგარე მდგომარეობის გამო არ ჩაუთვალეს. „ვერდერის" მეორე კი ივან კლასნიჩმა შეაგდო და ბრემენელებს სამი ქულა გაუფორმა.

**მაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაიერნი | 23 | 18 | 4 | 1 | 47:17 | 58 |
| ვერდერი | 23 | 15 | 4 | 4 | 54:25 | 49 |
| ჰამბურგი | 23 | 14 | 5 | 4 | 35:17 | 47 |
| შალკე | 23 | 12 | 9 | 2 | 33:17 | 45 |
| შტუტგარტი | 23 | 7 | 12 | 4 | 26:21 | 33 |
| ლევერკუზენი | 23 | 8 | 7 | 8 | 40:37 | 31 |
| ჰანოვერი | 23 | 6 | 12 | 5 | 33:29 | 30 |
| ჰერტა | 23 | 7 | 9 | 7 | 32:31 | 30 |
| გლადბახი | 23 | 7 | 9 | 7 | 28:29 | 30 |
| დორტმუნდი | 23 | 7 | 8 | 8 | 28:28 | 29 |
| არმინია | 23 | 7 | 6 | 10 | 26:32 | 27 |
| აინტრახტი | 23 | 7 | 4 | 12 | 30:38 | 25 |
| ვოლფსბურგი | 23 | 6 | 7 | 10 | 24:39 | 25 |
| ლაუტერნი | 23 | 6 | 5 | 12 | 33:50 | 23 |
| ნიურნბერგი | 23 | 5 | 6 | 12 | 23:37 | 21 |
| მაინცი | 23 | 5 | 5 | 13 | 32:38 | 20 |
| დუისბურგი | 23 | 4 | 8 | 11 | 23:40 | 20 |
| კიოლნი | 23 | 3 | 6 | 14 | 28:50 | 15 |

**XXIV ტური**

4-5 მარტი

| | | |
|---|---|---|
| ლევერკუზენი | : | ვერდერი |
| გლადბახი | : | არმინია |
| დორტმუნდი | : | მაინცი |
| ლაუტერნი | : | შტუტგარტი |
| აინტრახტი | : | ვოლფსბურგი |
| ჰანოვერი | : | შალკე |
| ნიურნბერგი | : | დუისბურგი |
| ჰერტა | : | კიოლნი |
| ბაიერნი | : | ჰამბურგი |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| კლოზე (ვერდერი) | 17 |
| ჰალილ ალტინტოპი (ლაუტერნი) | 13 |
| შმოლარეკი (დორტმუნდი) | 12 |
| ბალაკი (ბაიერნი) | 12 |

**მეორე ბუნდესლიგა**

**XXIII ტური**

კოტბუსი — ბურგჰაუზენი 4:1; ფიურტი — პადერბორნი 1:1; ზაარბრიუკენი — აუე 1:1; ალენი — ალემანია 0:2; დინამო — ბოხუმი 0:0; ჰანზა — ზიგენი 2:0; ოფენბახი — ბრაუნშვაიგი 2:0; უნტერჰახინგი — კარლსრუე 4:1. ფრაიბურგი — მიუნხენი დღეს გაიმართება

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბოხუმი | 23 | 13 | 7 | 3 | 38:18 | 46 |
| ალემანია | 22 | 13 | 3 | 6 | 40:23 | 42 |
| პადერბორნი | 23 | 10 | 6 | 7 | 35:20 | 36 |
| კოტბუსი | 22 | 10 | 6 | 6 | 35:25 | 36 |
| ფიურტი | 22 | 10 | 6 | 6 | 35:29 | 36 |
| კარლსრუე | 23 | 10 | 6 | 7 | 33:29 | 36 |
| ფრაიბურგი | 22 | 10 | 5 | 7 | 29:24 | 35 |
| უნტერჰახინგი | 23 | 10 | 4 | 9 | 35:29 | 34 |
| ბურგჰაუზენი | 23 | 8 | 8 | 7 | 28:34 | 32 |
| მიუნხენი | 22 | 8 | 7 | 7 | 30:28 | 31 |
| ჰანზა | 22 | 9 | 4 | 9 | 30:29 | 31 |
| ბრაუნშვაიგი | 21 | 9 | 3 | 9 | 22:22 | 30 |
| აუე | 23 | 7 | 8 | 8 | 21:24 | 29 |
| ოფენბახი | 22 | 6 | 3 | 13 | 22:43 | 21 |
| ზიგენი | 22 | 5 | 5 | 12 | 22:31 | 20 |
| დინამო | 21 | 5 | 5 | 11 | 22:32 | 20 |
| ზაარბრიუკენი | 22 | 5 | 5 | 12 | 22:42 | 20 |
| ალენი | 22 | 3 | 7 | 12 | 20:37 | 16 |

**ჩრდილოეთ რეგიონალლიგა**

**XXIV ტური**

დიუსელდორფი — ჰამბურგი (მ) 1:1; ემდენი — ერფურტი 0:0; ობერჰაუზენი — ზანკტ პაული 0:0; მიუნსტერი — ოსნაბრიუკი 2:1; ლიუბეკი — ვერდერი (მ) 2:0; ვუპერტალი — კიოლნი (მ) 2:0. *ქემნიცი — კილი და ჰერტა (მ) — ვატენშაიდი გადაიდო*

**სამხრეთ რეგიონალლიგა**

**XXI ტური**

კობლენცი — ტრირი 2:1; აუგსბურგი — კაიზერსლაუტერნი (მ) 2:0; დარმშტადტი — მიუნხენი (მ) 3:1; ელვერსბერგი — რეგენსბურგი 1:1; ჰოფენჰაიმი — ვეჰენი 2:1; კიკერსი — აალენი 0:1; ეშბორნი — შტუტგარტი (მ) 1:3. *ბაიერნი (მ) — პფულენდორფი და ბაიროითი — კარლსრუე (მ) გადაიდო*




AFP

# ჯონი ნაღდად მტაკებელია




უტაკა ზედიზედ მეორე ტურია ჰეთ თრიქს ასრულებს

## საფრანგეთი

**I დივიზიონი. XXVIII ტური**

**ნანტი 0:0 პსჟ**

**ოსერი 2:0 ტულუზი**

1:0 აკალე (20), 2:0 კალენბერგი (68)

**ბორდო 3:3 მეცი**

0:1 იულა (15), 1:1, 2:1 შამახი (17, 18), 2:2 ჟემალი (20ს.კ.), 2:3 კონტუ (43), 3:3 ა. ალონსო (70)

**ლე მანი 0:1 სენტ ეტიენი**

0:1 პოშტიგა (56)

**ლიონი 1:4 რენი**

0:1 უტაკა (19), 0:2 გურსუფი (31), 1:2 ჟუნინიო (37), 1:3, 1:4 უტაკა (51, 72)

**ნანსი 0:3 სოშო**

0:1 დაგანო (16), 0:2 ლეკლუზი (45ს.კ.), 0:3 ილანი (87)

**ლანსი 1:0 აიაჩო**

1:0 კუზინი (17)

**მონაკო 0:1 ლილი**

0:1 ოდემვინჟი (57)

**სტრასბური 2:0 ტრუა**

1:0 დიანე (13), 2:0 აბდესადკი (87)

**მარსელი 1:0 ნიცა**

1:0 მაულიდა (66)

**წინა ტურში** „რენის" ნიგერიელმა ფორვარდმა ჯონ უტაკამ თავის ყოფილ კლუბ „ლანსს" დაცვა აუწიოკა და სამი გოლი გაუტანა. ამჯერად „რენი" ჩემპიონატის ლიდერ „ლიონს" ეწვია და... უტაკამ „ჟერლანზეც" ჰეთ თრიქი შეასრულა. აქვე გეტყვით, რომ ლიონელებმა ბოლოს 4 გოლი 2003 წლის 25 მაისს „გენგამთან" ასევე საშინაო მატჩში გაუშვეს (1:4). „რენი" კი მეორე გუნდი გახდა, რომელმაც მიმდინარე ჩემპიონატში ჟერარ ულიეს ბიჭები დაამარცხა. მანამდე ეს „ლილმა" შეძლო.

მატჩი „ლიონის" უპირატესობით დაიწყო და მასპინძლებმა ორი კარგი მომენტიც გაანიავეს. მე-20 წუთზე კი იოან გურსუფის კუთხურს უტაკას მძლავრი და ზუსტი თავური მოჰყვა. ცოტა ხანში ჟერარ ულიეს შეგირდებმა კიდევ ერთი შანსი გააცუდეს და ისევ დაისაჯნენ. ლიონელებს თამაშის გადარჩენის იმედი 34-ე წუთზე მიეცათ, როდესაც სილვენ ვილტორდის წაქცევისთვის დანიშნული პენალტი ჟუნინიომ გოლად აქცია.

შესვენების შემდეგ „ლიონი" უფრო გააქტიურდა და რამდენიმე მომენტიც შექმნა, მაგრამ უტაკას სულ სხვა გეგმები ჰქონდა. მან 51-ე წუთზე მეორედ იხეირა, თან ისეთი ლამაზი გოლი გამოუვიდა, ბევრის აზრით, ამ ჩემპიონატის საუკეთესოდ ახლავე უნდა აღიარონ. შავკანიანმა ფორვარდმა ბრწყინვალე გარღვევა განახორციელა, მცველები ჩამოიტოვა და ძლიერი დარტყმით ჩაჭედა ბურთი კუპეს კარის ბადეში. უტაკამ ესეც არ იკმარა და ბოლო გოლიც მან მიითვალა.

„მეტოქეს მთელი კვირა ჰქონდა ამ მატჩისთვის მოსამზადებლად. ჩვენ კი ჩემპიონთა ლიგის თამაშის მერე დაღლილობა დაგვეტყო. თანაც ყველაფერს უიღბლობაც დაერთო, ამ საღამოს ბევრი რამ არ გამოგვივიდა" — თქვა ჟერარ ულიემ.

„ასეთ მარცხს ვერც წარმოვიდგენდით. „ლიონთან" ერთად ამგვარი კოშმარი პირველად განვიცადე. ახლა მთავარია, ეს შეხვედრა დავივიწყოთ და ჩვეულად თამაში გავაგრძელოთ" — ეს კი ოთხი გოლის გამშვები გრეგორი კუპეს სიტყვებია.

„ლიონის" მდევარმა „ბორდომ" სხვაობის ოდნავ შემცირება შეძლო. ჟირონდელები „მეცთან" თრილერის მსგავს მატჩში ოდენ ქულას გამორჩნენ და ისიც გაჭირვებით.

ცხრილის ფსკერზე დალექილი „მეცი" დასაწყისშივე ორჯერ გადარჩა და მეტოქეს იქით გაუტანა. თუმცა ჟირონდელთა ლიდერმა მარუან შამახმა მალევე, ორ წუთში ორჯერ შეაგდო და თითქოს ყველაფერი თავის ადგილზე დადგა, მაგრამ... გავიდა კიდევ ერთი წუთი და სტუმართა იერიში გოლით დასრულდა — „ბორდოს" მეკარემ ფრედერიკ რუიმ ბურთი საკუთარ კარში ჩაჭრა. ოთხწუთიან მონაკვეთში გატანილი ოთხი გოლის შემდეგ მეტოქეები შედარებით დამშვიდდნენ და ტაიმიც ასე უნდა დასრულებულიყო, თუმც შესვენებამდე ორი წუთით ადრე სტუმრები ისევ წინ გავიდნენ.

მეორე ნახევარში „ბორდოს" 25 ათასამდე ქომაგი გუნდისგან გოლებს ითხოვდა, მაგრამ ჟირონდელებმა მხოლოდ ერთხელ შეძლეს გულშემატკივრების გახარება. გოლის მერე ერთი კარგი შანსი დენილსონს ჰქონდა, მაგრამ... ბოლო წუთზე კი უხეში თამაშისთვის შამახი გააგდეს.

გამოვარჩიოთ ნანტში გამართული მატჩიც, რომელშიც პსჟ ბევრს ეცადა, ძელსაც გაარტყა ბურთი და, მიუხედავად იმისა, რომ 69-ე წუთზე სილვენ არმანდი გაუგდეს, ბოლო წუთებამდე უტევდა, მაგრამ მასპინძელთა მეკარე მიკაელ ლანდროსთან ვერაფერი გააწყო. საფრანგეთის ნაკრების კარის დარაჯმა რამდენჯერმე იყოჩაღა.

**გიორგი ძაძამიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლიონი | 27 | 17 | 8 | 2 | 44:21 | 59 |
| ბორდო | 28 | 14 | 11 | 3 | 29:15 | 53 |
| ლილი | 28 | 13 | 8 | 7 | 37:19 | 47 |
| ოსერი | 28 | 14 | 4 | 10 | 35:27 | 46 |
| მარსელი | 28 | 12 | 7 | 9 | 27:28 | 43 |
| ლე მანი | 28 | 12 | 6 | 10 | 27:20 | 42 |
| ლანსი | 28 | 9 | 14 | 5 | 35:26 | 41 |
| პსჟ | 28 | 11 | 8 | 9 | 31:26 | 41 |
| ნიცა | 28 | 10 | 9 | 9 | 22:22 | 39 |
| ნანსი | 27 | 11 | 5 | 11 | 27:22 | 38 |
| რენი | 28 | 12 | 2 | 14 | 33:42 | 38 |
| მონაკო | 27 | 10 | 7 | 10 | 26:23 | 37 |
| სენტ ეტიენი | 28 | 9 | 10 | 9 | 24:27 | 37 |
| ნანტი | 28 | 9 | 8 | 11 | 29:29 | 35 |
| ტულუზი | 28 | 9 | 7 | 12 | 26:32 | 34 |
| სოშო | 28 | 8 | 9 | 11 | 23:28 | 33 |
| ტრუა | 28 | 6 | 9 | 13 | 23:35 | 27 |
| სტრასბური | 28 | 4 | 11 | 13 | 22:36 | 23 |
| აიაჩო | 28 | 4 | 9 | 15 | 16:34 | 21 |
| მეცი | 27 | 3 | 10 | 14 | 19:43 | 19 |

**II დივიზიონი. XXVII ტური**

**ბასტია — გენგამი 1:2; ბრესტი — ვალანსიენი 1:1; კაენი — ისტრი 1:0; შატორუ — ლავალი 2:3; კრეტეი — ამიენი 1:0; დიჟონი — რეიმსი 2:0; გრენობლი — ლორიანი 1:0; გენიონი — სედანი 1:0; ლე ავრი — კლერმონი 2:1. *მონპელიე — სეტე დღეს გაიმართება***

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სედანი | 27 | 13 | 10 | 4 | 37:23 | 49 |
| ბასტია | 26 | 13 | 7 | 6 | 37:21 | 46 |
| ვალანსიენი | 27 | 12 | 10 | 5 | 34:22 | 46 |
| ლორიანი | 27 | 12 | 9 | 6 | 32:19 | 45 |
| დიჟონი | 27 | 11 | 9 | 7 | 31:24 | 42 |
| კრეტეი | 27 | 10 | 11 | 6 | 35:20 | 41 |
| კაენი | 27 | 9 | 11 | 7 | 32:26 | 38 |
| ლე ავრი | 27 | 8 | 12 | 7 | 32:30 | 36 |
| მონპელიე | 26 | 9 | 9 | 8 | 24:26 | 36 |
| გენიონი | 27 | 8 | 12 | 7 | 18:25 | 36 |
| გრენობლი | 27 | 9 | 8 | 10 | 26:30 | 35 |
| შატორუ | 27 | 7 | 11 | 9 | 32:34 | 32 |
| რეიმსი | 26 | 6 | 13 | 7 | 21:18 | 31 |
| ამიენი | 27 | 6 | 13 | 8 | 25:27 | 31 |
| ბრესტი | 27 | 7 | 10 | 10 | 25:30 | 31 |
| გენგამი | 27 | 6 | 12 | 9 | 19:21 | 30 |
| ისტრი | 27 | 7 | 9 | 11 | 24:36 | 30 |
| კლერმონი | 27 | 7 | 7 | 13 | 23:42 | 28 |
| ლავალი | 27 | 7 | 5 | 15 | 23:38 | 26 |
| სეტე | 26 | 3 | 8 | 15 | 21:39 | 17 |



მგზავრი მიშელ პლატინი, მძღოლი ხრისტო სტოიჩკოვი

# მიშელ პლატინის კონტრრევოლუცია

## დააბრუნეთ ძველი ლიგა!

**უეფას** ვიცე-პრეზიდენტი და მომავალ არჩევნებში პრეზიდენტობის ერთ-ერთი მთავარი კანდიდატი მიშელ პლატინი ბულგარეთში ჩავიდა. იგი სოფიის „ლევსკისა" და ბრატისლავის „არტმედიას" უეფას თასის მატჩსაც დაესწრო. მთავარი კი პლატინისთვის ის იყო, რომ ბულგარეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ ბორისლავ მიხაილოვს შეხვდა და რამდენიმე საინტერესო განცხადებაც გააკეთა. კერძოდ, პლატინის თქმით, იგი არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში მიაღწევს იმას, რომ ჩემპიონთა ლიგაში მხოლოდ ეროვნულ ჩემპიონატში გამარჯვებულმა კლუბებმა ითამაშონ. შესაბამისად, შეიცვლება ტურნირის ფორმატიც და ყველა გუნდი ლიგას საკვალიფიკაციო ეტაპიდან დაიწყებს.

სხვათა შორის, პლატინი ამ იდეით ბევრს მოხიბლავს, რადგან ამ აზრს მრავალი საფეხბურთო მოხელე იზიარებს. ფეხბურთის გულშემატკივრების არცთუ მცირე ნაწილის აზრიც ასეთია — თქვენ შემოსავლებს ნუ გადაგვაყოლებთ და ტურნირი ისევ ძველი ფორმატით ჩავატაროთო. გათამაშების სახელი — ჩემპიონთა ლიგა — თავისთავად გულისხმობს იმას, რომ მასში მხოლოდ ჩემპიონებმა უნდა ითამაშონ, რაც ეროვნული ჩემპიონატის მნიშვნელობასა და დონეს ერთიორად გაზრდის.

**გიორგი ძაძამიძე**

# კლინსმანი და ვიორნსი ერთმანეთს გაზეთებს ურტყამენ





**იურგენ კლინსმანმა** ნაკრებში კრისტიან ვიორნსი არ გამოიძახა და ამას მათ შორის სიტყვიერი შეხლა-შემოხლა მოჰყვა. შეგახსენებთ, რომ დორტმუნდის „ბორუსიას" 33 წლის მცველმა პრესით შეიტყო, ნაკრებსმიღმა რომ დარჩა და ძალიან განაწყენდა. ხოლო მწვრთნელმა შაბათს განმარტა: „ჯერ კიდევ შარშან, ოქტომბერში, როცა გუნდში არ ვუხმე, ერთი ამბავი ატეხა. მაშინ გავაფრთხილეთ, რომ საჯარო კომენტარებისგან თავი შეეკავებინა, მაგრამ ენა წინ უსწრებს და პრესით მუდმივად გვაკრიტიკებს. მისი გამონათქვამები ახლაც ვნახე და შემიძლია, შევაფასო, როგორც თავხედური და შეურაცხმყოფელი. ასეთ ხალხთან ერთად მუშაობა შეუძლებელია. ის მხოლოდ საკუთარ თავზე ფიქრობს".

ეს რომ ვიორნსმა გაიგო, პასუხი არ დაახანა: „შეურაცხმყოფელი? მეცინება. კლინსმანის საქციელი თაღლითობაა. ის ხალხს ატყუებს".

ბუნდესნაკრების მწვრთნელს მიაჩნია, რომ ვიორნსის ყაიდის ფეხბურთელები ნაკრების განვითარებას ამუხრუჭებენ: „ჩვენ სხვა გზით მივდივართ. გუნდმა შემტევი ფეხბურთი უნდა ითამაშოს და ვინც ამ ტაქტიკას მოერგება ან სწრაფად აუღებს ალღოს, ნაკრებშიც მას მივიწვევთ".

**ვაჟა ხუციშვილი**

# კურვა სუდის სიხარული

## იტალია
### სერია A
### XXVII ტური

**ლაციო 0:2 რომა**

0:1 ტადეი (31), 0:2 აკილანი (63)
**ლაციო:** პერუცი, ოდო, სივილია, კრიბარი, ძაური, ბეჰრამი, დაბო, ლივერანი, კ. მანფრედინი (ბონანი 30; ტარე 83), დი კანიო (პანდევი 68), როკი
მწვრთნელი: დელიო როსი
**რომა:** დონი, პანუჩი, მექსეში, კივუ, კუფრე, დე როსი, აკილანი (დაკური 80), ტადეი (ხარჯა 88), პეროტა, მანსინი, მონტელა (ტომაზი 68)
მწვრთნელი: ლუჩანო სპალეტი
გაფრთხილება: მონტელა, ბეჰრამი, აკილანი, მანსინი, დაკური, პანდევი
მსაჯი: ტრეფოლონი
75 000 მაყურებელი



AFP რომიდან

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იუვენტუსი | 27 | 22 | 4 | 1 | 56:18 | 70 |
| მილანი | 27 | 19 | 3 | 5 | 60:24 | 60 |
| ინტერი | 27 | 18 | 4 | 5 | 51:21 | 58 |
| რომა | 27 | 16 | 6 | 5 | 51:25 | 54 |
| ფიორენტინა | 27 | 16 | 5 | 6 | 48:29 | 53 |
| ლივორნო | 27 | 11 | 11 | 5 | 29:26 | 44 |
| კიევო | 27 | 10 | 10 | 7 | 35:30 | 40 |
| ლაციო | 27 | 9 | 11 | 7 | 33:33 | 38 |
| სამპდორია | 27 | 10 | 7 | 10 | 42:36 | 37 |
| პალერმო | 27 | 8 | 10 | 9 | 36:40 | 34 |
| ასკოლი | 27 | 7 | 11 | 9 | 27:31 | 32 |
| სიენა | 27 | 8 | 8 | 11 | 32:41 | 32 |
| რეჯინა | 27 | 7 | 7 | 13 | 27:44 | 28 |
| უდინეზე | 27 | 7 | 6 | 14 | 27:41 | 27 |
| პარმა | 27 | 6 | 8 | 13 | 30:47 | 26 |
| კალიარი | 27 | 5 | 9 | 13 | 29:42 | 24 |
| მესინა | 27 | 4 | 12 | 11 | 25:38 | 24 |
| ემპოლი | 27 | 6 | 5 | 16 | 28:47 | 23 |
| ტრევიზო | 27 | 2 | 9 | 16 | 16:40 | 15 |
| ლეჩე | 27 | 3 | 6 | 18 | 17:44 | 15 |

**არის** სერია A-ს ახალი რეკორდი: ზედიზედ 11 გამარჯვება! ამ უნიკალურ შედეგს „რომამ“ მაინცდამაინც მთავარ მოქიშპესთან, თანაქალაქელ „ლაციოსთან“ დერბიში მიაღწია. თან როგორ, კაპიტნის და თილისმის, სამი თვით ტრავმირებული ფრანჩესკო ტოტის გარეშე. ტოტი საგანგებოდ მისთვის დადგმულ სკამზე ლეგენდარულ ბრუნო კონტისთან ერთად „რომას“ ქომაგთა „კურვა სუდის“ ანუ სამხრეთის ტრიბუნის სიახლოვეს იჯდა. ისტორიულ შეხვედრაში „ჯალოროსიმ“ ორი გოლი გაიტანა. პირველი პირველ ნახევარში როდრიგო ტადეიმ შეაგდო, მეორე კი შესვენების შემდეგ ალბერტო აკილანიმ. ამ შეხვედრაში რომაელთა შემადგენლობას თავდამსხმელი ვინჩენცო მონტელა დაუბრუნდა.

ალსანიშნავია, რომ ეს მიმდინარე სეზონში „ლაციოს“ პირველი მარცხი გახლდათ „სტადიო ოლიმპიკოზე“. დავძინოთ ისიც, რომ „ბიანკოჩელესტის“ ვეტერანი ლიდერი, კოლორიტული პაოლო დი კანიო მატჩის წინ ბრძანებდა, რომ ამ შეხვედრის არბიტრად მატეო ტრეფოლონის დანიშვნა უგუნური საქციელი იყო, ვინაიდან ამ არბიტრს რამდენჯერმე ცუდად უმსაჯია „ლაციოსთვის“. ჩვენი მხრივ გავბედავთ და დავძენთ, რომ სინიორ ტრეფოლონის შეხვედრისთვის დალი არ დაუსვამს.

მატჩის ზოგად სურათს თუ გადავხედავთ, ვიტყვით, რომ დამარცხებულ „ლაციოს“ ცუდად არ უთამაშია. ნომინალური მასპინძელი მოქმედებდა სწრაფად, კომბინაციურად და ორივე ფრთის გამოყენებით, მაგრამ იყო ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი, სადაც უპირატესობა აშკარად „რომასი“ გახლდათ — ეს იყო სიფხიზლე და ეფექტურობა როგორც ერთ, ასევე მეორე საჯარიმო მოედანში. და შედეგიც სწორედ საკუთარ კარში არგაშვებას და სხვისაში გატანას მოაქვს.

# მილანი შავი სამკლავურებით

**პალერმო 0:2 მილანი**

0:1 ინძაგი (72), 0:2 შევჩენკო (83პ)
**პალერმო:** ანდუხარი, ძაკარდო, ბარძალი, ბიავა, გროსო, მუტარელი, კორინი (ჯოვანი ტედესკო 61), ბარონე (გოდეაში 84), მ. გონსალესი, დი მიკელე (სანტანა 63), კარაჩოლო
მწვრთნელი: ჯუზეპე პაპადოპულო
მილანი: კალაჩი, სტამი, ნესტა, კოსტაკურტა, სერჟინიო, ფოგელი, პირლო (იანკულოვსკი 78), გატუზო (ზეედორფი 73), კაკა, შევჩენკო (რუი კოშტა 84), ფ. ინძაგი
მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი
გაფრთხილება: პირლო, სერჟინიო, სტამი, სტამი, ანდუხარი, მუტარელი
გაძევება: სტამი (86)
მსაჯი: პიერი
33 000 მაყურებელი

**იუვენტუსი 3:1 ლეჩე**

0:1 დელ ვეკიო (10), 1:1 ემერსონი (18), 2:1 კოვაჩი (44), 3:1 დელ პიერი (88ს.კ.)
**იუვენტუსი:** ბუფონი, ბლაზი (პესოტო 62), ტურამი, რ. კოვაჩი, ბალძარეტი, მუტუ (კამორანეზი 86), ემერსონი, ვიეირა (ჯანიკედა 67), დელ პიერო, იბრაჰიმოვიჩი
მწვრთნელი: ფაბიო კაპელო
**ლეჩე:** ბენუსი, კამიზა, საიდი, დიამუტენე, რულო (პინარდი 82), ბაბუ, კამორანი, ჯაკომაცი (ჯორჯინო 62), დელ ვეკიო, კონანი (მარიანინი 52), ვუჩინიჩი
მწვრთნელი: რობერტო რიცო
გაფრთხილება: დელ ვეკიო, კამორანი, კოვაჩი, მუტუ, კამორანი, ვიეირა
გაძევება: კამორანი (51)
მსაჯი: როდომონტი
25 000 მაყურებელი

**ინტერი 3:1 უდინეზე**

1:0, 2:0 კრუზი (18პ, 47), 3:0 მარტინსი (60), 3:1 იაკინტა (82)
**ინტერი:** ტოლდო, ხ. ძანეტი, კორდობა, სამუელი, ბურდისო, ფიგუ (კილი გონსალესი 46), კამბიასო, დ. პიზარო, სტანკოვიჩი (სოლარი 79), ხ. კრუზი, მარტინსი (მატერაცი 70)
მწვრთნელი: რობერტო მანჩინი
**უდინეზე:** დე სანქტისი, დეფენდი (ბარეტო 54), ფელიპე, საპატა, ბერტოტო, ობოდო, მუნტარი, ვიდიგალი (ტისონე 48), დ. ძენონი, იაკინტა, დი ნატალე
მწვრთნელი: ნესტორ სენსინი
გაფრთხილება: ობოდო, საპატა, საპატა
გაძევება: სამუელი (67), საპატა (85)
მსაჯი: დონდარინი
45 000 მაყურებელი

**პარმა 2:4 ფიორენტინა**

1:0 სიმპლისიო (3პ), 2:0 ბრეშიანო (19), 2:1, 2:2 ბოჟინოვი (35, 39), 2:3 იორგენსენი (48), 2:4 ხიმენესი (68)
**პარმა:** ბუჩი, ბონერა, ფ. კოუტუ, კონტინი, პასკუალე (ფერონეტი 69), გრელა, სიმპლისიო (რუოპოლო 82), მარკიონი, მორფეო, ბრეშიანო, კორადი
მწვრთნელი: მარიო ბერეტა
**ფიორენტინა:** ლობონტი, უიფალუში, დაინელი, კროლდრუპი, პასკუალი, ლ. ხიმენესი, მონტოლივო (პაზინიცა 58), დონადელი, იორგენსენი, ტონი (პაცინი 86), ბოჟინოვი (ფიორე 63)
მწვრთნელი: ჩეზარე პრანდელი
გაფრთხილება: სიმპლისიო, კონტინი, გრელა, მორფეო, პაცინი
მსაჯი: პაპარესტა
18 000 მაყურებელი

**სიენა 1:0 სამპდორია**

1:0 ვერგასოლა (80)
**სიენა:** ფორტინი, ნეგრო, პორტანოვა, კოლონეზე, მოლინარო, დავერსა, ტუდორი (ალბერტო 46), ვერგასოლა, ლოკატელი, კიეზა (ბოგდანი 46), ვოლპატო
მწვრთნელი: ლუიჯი დე კანიო
**სამპდორია:** ანტონიოლი, კ. ძენონი, იულიანო (სალა 18), ფალკონე (მინგოცი 90), მ. კასტელინი, დიანა, ვოლპი, პალომბო, ტონეტო (დალა ბონა 63), კოლომბო, გასბარონი
მწვრთნელი: ვალტერ ნოველინო
გაფრთხილება: ტონეტო, ნეგრო, ძენონი, პალომბო, პალომბო
გაძევება: პალომბო (72)
მსაჯი: რაკალბუტო
6 500 მაყურებელი

**რეჯინა 1:1 ლივორნო**

0:1 მორონე (46), 1:1 კოცა (63)
**რეჯინა:** პავარინი, ი. ფრანჩესკინი, დე როზა, ა. ლუკარელი, მესტო, ვიჯანი, პარედესი, ჯაკომო ტედესკო, მოდესტო, კოცა, ნ. ამორუზო
მწვრთნელი: ვალტერ მაცარი
**ლივორნო:** ამელია, გრანდონი, ვარგასი, გალანტე, პფერცელი, მორონი, პასონი (რუოტოლო 90), დე აშენტისი, კოკო, ჯ. კოლუჩი (ი. ბაკაიოკო 76), კ. ლუკარელი
მწვრთნელი: კარლო მაცონე
გაფრთხილება: ამორუზო, ამელია, ა. ლუკარელი, პარედესი, პასონი, ტედესკო, პფერცელი
მსაჯი: რიცოლი
8 000 მაყურებელი

**კალიარი 2:2 კიევო**

1:0 სუაცო (32), 1:1 ტირიბოკი (86), 1:2 პელისიერი (90), 2:2 გობი (90)
**კალიარი:** კიმენტი, აგოსტინი, კარინი, ბეგა, ფერი, გობი, კონტი, აბეიხონი (კონტიკიო 76), მ. ესპოზიტო, სუაცო, ლანჯელა
მწვრთნელი: ნედო სონეტი
**კიევო:** ა. ფონტანა, ლანა (ჯემიტი 81), დანა, მანდელი, ფ. მორო, სემიოლი, დ. ფრანჩესკინი, ბრიგი, ლუსიანო (ტირიბოკი 68), ამაური (ობინნა 64), პელისიერი
მწვრთნელი: ჯუზეპე პილონი
გაფრთხილება: აბეიხონი, სემიოლი, ბეგა, დანა, კონტი, აგოსტინი, ბეგა
გაძევება: ბეგა (66)
მსაჯი: ფარინა
7 000 მაყურებელი

**ემპოლი 1:1 ტრევიზო**

0:1 ე. ფილიპინი (53), 1:1 რიგანო (90)
**ემპოლი:** კუხასი, ლუკინი (ლოდი 56), კოდა, ვანილი, ტოსტო, ბუშე, დ. მორო, ფიჩინი (პოცი 65), ალმირონი, რიგანო, ტავანო (ვანუკი 56)
მწვრთნელი: ლუიჯი კანი
**ტრევიზო:** სერენი, გუსტავო, კოტაფავა, ვიალი, ჯულიატო (დოსენა 74), ა. ფილიპინი, ვაშჩაკი (კ. ვალდესი 61), ბასეჯიო, გიგუ, ე. ფილიპინი (პარავიჩინი 84), ბორიელო
მწვრთნელი: დარიო ბორტოლუცი
გაფრთხილება: ჯულიატო, ვანილი, კოდა, მორო, ვალდესი, დოსენა, გიგუ
გაძევება: ბასეჯიო (77)
მსაჯი: ტალიავენტო
5 000 მაყურებელი

**ასკოლი 1:0 მესინა**

1:0 კარიელო (90)
**ასკოლი:** ფ. კოპოლა, კომოტო, დომიცი, პაჩი, დელ გროსო, ფოჯა, გუანა, პაროლა, ფინი (ჯამპა 63), კალიარელა (კარიელო 63), ბიელანოვიჩი (ბუდანი 80)
მწვრთნელი: მარკო ჯამპაოლო
**მესინა:** სტორარი, კრისტანტე, რეზაეი, არონიკა, ძანკი, რაფაელი, ნოჩერინო, დონატი, სკული (ბონდი 81), დი ნაპოლი (რ. ნანი 77), ფლოჩარი
მწვრთნელი: ბორტოლო მუტი
გაფრთხილება: ფლოჩარი, ფინი, კრისტანტე, ძანკი
მსაჯი: დე სანტისი
8 500 მაყურებელი

**„იუვენტუსმა“** ორი გოლის სხვაობით მოიგო, „მილანმა“ ორი გოლის სხვაობით მოიგო, „ინტერმა“ ორი გოლის სხვაობით მოიგო, „რომამ“ ორი გოლის სხვაობით მოიგო, „ფიორენტინამ“ ორი გოლის სხვაობით მოიგო....

გუშინ ტურინის ერთ უბანში ჰოკეისტებს ოლიმპიადის ფინალი, რომ ჰქონდათ გაჩაღებული და შვედები ფინელებს 3:2-ს უგებდნენ, მეორეში სერია A-ს ჩვეულებრივი მატჩი მიმდინარეობდა, „იუვენტუსი“ 25 ათასი თანაქალაქელის თვალწინ „ლეჩეს“ ამარცხებდა. ბუნებრივია, საქმეში ჩახედულ კაცს „იუვენტუსისა“ და „ლეჩეს“ სახელების გაგონებაზე ცხრილში ჩახედვა აღარ დასჭირდებოდა — ძალები მეტად არათანაბარია და ამას მატჩის შედეგიც მეტყველებს, მაგრამ, თითიდან გამოწოვილი ინტრიგა მაინც იყო: ბოლო ერთ კვირაში გამართულ ორ თამაშში „ბებერმა ქალბატონმა“ ხუთი გოლი გაუშვა და იქნებ „ლეჩესთანაც“ რამენაირად დაცდენოდა ფეხი.

არ გამოვიდა. უფრო სწორად, გოლი შავ-თეთრებმა კიდევ გაუშვეს, მაგრამ მოიგეს კიდეც. ანგარიში სტუმარმა ჯენარო დელ ვეკიომ გახსნა და როგორც იტალიელი სტატისტიკოსები იტყობინებიან ეს გახლდათ „ლეჩელთა“ პირველი მიზანში დარტყმული ბოლო 331 წუთში. შემდეგ კი მასპინძლებმა შეყარეს.

ალსანიშნავია, რომ მოედანზე იუვენტუსელი მაურო კამორანეზის შესვლამდე მსაჯმა როდომონტიმ ლეჩელი ალფონსო კამორანი გააძევა მოედნიდან. მიზეზი: კამორანისთვის ზლატან იბრაჰიმოვიჩის ფინტები მეტისმეტი გამოდგა და ორი ყვითელი მიიღო. რამდენადაც დაეტყო, გაღიზიანდა კიდეც.

ლევან კალაძის დაკრძალვის გამო შავი სამკლავურებით მოთამაშე „მილანმა“ სიცილიაზე „პალერმო“ დაამარცხა. მილანელთა კარში არ იდგა კოჭნატკენი დიდა, რომელსაც ჟელკო კალაჩი ცვლიდა — ეს გახლდათ ამ გოლკიპერის დებიუტი სერია A-ში. ამ შეხვედრაში საინტერესო ამბები ბოლო თვრამეტ წუთში განვითარდა — სტუმართა ორ გოლს და მათივე მცველის, იაპ სტამის გაძევებას ვგულისხმობთ.

გაძევების, უფრო სწორად კი გაძევებათა გარეშე არ ჩაიარა „ინტერისა“ და „უდინეზეს“ შეხვედრამაც. მსაჯმა დონდარინიმ ჯერ მილანელი ვალტერ სამუელი გააძევა, რისი მიზეზიც იაკინტაზე ზურგსუკნიდან თავდასხმა გახლდათ. ეს ის ილეთი გახლავთ, რომელიც იტალიაში რომაელი ფრანჩესკო ტოტის დაშავების შემდეგ საგანგებოდ ისჯება, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ სამუელის გაძევებას „ინტერის“ ქომაგები და თვით კლუბის პატრონი, მასიმო მორატიც ფეხზე წამოდგომით და ირონიული ტაშით შეეგებნენ. მოგვიანებით არბიტრმა უდინელი ზაპატაც გააძევა. ეს მეორე ყვითლით გახლდათ განპირობებული.

ხოლო „ფიორენტინამ“ ერთი დღით ადრე ანუ შაბათს პარმაში 0:2 შემოატრიალა და 4:2 გახადა. ეს პირადად ბულგარელი ვალერი ბოჟინოვის დამსახურება გახლდათ, რომელმაც ფლორენციელთა პირველი და მეორე გოლები გაიტანა. ხალისისთვის ალსანიშნავია, რომ პარმელთა პირველი გოლი იმ პენალტით გავიდა, რომელიც ხელით თამაშისთვის თამაშის დასაწყისში სწორედ ბოჟინოვმა „მოიპოვა“.

**ბაკურა კედია**

| XXVIII ტური | | |
|---|---|---|
| 4-5 მარტი | | |
| უდინეზე | : | ასკოლი |
| ლივორნო | : | კალიარი |
| მილანი | : | ემპოლი |
| რომა | : | ინტერი |
| სამპდორია | : | იუვენტუსი |
| კიევო | : | ლაციო |
| ლეჩე | : | პალერმო |
| მესინა | : | პარმა |
| ტრევიზო | : | რეჯინა |
| ფიორენტინა | : | სიენა |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ტონი (ფიორენტინა) | 22 |
| ტრეზეგე (იუვენტუსი) | 18 |
| შევჩენკო (მილანი) | 15 |
| ჯილარდინო (მილანი) | 15 |
| ტოტი (რომა) | 15 |
| კ. ლუკარელი (ლივორნო) | 14 |

### სერია B
#### XXX ტური

ბოლონია — ტორინო 1:1; ბარი — ჩეზენა 2:3; კატანძარო — მოდენა 1:0; კრემონეზე — აველინო 1:0; მანტოვა — კროტონე 3:2; პესკარა — არეცო 1:1; რიმინი — პიაჩენცა 0:0; ტერნანა — ვერონა 0:2; ტრიესტინა — ბრეშა 1:0; ვიჩენცა — კატანია 0:2. ალბინოლეფე — ატალანტა დღეს გაიმართება

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კატანია | 30 | 16 | 9 | 5 | 45:30 | 57 |
| მანტოვა | 30 | 15 | 10 | 5 | 39:25 | 55 |
| ჩეზენა | 30 | 15 | 8 | 7 | 46:33 | 53 |
| ატალანტა | 29 | 16 | 5 | 8 | 44:32 | 53 |
| ბრეშა | 30 | 12 | 13 | 5 | 40:24 | 49 |
| ტორინო | 30 | 12 | 12 | 6 | 34:25 | 48 |
| არეცო | 30 | 11 | 12 | 7 | 30:21 | 45 |
| კროტონე | 30 | 12 | 7 | 11 | 34:31 | 43 |
| პესკარა | 30 | 11 | 9 | 10 | 30:31 | 42 |
| ვერონა | 30 | 9 | 14 | 7 | 33:26 | 41 |
| პიაჩენცა | 30 | 9 | 13 | 8 | 39:34 | 40 |
| ბოლონია | 30 | 9 | 12 | 9 | 32:33 | 39 |
| რიმინი | 30 | 9 | 11 | 10 | 33:34 | 38 |
| ტრიესტინა | 30 | 9 | 11 | 10 | 30:34 | 38 |
| მოდენა | 30 | 8 | 13 | 9 | 38:33 | 37 |
| ვიჩენცა | 30 | 9 | 7 | 14 | 28:38 | 34 |
| ბარი | 30 | 7 | 12 | 11 | 31:36 | 33 |
| აველინო | 30 | 6 | 10 | 14 | 29:48 | 28 |
| ტერნანა | 30 | 5 | 12 | 13 | 22:40 | 27 |
| ალბინოლეფე | 29 | 4 | 13 | 12 | 20:35 | 25 |
| კატანძარო | 30 | 6 | 7 | 17 | 17:38 | 25 |
| კრემონეზე | 30 | 5 | 8 | 17 | 25:38 | 23 |

### სერია C1/A

ფერმანა — სამბენედეტეზე 0:2; ჯენოა — სალერნიტანა 2:2; ჯულიანოვა — ჩიტადელა 0:2; ლუმეცანე — ნოვარა 1:1; მონცა — ტერამო 1:0; პადოვა — პრო პატრია 1:1; რავენა — პიციგეტონე 2:2; სან მარინო — პრო სესტო 3:0

### სერია C1/B
#### XXIV ტური

პერუჯა — მასეზე 0:0; აკირეალე — პისტოიეზე 0:0; კიეტი — მანფრედონია 1:2; ფროზინონე — მარტინა 1:0; გროსეტო — ფოჯა 0:0; ნაპოლი — ჯელა 2:0; პიზა — ლუკეზე 1:1; სანჯოვანეზე — იუვე სტაბია 1:1; ს. ტორესი — ლანჩანო 2:0

# რეალმა მარკა დაკარგა
## მადრიდში მეხის გავარდნას ელიან



AFP პალმა დე მალიორკადან

„რეალში" დიდი დარდი ჩამოწვა

## ესპანეთი
### პრიმერადივიზიონი XXV ტური

**სარაგოსა 0:2 ბარსელონა**

0:1 რონალდინიო (76პ), 0:2 ლარსონი (79)
სარაგოსა: კარლოს სანჩესი, ალვარო, გ. მილიტო, ტოლედო (კუარტერო 82), ჩანი, პონციო, სელადესი, ოსკარი (ხენერელო 82), საპატერი (სავიო 85), ევერტონი, დ. მილიტო
მწვრთნელი: ვიქტორ მუნიოსი
ბარსელონა: ვ. ვალდესი, ბელეტი, პუიოლი, მარკესი, სილვინიო, ედმილსონი, ტ. მოტა (ვან ბომელი 52), დეკო, რონალდინიო (ინიესტა 87), ეტოო, მესი (ლარსონი 69)
მწვრთნელი: ფრანკ რაიკარდი
გაფრთხილება: დ. მილიტო
გაძევება: სელადესი (76)
მსაჯი: ეკინას ტორესი
34 596 მაყურებელი

**ვალენსია 1:1 ხეტაფე**

1:0 ნავარო (78), 1:1 ნანო (85)
ვალენსია: კანისარესი, მიგელი (ფაურელიო 76), დ. ნავარო, მორეტი, ალბელდა, ბარახა (უგო ვიანა 24), რეგეირო (კურო ტორესი 86), ალბიოლი, ვილია, ანგულო, აიმარი
მწვრთნელი: კიკე სანჩეს ფლორესი
ხეტაფე: ლუისი, კონტრა, მ. პერნია, ბელენგერი, მატელანი, დ. რივასი, მარიო კოტელო, ვივარ დორადო (ნანო 81), რედონდო (რ. პულიდო 68), ალბერტო, პაუნოვიჩი (გიზა 76)
მწვრთნელი: ბერნდ შუსტერი
გაფრთხილება: მატელანი, პერნია, მატელანი, კონტრა, ვივარ დორადო, რივასი, გიზა, ბელენგერი
გაძევება: მატელანი (64)
მსაჯი: პერეს ლასა
30 000 მაყურებელი

**მალიორკა 2:1 რეალი**

0:1 სერხიო რამოსი (31), 1:1 პისკულიჩი (52პ), 2:1 არანგო (79)
მალიორკა: პრატსი, ფ. ნავარო, კორტესი, ნუნიესი, ბალესტეროსი, ბასინასი, დონი, არანგო (ოკუბო 89), ხონასი, პისკულიჩი (ფარინოსი 87), ტუნი (კამპანო 78)
მწვრთნელი: გრეგორიო მანსანო
რეალი: კასილიასი, სისინიო, სერხიო რამოსი, რაულ ბრავო, რობერტო კარლოსი, ბექემი (სალგადო 64), გრავესენი, ჟულიო ბაპტისტა (რაული 66), ზიდანი, რონალდო, რობინიო (კასანო 88)
მწვრთნელი: ხუან რამონ ლოპეს კარო
გაფრთხილება: გრავესენი, ზიდანი, სერხიო რამოსი, ხონასი, ტუნი, დონი, ნავარო
მსაჯი: იტურალდე გონსალესი
18 000 მაყურებელი

**ოსასუნა 1:2 დეპორტივო**

1:0 რომეო (43), 1:1 სერხიო (52), 1:2 ტრისტანი (73)
ოსასუნა: რიკარდო, ისკიერდო (ვალდო 60), კლავერო, კუელიარი, ხოსეჩო, რაულ გარსია, პუნიალი, დავიდ ლოპესი, დელპორტე (მოა 78), მილოშევიჩი, რომეო (ვებო 66)
მწვრთნელი: ხავიერ აგირე
დეპორტივო: მოლინა, მანუელ პაბლო, რომერო, ჟორჟე ანდრადე, კაპდევილა, ხუანმა, დუშერი, სერხიო, ვიქტორი (სესარი 84), არისმენდი (ხესუს მუნიოსი 73), რუბენი (ტრისტანი 46)
მწვრთნელი: ხოაკინ კაპაროსი
გაფრთხილება: რომეო, დუშერი, ხუანმა, ჟორჟე ანდრადე, ვალდო
მსაჯი: რამირეს დომინგესი
15 000 მაყურებელი

**ატლეტიკო 5:0 მალაგა**

1:0, 2:0 ტორესი (5, 9), 3:0 მაქსი როდრიგესი (39), 4:0, 5:0 ვალერა (66, 89)
ატლეტიკო: ლეო ფრანკო, ველასკო, ანტონიო ლოპესი, პერეა, პაბლო, გაბი, ლუქსენი (კოლსა 69), მაქსი როდრიგესი, მ. პეტროვი (ვალერა 65), ფ. ტორესი (მანუ 80), კეჟმანი
მწვრთნელი: პეპე მურსია
მალაგა: გოიტია, ლიტოსი, ალექსისი, ჟორჟე რიბეირო (რ. ბოვიო 46), ანდერსონი, ხერარდო, ა. იდალგო (ჩუნგე მორალესი 67), ნაჩო, დუდა, ედგარი (გაბრიელი 73), სალვა ბალესტა
მწვრთნელი: მანოლო იერო
გაფრთხილება: ხერარდო, გოიტია, ლუქსენი, დუდა, იდალგო
გაძევება: დუდა (77)
მსაჯი: როდრიგეს სანტიაგო
30 000 მაყურებელი

**ბილბაო 1:1 ვილიარეალი**

1:0 ადურიცი (41), 1:1 ფორლანი (44)
ბილბაო: ლაფუენტე, ექსპოზიტო (კასასი 70), ორბაიისი, მურილიო, იუსტე, ირაოლა, გურპეგი, უსტარიცი, ხ. ეჩებერია (დანიობეიტია 74), ურსაისი, ადურიცი
მწვრთნელი: ხავიერ კლემენტე
ვილიარეალი: ვიერა, გონსალო, არუაბარენა, სორინი (კალეხა 83), ხავი ვენტა (ხოსემი 62), პენია, როხერი, ტაკინარდი, სენა, ფორლანი, ხოსე მარი (გ. ფრანკო 76)
მწვრთნელი: მანუელ პელეგრინი
გაფრთხილება: ხავი ვენტა, სორინი, სენა, არუაბარენა, კასასი, პენია, ვიერა, ფრანკო, კალეხა
მსაჯი: დაუდენ იბანიესი
38 000 მაყურებელი

**ესპანიოლი 5:0 სევილია**

1:0 ფრედსონი (5), 2:0 საბალეტა (48), 3:0, 4:0, 5:0 ლუის გარსია (53, 57, 76პ)
ესპანიოლი: ირაისოსი, ლოპო, პოჩეტინო, დომი, ხარკე, ე. კოშტა, საბალეტა, დე ლა პენია (მიკე 67), ფრედსონი, ლუის გარსია (მანდიანი 69), კორო (პოსე 73)
მწვრთნელი: მიგელ ანხელ ლოტინა
სევილია: პალოპი, ხავი ნავარო, დავიდ კასტედო, დრაგუტინოვიჩი, დანიელ ალვესი, ხორდი, ხესუს ნავასი (ესკუდე 61), ადრიანო კორეია, მარესკა, სავიოლა (აიტორ ოსიო 61), კანუტე (კეპა 57)
მწვრთნელი: ხუანდე რამოსი
გაფრთხილება: ხავი ნავარო, დანიელ ალვესია, ხავი ნავარო, ხორდი, ხარკე
გაძევება: ხავი ნავარო (56)
მსაჯი: ლიზონდო კორტესი
11 650 მაყურებელი

**ბეტისი 2:0 სოსიედადი**

1:0 დანი (32), 2:0 რობერტი (89)
ბეტისი: პედრო კონტრერასი, ლ. ფერნანდესი, ხუანიტო, ვარელა (მ. რივასი 80), მელი, კაპი, ხოაკინი, რივერა, დანი (რობერტი 69), ტარდელი (არზუ 62), ედუ
მწვრთნელი: ლორენს სერა ფერერი
სოსიედადი: რიესკო, ხაურეგი, ლოპეს რეკარტე, სიფუენტესი, ანსოტეგი, გარაფარა (სტეფანოვიჩი 46), ნოვო (დიას დე სერიო 78), მიკელ ალონსო, ხ. პრიეტო, ლარეა (გარი ურანგა 46), სკოუბო
მწვრთნელი: გონსალო არკონადა
გაფრთხილება: ლარეა, ხაურეგი, მიკელ ალონსო, კაპი
მსაჯი: მეხია დავილა
35 000 მაყურებელი

**სელტა 2:0 კადისი**

1:0 კონტრერასი (37), 2:0 სილვა (73)
სელტა: პინტო, ანხელი, პლასენტე (ხონათანი 79), პაბლო კონტრერასი, სერხიო, ოუბინია, სილვა, ხორხე (რობერტო 66), კანობიო, ბაიანო, დე რიდერი (გუსტავო ლოპესი 79)
მწვრთნელი: ფერნანდო ვასკესი
კადისი: ლიმია, დე კინტანა, ბერიცო, მარიო სილვა, ვარელა (ველა 79), სუარესი, მ. პავონი, ლობოსი, ბეზარესი (ხონათან სესმა 63), ენრიკე (მორანი 77), ოლი
მწვრთნელი: ვიქტორ ესპარაგო
გაფრთხილება: კანობიო, ენრიკე, პლასენტე, ბაიანო, ლობოსი
მსაჯი: პინო სამორანო
13 000 მაყურებელი

**ალავესი 2:2 რასინგი**

1:0 ნენე (19), 1:1 პინილია (26პ), 2:1 ალოიზი (34), 2:2 დალმა (72)
ალავესი: კოსტანცო, დ. კორომინა, პელეგრინო, ხუანიტო, სარიეგი, დე ლუკასი, ედუ ალონსო, ასტუდილიო, ნენე (რუბენ ნავარო 84), ბოდიპო (ბლაგო 73), ალოიზი
მწვრთნელი: მარიო ლუნა
რასინგი: ავატი, გარაი, რეგრაგი, პაბლო ალფარო, აიოზი, ვიტოლო, ხ. კასკერო, ფელიპე მელო, მატაბუენა (ანტონიტო 59), ოსკარ სერანო (ვ. დალმა 60), პინილია (ხუანხო 86)
მწვრთნელი: მანოლო პრესიადო
გაფრთხილება: კასკერო, ასტუდილიო, გარაი, მატაბუენა, კოსტანცო, ვიტოლო, სარიეგი
მსაჯი: პერეს ლიმა
12 824 მაყურებელი

**მაგარი ტური** იყო, მაგარი ამბები მოხდა.

სარაგოსაში სამუელ ეტოოს იმდენი უძახეს, შე შავოო, რომ ფეხბურთელმა ლამის თამაშის გაგრძელება იუარა, მსაჯმა კი თამაში შეაჩერა და მასპინძლებს მოსთხოვა, სტადიონზე გამოაცხადეთ, გულშემატკივრები ჭკვიანად მოიქცნენო.

აი, ასეთი გამოდგა „ბარსელონას" სტუმრობა ქალაქში, რომლის გუნდმაც თასიდან „ბარსაც" გააგდო და „რეალიც" ზედ მიაყოლა.

ამ ჯერზეც „სარაგოსა" ისე თამაშობდა, უფრო სწორად კი, ისე იცავდა თავს, კატალონიელები გამტანნი არ ჩანდნენ. ბოლოს მაინც გატყდნენ — ალბერტ სელადესმა საჯარიმოში ბურთი ხელით დაიჭირა. სელადესი გააძევეს, პენალტი კი რონალდინიომ გაიტანა.

ამის მერე „სარაგოსას" დაცვაში არაფერი ესაქმებოდა, შეტევის წამოწყება სცადა და უმალ მეორე გოლიც გაუშვა — ჰენრიკ ლარსონმა ნაგინები ეტოოს პასით გაიტანა.

თამაშის მერე ბარსელონელებმა მასპინძლებს ზრდილობა დაუწუნეს, მასპინძლებმა ბოდიშები იხადეს, სარაგოსელმა ევერტონმა კი მხრები აიჩეჩა — მეც შავი ვარ, ესე იგი, ეტოოსთან ერთად მეც მაგინეს და ამის მერე გული როგორ უნდა მომიბრუნდეს საკუთარ გულშემატკივარზეო.

თუმცა სარაგოსელ გულშემატკივართა უმსგავსობაზე მეტად ესპანურ გაზეთებს დღეს სალაპარაკოდ „რეალის" მორიგი შერცხვენა ექნებათ. მადრიდელები მალიორკაზე სერხიო რამოსის გოლით იგებდნენ, მეორე ტაიმში კი ორი ბურთი გაუშვეს. სხვათა შორის, „მარკა" თამაშის წინ წინასწარმეტყველურად წერდა, „მალიორკასთანაც" თუ ვერ მოიგეს, გულშემატკივართა რისხვა საშინელი იქნებაო.

„რეალმა" ვერ მოიგო, რისხვას კი ველით. საერთოდაც, „მარკა" ყოველთვის „რეალის" მეხოტბე გაზეთი იყო და, როგორც ჩანს, კლუბის ბოლოდროინდელი უსუსურობის გამო „მარკამ" პროფილი შეიცვალა.

„ბარსელონას" გასახარად ვერ მოიგო მეორე მდევარმაც — „ვალენსიამ".

„მესტალიაზე" მასპინძლები უტევდნენ, მაგრამ სანამ „ხეტაფეს" ფეხბურთელი არ გაუძევეს, გოლი იქამდე ვერ გაიტანეს. ხოლო როცა დავიდ ნავარომ როგორც იქნა გაიტანა და ვალენსიელებმა თავი საშშვიდობოს დაიგულეს, მაშინვე დაისაჯნენ — „ხეტაფემ" სულ ბოლოს გაათანაბრა.

ტურის ყველაზე უიღბლო ფეხბურთელად კი უთუოდ ბილბაოელი პაბლო ორბაისი უნდა დავასახელოთ. „ვილიარეალთან" მატჩის 94-ე წუთი იყო, როცა მან პენალტი გააფუჭა და ვაითუ, გუშინ დაკარგული ორი ქულა „ბილბაოს" სეზონის ბოლოს ძვირად დაუჯდეს.

**ბოტე ბებელია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბარსელონა | 25 | 18 | 4 | 3 | 60:21 | 58 |
| ვალენსია | 25 | 14 | 8 | 3 | 37:21 | 50 |
| რეალი | 25 | 15 | 3 | 7 | 48:25 | 48 |
| ოსასუნა | 25 | 14 | 4 | 7 | 33:27 | 46 |
| სელტა | 25 | 13 | 3 | 9 | 27:25 | 42 |
| სევილია | 25 | 12 | 5 | 8 | 32:26 | 41 |
| დეპორტივო | 25 | 11 | 7 | 7 | 34:27 | 40 |
| ვილიარეალი | 25 | 10 | 9 | 6 | 33:23 | 39 |
| ატლეტიკო | 25 | 10 | 8 | 7 | 35:23 | 38 |
| სარაგოსა | 25 | 7 | 12 | 6 | 33:34 | 33 |
| ხეტაფე | 25 | 8 | 7 | 10 | 33:33 | 31 |
| რასინგი | 25 | 6 | 10 | 9 | 23:29 | 28 |
| ესპანიოლი | 25 | 7 | 6 | 12 | 25:39 | 27 |
| ბეტისი | 25 | 6 | 7 | 12 | 23:37 | 25 |
| სოსიედადი | 25 | 7 | 4 | 14 | 33:48 | 25 |
| მალიორკა | 25 | 6 | 7 | 12 | 26:41 | 25 |
| ბილბაო | 25 | 5 | 8 | 12 | 27:35 | 23 |
| ალავესი | 25 | 5 | 8 | 12 | 26:41 | 23 |
| კადისი | 25 | 5 | 7 | 13 | 18:35 | 22 |
| მალაგა | 25 | 5 | 5 | 15 | 28:44 | 20 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| ეტოო (ბარსელონა) | 18 |
| ვილია (ვალენსია) | 15 |
| რონალდინიო (ბარსელონა) | 13 |
| დ. მილიტო (სარაგოსა) | 12 |
| ტრისტანი (დეპორტივო) | 11 |

**XXVI ტური**

4-5 მარტი

| | | |
|---|---|---|
| ვილიარეალი | : | ალავესი |
| სევილია | : | ბილბაო |
| კადისი | : | ესპანიოლი |
| სელტა | : | ოსასუნა |
| ბარსელონა | : | დეპორტივო |
| სოსიედადი | : | სარაგოსა |
| ხეტაფე | : | ბეტისი |
| მალაგა | : | ვალენსია |
| რეალი | : | ატლეტიკო |
| რასინგი | : | მალიორკა |

### სეგუნდადივიზიონი
**XXVI ტური**

მალაგა B — ვალიადოლიდი 2:1; ალბასეტე — ლევანტე 1:1; ალმერია — ტენერიფე 2:0; რეალი B — სპორტინგი 1:1; უელვა — ეიბარი 0:0; ხიმნასტიკი — ლორკა 2:0; კასტელიონი — სიუდად მურსია 1:2; ელჩე — ფეროლი 1:0; მურსია — პოლი ეხიდო 0:0; ხერესი — ლეიდა 0:1. ნუმანსია — ერკულესი გადაიდო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| უელვა | 26 | 13 | 9 | 4 | 35:20 | 48 |
| ხერესი | 26 | 12 | 9 | 5 | 41:27 | 45 |
| ლევანტე | 26 | 12 | 9 | 5 | 35:25 | 45 |
| ხიმნასტიკი | 26 | 14 | 3 | 9 | 28:25 | 45 |
| ლორკა | 26 | 12 | 7 | 7 | 38:25 | 43 |
| ალმერია | 26 | 12 | 6 | 8 | 32:23 | 42 |
| სიუდად მურსია | 26 | 10 | 8 | 8 | 33:32 | 38 |
| ალბასეტე | 26 | 10 | 7 | 9 | 27:33 | 37 |
| რეალი B | 26 | 10 | 6 | 10 | 35:29 | 36 |
| ვალიადოლიდი | 26 | 8 | 11 | 7 | 35:31 | 35 |
| ელჩე | 26 | 9 | 7 | 10 | 32:37 | 34 |
| სპორტინგი | 26 | 7 | 12 | 7 | 26:22 | 33 |
| მურსია | 26 | 8 | 9 | 9 | 23:23 | 33 |
| ნუმანსია | 25 | 8 | 9 | 8 | 24:32 | 33 |
| ლეიდა | 26 | 9 | 5 | 12 | 26:27 | 32 |
| ერკულესი | 25 | 7 | 9 | 9 | 26:30 | 30 |
| პოლი ეხიდო | 26 | 8 | 6 | 12 | 27:33 | 30 |
| ტენერიფე | 26 | 8 | 6 | 12 | 32:39 | 30 |
| ფეროლი | 26 | 5 | 11 | 10 | 29:36 | 26 |
| კასტელიონი | 26 | 6 | 7 | 13 | 24:35 | 25 |
| ეიბარი | 26 | 4 | 12 | 10 | 18:28 | 24 |
| მალაგა B | 26 | 5 | 8 | 13 | 19:33 | 23 |

## პორტუგალია
### სუპერლიგა. XXIV ტური

**ჟილ ვისენტე 0:1 ბოავიშტა**

0:1 ჟოაუ პინტუ (10)

**ნასიონალი 1:1 გიმარაეში**

0:1 ვესლი (13), 1:1 ჩილიკოვი (37)

**აკადემიკა 0:3 სპორტინგი**

0:1 მუტინიო (2), 0:2 ლიდსონი (57), 0:3 ლ. ნანი (90)

**ბელენენსეში 2:3 ნავალი**

0:1 ფრაგა (26), 0:2 საულო (36), 1:2 ვეიგა (73ს.კ.), 1:3 ლიტუ (76), 2:3 მეიონგი (88)

**მარიტიმუ 1:0 ამადორა**

1:0 ე. კანუ (54)

**ფერეირა 1:1 ლეირა**

1:0 პაულუ (32), 1:1 ლოურენკუ (71)

**სეტუბალი 2:0 პენაფიელი**

1:0 ბინიუ (12), 2:0 ადალტუ (44)

**ბენფიკა 1:0 პორტუ**

1:0 რობერი (39)

**ბრაგა — რიუ ავე**

*დღეს გაიმართება*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუ | 24 | 15 | 6 | 3 | 35:14 | 51 |
| სპორტინგი | 24 | 15 | 4 | 5 | 39:22 | 49 |
| ბენფიკა | 24 | 14 | 4 | 6 | 38:21 | 46 |
| ბოავიშტა | 24 | 12 | 8 | 4 | 34:20 | 44 |
| ბრაგა | 23 | 13 | 5 | 5 | 24:13 | 44 |
| ნასიონალი | 24 | 12 | 7 | 5 | 30:18 | 43 |
| სეტუბალი | 24 | 12 | 3 | 9 | 21:18 | 39 |
| ლეირია | 24 | 9 | 5 | 10 | 32:33 | 32 |
| მარიტიმუ | 24 | 7 | 9 | 8 | 28:27 | 30 |
| ბელენენსეში | 24 | 8 | 4 | 12 | 30:30 | 28 |
| ჟილ ვისენტე | 24 | 8 | 3 | 13 | 26:30 | 27 |
| ამადორა | 24 | 7 | 6 | 11 | 19:24 | 27 |
| რიუ ავე | 23 | 6 | 8 | 9 | 25:30 | 26 |
| ფერეირა | 24 | 7 | 5 | 12 | 23:35 | 26 |
| აკადემიკა | 24 | 7 | 5 | 12 | 23:35 | 26 |
| ნავალი | 24 | 7 | 3 | 14 | 24:35 | 24 |
| გიმარაეში | 24 | 6 | 6 | 12 | 16:30 | 24 |
| პენაფიელი | 24 | 2 | 5 | 17 | 16:48 | 11 |

**II დივიზიონი. XXIV ტური**

შავეში — პორტიმონენსე 1:0; მორეირენსე — ავეში 0:1; ვარზიმი — ბარეირენსე 3:0; ოლიალენსე — გონდომარი 1:2; ბეირა მარი — ლეიშოეში 0:0; ოვაირენსე — ეშტორილი 0:0; სანტა კლარა — მარკუ 4:1; ფეირენსე — კოვილია 2:0; მაია — ვიზელა 1:2

## შოტლანდია
### პრემიერლიგა. XXVIII ტური

**დანფერმლაინი 1:1 დანდი იუნ.**

0:1 კენეტი (7), 1:1 ბერჩილი (14)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სელტიკი | 27 | 21 | 4 | 2 | 74:28 | 67 |
| ჰართსი | 27 | 16 | 6 | 5 | 54:22 | 54 |
| რეინჯერსი | 27 | 13 | 7 | 7 | 46:31 | 46 |
| ჰიბერნიანი | 27 | 14 | 3 | 10 | 48:36 | 45 |
| კილმარნოკი | 27 | 12 | 8 | 7 | 52:43 | 44 |
| ინვერნესი | 27 | 9 | 12 | 6 | 41:32 | 39 |
| აბერდინი | 27 | 9 | 11 | 7 | 32:30 | 38 |
| მოზერუელი | 27 | 9 | 6 | 12 | 40:48 | 33 |
| დანდი იუნ. | 28 | 6 | 10 | 12 | 32:47 | 28 |
| ფოლკირკი | 27 | 5 | 6 | 16 | 25:51 | 21 |
| დანფერმლაინი | 28 | 4 | 7 | 17 | 24:56 | 19 |
| ლივინგსტონი | 27 | 2 | 6 | 19 | 14:58 | 12 |

**I დივიზიონი**
**გადადებული მატჩი**

როსი — სტრანრარი 1:1

**II დივიზიონი**
**გადადებული მატჩები**

ალოა — რეითი 1:1; ეარი — პიტერჰედი 1:2; მორტონი — ფორფარი 3:0

**III დივიზიონი**
**XXVII ტური**

ალბიონი — სტენჰაუზმუირი 1:2; ისტ ფაიფი — მონტროუზი 4:0; ისტ სტირლინგი — არბროთი 0:4; ელგინი — კოუდენბითი 0:4; ქუინზ პარკი — ბერვიკი 0:1

**ასოციაციის თასის 1/4 ფინალი**

ჰართსი — პარტიკი 2:1; ფოლკირკი — ჰიბერნიანი 1:5; გრეტნა — სენტ მირენი 1:0; ჰამილტონი — დანდი 0:0

## ავსტრია
### მაქსბუნდესლიგა. XXIV ტური

ზალცბურგი — ტიროლი 5:2; აუსტრია — შტურმი 0:0; გრაცერი — რაპიდი 3:1; მატერსბურგი — რიდი 3:1; პაშინგი — ადმირა 0:3

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აუსტრია | 23 | 13 | 5 | 5 | 30:17 | 44 |
| ზალცბურგი | 24 | 14 | 2 | 8 | 38:26 | 44 |
| გრაცერი | 23 | 11 | 5 | 7 | 35:24 | 38 |
| რაპიდი | 24 | 10 | 7 | 7 | 39:29 | 37 |
| პაშინგი | 24 | 9 | 7 | 8 | 27:23 | 34 |
| რიდი | 23 | 8 | 9 | 6 | 34:31 | 33 |
| შტურმი | 24 | 6 | 9 | 9 | 27:34 | 27 |
| ტიროლი | 24 | 6 | 9 | 9 | 28:37 | 27 |
| მატერსბურგი | 24 | 7 | 4 | 13 | 27:41 | 25 |
| ადმირა | 23 | 4 | 3 | 16 | 27:50 | 15 |

# კაცი ტაქსიდან ანუ ბოზოს ყურებიდან ამოსხმული ადრენალინი



**კრისტიან ვიერიმ** ორწლიანი დუმილი ვარდისფერფურცლიან მილანურ გაზეთთან „გაძეტა დელო სპორტთან" დაარღვია. ჟურნალისტებზე გამწყრალმა იტალიელმა ვარსკვლავმა მსოფლიოს მოახლოებულ ჩემპიონატზე, მონაკოში დაწყებულ ახალ ცხოვრებასა და ამ ორწლიანი დუმილის მიზეზებზე ილაპარაკა.

„რა პრობლემის წინაშე ვიდექი? მინდოდა, ხალხს ჩემ შესახებ გაცილებით ნაკლები და თან მხოლოდ სიმართლე სცოდნოდა, პრესას კი სხვა რაღაც სურდა. მაგალითად, მართალია, 20 წლისა ყოველ საღამოს ღამის კლუბში ვიჯექი, მაგრამ ოცდათორმეტისა სულ სხვანაირად ვიქცევი და ამიტომ დღეს ჩემზე ძველებურად წერა უბრალოდ არ არის სწორი. ისიც კი წამიკითხავს, თითქოს კოკაინისტი ვიყო. ეს სრული სისულელეა, ისევე, როგორც ოთხმოცი პროცენტი იმისა, რასაც ჩემ შესახებ წერდნენ."

და ვიერი ჟურნალისტებს გაებუტა. ეს ევრო 2004-ის დაწყებამდე მოხდა; გაბუტვას კი წინ ფეხბურთელის მეტად მკვახე გამონათქვამი უძღოდა, მე გაცილებით მეტი კაცი ვარ, ვიდრე ყველა ჟურნალისტი ერთად აღებულიო.

„იმ გამოთქმისთვის სინდისის ქენჯნას არ განვიცდი, მაგრამ გამეორებით ნამდვილად არ გავიმეორებდი. ცხადია, შევცდი, რადგან განზოგადება გამომივიდა და შეურაცხყოფა მივაყენე ხალხს, რომელიც ჩემს ისტორიასთან შუაში არ იყო".

როგორც ირკვევა, სწორედ პრესასთან გამწვავებულმა ურთიერთობამ აიძულა დაბადებით ავსტრალიელი ვიერი შუა ზამთარში ქუდი დაეხურა და იტალიიდან საფრანგეთის ჩემპიონატში, „მონაკოში" გადაბარგებულიყო, სადაც მწვრთნელად ფრანჩესკო გვიდოლინი მუშაობს.

„მონაკოელებს ჩემი შეძენა გულით უნდოდათ და არც მე მივიჩნევ ამ გუნდს იმ ტაქსად, რომელმაც მხოლოდ მსოფლიოს ჩემპიონატამდე უნდა მიმიყვანოს. აშკარაა, დღითი დღე უკეთ და უკეთ ვთამაშობ, რისთვისაც სწორედ „მონაკოსა" და გვიდოლინის მადლობელი ვარ. თან მონაკოში მოსვენებული გახლავართ. აქ ისეთი მშვიდი ატმოსფეროა, რომ მგონია, 2010 წლამდე შევძლებ თამაშს. ისე კი, მილანშიც საკმაოდ ხშირად, კვირაში ერთხელ ჩავდივარ".

ტაქსი ტაქსად, ფაქტი კი ფაქტად რჩება — ვიერი „ინტერში" ძირითად შემადგენლობაში ვერ ხვდებოდა და მსოფლიოს ჩემპიონატზე, აბა, ვინ და როგორ წაიყვანდა?! ამიტომაც გაიხადა შავ-ლურჯი მაისურა სულ რაღაც ნახევარ წელიწადში. მერედა, მისთვის მსოფლიოს ჩემპიონატზე მოხვედრა და თავის გამოჩენა თავმოყვარეობის ამბავია. ხომ გახსოვთ 2002 წელი და კორეის ნაკრების კარს აცილებული ბურთი?

„ის მომენტი ხშირად მაგონდება. რომ გამეტანა, ჩემპიონატს სულ სხვა გაგრძელება ექნებოდა. ჩვენ ძალიან ძლიერი გუნდი გვყავდა. მსოფლიოს ჩემპიონატზე საკუთარ ქვეყანას წარმოადგენდე, უდიდესი გრძნობაა, ადრენალინი ყურებში ასხამს. ძალიან მინდა, ეს განცდა კიდევ ერთხელ დამეუფლოს. ნაკრების მწვრთნელს მარჩელო ლიპის ჩემთვის „მონაკოში" გადადიო, არ ურჩევია, მაგრამ გასულ ზაფხულს ის კი მითხრა, მინდა, მთელი სეზონი ითამაშოო. მილანში მეფესავით ვცხოვრობდი, მაგრამ იქიდან წასვლაც აუცილებელი იყო. მინდა, ორი რამ იცოდეს ყველამ. ერთი — მე „ინტერის" დატოვებით დაახლოებით სამ მილიონ ევროზე ვთქვი უარი და მეორე, ჩემი და ადრიანოს წყვილი ცუდი რომ არ იყო, ეს ამ სეზონმა დაამტკიცა".

**პაპუნა ძიძია**


ეროვნული ბიბლიოთეკა

AFP სარაგოსიდან

# მოვკლავთ ურჩხული!

## თეთრი ქაჯები აყროლებული ტარაკანებივით მრავლდებიან: ეტოო მოედნიდან გააქციეს

**ესპანეთის** სტადიონებზე გახშირდა რასისტული გამოხტომები. ამას წინათ „დეპორტივოს" შავკანიანი კანადელის, ჯულიან დე გუსმანის ბეტისელი ფანებისგან შეურაცხყოფაზე მოგახსენებდით, შაბათს კი „სარაგოსას" ინჩასებმა ბარსელონელ სამუელ ეტოოს სულ „აყროლებული ტარაკანი" უძახეს. „ლა რომარედაზე" კამერუნელ ფორვარდს რასისტულად განწყობილი ფანობა თითქმის მთელი მატჩის განმავლობაში შეურაცხყოფდა და 75-ე წუთზე ეტოომ გადაწყვიტა, თამაში მიეტოვებინა — აღარ ვითამაშებ, ტყუილად მაჩერებთ, ასეთი რამ ადამიანისთვის გაუსაძლისიაო, უთხრა „ბარსას" შემტევმა „სარაგოსას" ასევე შავკანიან მცველს, ბრაზილიელ ალვარო მაიორსა და მსაჯ ვიქტორ ესკინა ტორესს, რომლებიც ცდილობდნენ, იგი მოედანზე დაებრუნებინათ. ეტოომ გასახდელსაც მიაშურა, თუმც საქმეში „ბარსელონას" მწვრთნელი ფრანკ რაიკარდი და მისი თანაშემწე ჰენკ ტენ კატი ჩაერივნენ და განაწყენებული აფრიკელი, როგორც იქნა, მინდორზე შეაბრუნეს.

„საშინელებაა, როცა მოედანზე თამაშზე კი არა, ვაიგულშემატკივართა შესაძლო თავდასხმაზე უნდა იფიქრო. რასიზმი ფეხბურთის და საერთოდ სპორტის ერთ-ერთი უბოროტესი მტერია" — განუცხადა ფრანკ რაიკარდმა მედიას. „ეტოოს ფანების მხოლოდ მცირე ნაწილი ლანძღავდა, „სარაგოსას" საღად მოაზროვნე ინჩადა კი სტადიონზე მარტო ფეხბურთის საყურებლად იყო მისული" — თქვა ვიქტორ მუნიოსმა, არაგონული გუნდის დამრიგებელმა. „სამუელ ეტოოსი სავსებით მესმის. იგი იმ საშინელი ურჩხულის წინააღმდეგ აჯანყდა, რომელსაც რასიზმი ჰქვია. ასე აღარ უნდა გაგრძელდეს. ჩემი აზრით, მედიამ კანის ფერის მიხედვით ფეხბურთელთა დისკრიმინაციის წინააღმდეგ ხმა აუცილებლად უნდა აიმაღლოს, პასიური პროტესტი ღალატის ტოლფასია" — აღნიშნა მანუელ საუსედომ, ესპანური სპორტული გაზეთის „მარკას" რედაქტორმა...

„სარაგოსასთან" ნახსენები ჯახი კი „ბარსამ" 2:0 მოიგო. მეორე გოლი სწორედ მოედანზე მიბრუნებულმა ეტოომ გაატანინა ჰენრიკ ლარსონს.

**ლადო ხომერიკი**

## ჰოლანდია

### ერედივიზიონი XXVI ტური

**როზენდალი 2:0 ნაიმეგენი**
1:0 სილა (62), 2:0 კპაკა (72)
**ვალვაიკი 0:0 ტვენტე**
**დენ ჰააგი 2:0 ვიტესი**
1:0, 2:0 კოლკა (9, 44)
**სპარტა 3:2 ტილბურგი**
1:0 როსე (8), 2:0 ობოდაი (33), 2:1 რედანი (80), 3:1 ბუაზანი (85), 3:2 აგუსტინი (90)
**ალკმაარი 1:2 პსვ**
0:1 ვენეგოორ ოფ ჰესელინკი (3), 0:2 ა. კონე (6), 1:2 შაარსი (61)
**უტრეხტი 2:1 როდა**
1:0 ვან დენ ბერგი (6), 2:0 ა. რამზი (29), 2:1 ვან დიიკი (41)
**ჰერაკლესი 1:3 აიაქსი**
1:0 სლუიტერი (19), 1:1 პუნტელაარი (45), 1:2 ტიმისელა (82), 1:3 რ. ბაბელი (90)
**ჰერენვენი 2:1 ბრედა**
1:0 ნორეგაარდი (2), 1:1 ლეონარდო (6), 2:1 პრანჯიჩი (82)
**გრონინგენი 1:1 ფეიენოორდი**
1:0 ფლედერუსი (11), 1:1 ვან პოიდონკი (71)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პსვ | 26 | 21 | 3 | 2 | 53:17 | 66 |
| ფეიენოორდი | 26 | 18 | 5 | 3 | 67:26 | 59 |
| ალკმაარი | 26 | 17 | 4 | 5 | 64:26 | 55 |
| აიაქსი | 26 | 14 | 4 | 8 | 49:32 | 46 |
| გრონინგენი | 26 | 13 | 5 | 8 | 34:28 | 44 |
| ჰერენვენი | 26 | 12 | 7 | 7 | 51:37 | 43 |
| უტრეხტი | 26 | 12 | 7 | 7 | 39:33 | 43 |
| ნაიმეგენი | 26 | 11 | 6 | 9 | 33:31 | 39 |
| ტვენტე | 26 | 10 | 5 | 11 | 34:28 | 35 |
| ვალვაიკი | 26 | 10 | 5 | 11 | 38:42 | 35 |
| ვიტესი | 26 | 10 | 3 | 13 | 37:42 | 33 |
| როდა | 26 | 10 | 2 | 14 | 38:46 | 32 |
| სპარტა | 26 | 7 | 6 | 13 | 22:36 | 27 |
| ჰერაკლესი | 26 | 7 | 6 | 13 | 26:49 | 27 |
| ბრედა | 26 | 6 | 7 | 13 | 32:47 | 25 |
| დენ ჰააგი | 26 | 7 | 3 | 16 | 28:51 | 24 |
| ტილბურგი | 26 | 4 | 5 | 17 | 28:52 | 17 |
| როზენდალი | 26 | 1 | 5 | 20 | 16:66 | 8 |

### II დივიზიონი. XXXII ტური

ეინდჰოვენი — დენ ბოსხი 2:1; გრააფსხაპი — ვენლო 2:0; დოორდრეხტი — იგლსი 5:1; ალმერე — აპელდორნი 1:3; ზვოლე — ემენი 1:0; ჰაარლემი — კამბური 0:0; ოსი — ჰელმონდი 2:1; ვეენდამი — ექსელსიორი 2:1; ვოლენდამი — ტელსტარი 0:0

## ბელგია

### იუპილერლიგა XXIV ტური

**რუზელარე 0:2 ანდერლეხტი**
0:1 ვილჰელმსონი (84), 0:2 ფრუტოსი (87)
**ბევერენი 1:3 ლოკერენი**
0:1 ბანსე (19), 1:1 ტოპკა (22), 1:2, 1:3 ბანსე (23, 67)
**ბეერსხოტი 0:0 სერკლი**
**ლიერსი 2:1 ვესტერლო**
0:1 იმშო (5), 1:1 ტუპუა (37), 2:1 მუიანოვიჩი (67)
**მუსკრონი 0:1 ვარეგემი**
0:1 მატისი (67)
**გენკი 1:0 ლუვიე**
1:0 ბ. პეეტერსი (83)
**სენტ ტრუიდენი 1:1 შარლერუა**
0:1 სტერკელე (66), 1:1 ჰაინალი (79)
**ბრიუგე 1:1 სტანდარდი**
1:0 ლეკო (31), 1:1 ონიევუ (43)
**ბრიუსელი 0:1 გენტი**
0:1 ვრანკენი (15)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ანდერლეხტი | 24 | 14 | 7 | 3 | 51:22 | 49 |
| სტანდარდი | 24 | 14 | 5 | 5 | 42:22 | 47 |
| ბრიუგე | 24 | 13 | 8 | 3 | 39:22 | 47 |
| ვარეგემი | 24 | 13 | 4 | 7 | 43:34 | 43 |
| გენკი | 24 | 11 | 7 | 6 | 38:29 | 40 |
| გენტი | 24 | 11 | 5 | 8 | 31:27 | 38 |
| ვესტერლო | 24 | 10 | 5 | 9 | 32:29 | 35 |
| ლოკერენი | 24 | 9 | 8 | 7 | 35:34 | 35 |
| ბრიუსელი | 24 | 8 | 8 | 8 | 25:25 | 32 |
| შარლერუა | 24 | 8 | 7 | 9 | 23:29 | 31 |
| რუზელარე | 24 | 7 | 8 | 9 | 37:32 | 29 |
| ბეერსხოტი | 24 | 8 | 5 | 11 | 31:37 | 29 |
| სერკლი | 24 | 7 | 5 | 12 | 29:43 | 26 |
| მუსკრონი | 24 | 7 | 3 | 14 | 31:36 | 24 |
| სენტ ტრუიდენი | 24 | 5 | 8 | 11 | 25:35 | 23 |
| ლიერსი | 24 | 5 | 7 | 12 | 16:38 | 22 |
| ბევერენი | 24 | 6 | 3 | 15 | 26:40 | 21 |
| ლუვიე | 24 | 4 | 9 | 11 | 21:41 | 21 |

### II კლასი. XXIV ტური

დეხელი — ეუპენი 1:1; ვირტონი — სენტ ჟილი 3:0; მონსი — ჰეუსდენი 4:1; დაინცე — ოუდ ჰევერლე 1:2; ტუბეკე — ანტვერპენი 1:3; ოსტენდე — ვაასლანდი 3:1; გეელი — ლომელი 3:2; ვიგორი — კორტრაიკი 2:3; რონსე — მეხელენი 1:3

## თურქეთი

### სუპერლიგა. XXII ტური

ერჯიესი — გაზიანთეფი 1:0; გალათასარაი — მანისა 4:2; დენიზლი — მალათია 1:0; გენჩლერი — ანკარაგიუჯიუ 1:1; რიზე — ქაისერი 0:0; სამსუნი — ანკარა 0:1; ტრაბზონი — სივასფორი 0:0; ფენერბაჰჩე — ბეშიქთაში 2:2. დიარბაქირი — კონია 0:1-ზე ჩაიშალა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფენერბაჰჩე | 22 | 16 | 5 | 1 | 55:22 | 53 |
| გალათასარაი | 22 | 16 | 4 | 2 | 51:20 | 52 |
| ქაისერი | 22 | 11 | 4 | 7 | 41:29 | 37 |
| ბეშიქთაში | 22 | 9 | 6 | 7 | 33:26 | 33 |
| ტრაბზონი | 22 | 9 | 6 | 7 | 28:29 | 33 |
| გენჩლერი | 22 | 8 | 8 | 6 | 29:20 | 32 |
| მანისა | 22 | 8 | 6 | 8 | 32:29 | 30 |
| სივასფორი | 22 | 6 | 10 | 6 | 20:23 | 28 |
| ერჯიესი | 22 | 6 | 10 | 6 | 23:27 | 28 |
| კონია | 21 | 6 | 7 | 8 | 26:27 | 25 |
| ანკარა | 22 | 5 | 10 | 7 | 30:32 | 25 |
| ანკარაგიუჯიუ | 22 | 5 | 9 | 8 | 24:28 | 24 |
| დენიზლი | 22 | 6 | 6 | 10 | 24:31 | 24 |
| რიზე | 22 | 5 | 9 | 8 | 18:25 | 24 |
| გაზიანთეფი | 22 | 5 | 7 | 10 | 23:38 | 22 |
| სამსუნი | 22 | 5 | 5 | 12 | 31:46 | 20 |
| მალათია | 22 | 4 | 8 | 10 | 17:32 | 20 |
| დიარბაქირი | 21 | 5 | 4 | 12 | 20:41 | 19 |

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, [illegible]

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა ბუზელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, გიორგი ნოზაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი: ვაჟა ხუციშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო აზვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge